

# ლიტერატურული გაზეთი

№31 23 ივლისი - 5 აგვისტო 2010

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი

ერთი მოთხრობის  
კონკურსის სამი  
გამარჯვებული ავტორი

II-IV

ლალი ავალიანი


ბორის პასტირნაკის  
კონტრაპუნქტის ქართული  
მოტივი

X-XI

ზურაბ ქარუმიძე:

„ასე წერას აღარ ვაპირებ“

XIV-XV





ნინო ტვენაძე

ასაკი — 18 წლის.

ლიტერატურული დებიუტი — მე, როგორც ძალიან ბევრმა პროზაიკოსმა, წერა ლექსებით დაიწყო. ლექსებს კი ღრმა ბავშვობიდან ვწერ. ჩემი ლიტერატურული დებიუტი სკოლის გაზეთში შედგა 15 წლის ასაკში. უფრო სერიოზული დებიუტი კი 1 წლის წინ, „ლიტერატურულ პალიტრაში“ მქონდა. ლექსები დამიბეჭდეს. მგონი, სულ 6 ლექსი. მერე ძალიან მიკვირდა, რომ სრულიად უცნობი ხალხი მწერდა, შენი ლექსები წავიკითხეთო. მანამდე მხოლოდ ჩემთვის ვწერდი და ცოტა დავიბენი კიდევ.

საქმიანობა — თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ახლა მესამე კურსზე ვადავები. ენათმეცნიერი უნდა გავხდე. შეიძლება ამის ბრალიცაა, რომ სიტყვებთან სპეციფიკური დამოკიდებულება მაქვს: წერის დროსაც, საუბრის დროსაც და ფიქრის დროსაც კი. გარდა ამისა, ვმუშაობ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“ რედაქტორად და მთარგმნელად. შეყვარებული ვარ ამ სამუშაოზე. ალბათ, ძალიან გამიჭირდებოდა ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელსაც წიგნებთან საერთოდ არ ექნებოდა კავშირი. გარდა ამისა, ვწერ რეცენზიებს, სტატიებს და მაქვს ბლოგი — ანუ ვქმნი ინტერნეტ-ლიტერატურასაც. რასაც ვაკეთებ, ლიტერატურა ყველგანაა მცირე ან დიდი დოზით.

ყველაზე დიდი პროფესიული გამარჯვება — თუ ლიტერატურას გულისხმობთ, ყველაზე დიდ გამარჯვება სწორედ „ერთი მოთხრობის კონკურსში“ პირველი ადგილის დაკავება იყო. ამ გამარჯვებას კი წინ „15 საუკეთესო ქართული მოთხრობის“ კრებულში მოხვედრა უძლოდა, რაც მართლა საამაყოდ მიმაჩნია.

საყვარელი კამერა და უცხოელი მწერლები — რთული თემაა. ამ კითხვაზე პასუხის სხვადასხვაობით გაცემა მიჭირს ხოლმე. როგორც წესი, არ მიკონკრეტებენ არც ეპოქას, არც ჟანრს. არადა, იმდენი ვინმე მასხენდება, რომ... მაშინ ასე ვიტყვი, ყველაზე დიდ ქართველ პროზაიკოსად მიხეივს ჯავახიშვილი მიმაჩნია. გარდა ამისა, ვაფასებ ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებას. თანამედროვე მწერლებიდან ხარბად ვკითხულობ ზურაბ ლეჟავას და აკა მორჩილამძეს... დანარჩენები მეგობრები არიან და მათ დასახელებას ვუფრთხი. ქართველი პოეტებიდან უდიდესი პოეტი შოთა რუსთაველი მგონია (რა ვქნა, რომ ვერ ვარ ორიგინალური), თანამედროვე პოეტებიდან კი — ბესიკ ზარანაული. რაც შეეხება უცხოელებს, აქ უფრო რთულადაა საქმე სიმრავლის გამო: ერთად მასხენდება ბერჯესი და პავიჩი, კენ კიზი და ბრედბერი, ორუელი და უელბეკი, პალანიკი და ვონეგუტი და ამას დამატებული ანტიკური ლიტერატურა... კიდევ არის ერთი მწერალი, რომელიც ჯერ არ დამისახელებია და ყველაზე ძალიან მიყვარს. თუ გინდათ, ინფანტილიზმი ჩამოთვალეთ, მაგრამ ეს მწერალი ასტრიდ ლინდგრენია.

სამაგიდო ნივთი — ჩემი მაგიდარო დაგანახათ, ამ კითხვას აღარ დამისვამდით. ძირითადად, ქსეროქსები და ამოპრინტერებული ინგლისური ტექსტები აწყვია. თუ სამაგიდო ნივთი იმ ნივთს გულისხმობთ, რომელსაც დროდადრო

ვუბრუნდები ხოლმე, ასეთი „პატარა უფლისწულია“. წელიწადში ერთხელ ვკითხულობ და მთელი წლის სამყოფ სიკეთეს ვიშარავებ.

საყვარელი ლიტერატურული ჟანრი — თამამად ვიტყვი, რომ საყვარელი ლიტერატურული ჟანრი არ მაქვს. მიყვარს ხოლმე, როცა მწერალი რამდენიმე ჟანრს აერთიანებს, აი, უმბერტო ეკოს მსგავსად (მიანერეთ საყვარელ უცხოელ მწერლებს...). საერთოდ კი, ყველაფერს ვკითხულობ, რაც კი იკითხება: ქუჩაში აბრებს, ამოკანრულ წარწერებს ხეებზე, დეტექტივებსა და საბავშვო წიგნებს. მერე ამ ზღვა მასალაში ორიენტირებას ვახდენ და ვსწავლობ ცურვას ლიტერატურაში.

მიზანი — ძალიან მინდა, რომ ისეთი მწერალი გავხდე, რომლის ნაწარმოებებიც ემახსოვრებათ. ამის მიღწევა მოთხრობებით რთულია და, ალბათ, რომანის დაწერა მომიწევს. ოღონდ ჯერ ძალიან ადრეა. ჯერ უნდა გავიზარდო და ბევრი-ბევრი ვიკითხო. კიდევ ერთი „საიდუმლო“ მიზანი კოსმოსში გაფრენაა. მაგრამ სანამ ამ მიზანს მივალნევე, ჯერჯერობით წერილობით ვოცნებობ კოსმოსზე.

„ერთი მოთხრობის კონკურსში“ პირველ ადგილზე ვახვედი, რაც იმის მანძილზე იყო, რომ ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში ყველა თაობის პროზაიკოსი იყო, შენს მოთხრობას — „თვითმკვლელთა მატარებელი“ — ერთხმად დაუჭირა მხარი. თუ ელოდი ასეთ წარმატებას მაშინ, როცა კონკურსში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღე?

ნამდვილად არაფერს ველოდი და რომ არ მომეგო, გული სულაც არ დამწყდებოდა. ხანდახან ვიბნევი კიდევ, როცა მწერალს მინოდებენ. მეხამაშუება. ჯერჯერობით ჩემი დაწერილი მოთხრობების ჩამოთვლას ერთი ხელის თითებიც ყოფნის და სანამ ასეა, პრეტენზია არაფერზე მაქვს. უბრალოდ, გავაგზავნე. და გავაგზავნე იმისთვის, რომ მერე არ მეფიქრა: აი, რომ გამეგზავნა, ხომ შეიძლება, გამემარჯვა...

როცა გაიგე, რომ შენმა მოთხრობამ განსაკუთრებული მოწონება ჟიურის ერთ-ერთი წევრისგან, რეზო ჭიჭიშვილისგან დაიმსახურა, როგორი იყო შენი რეაქცია?

ჟიურის წევრების ვინაობა იმ დღეს გავიგე და სასიამოვნოდ გამოაცხადა ჟიურში რეზო ჭიჭიშვილის ხილვამ. ძალიან დიდი პატივიცაა, როცა მე, დამწყებ მწერალს სტოქჰოლმის ისეთი ადამიანი მაძლევს, როგორც რეზო ჭიჭიშვილია. დაჯილდოებაზე რამდენიმე დღით ადრე „ვაიმი, ჩემო ვენახო“ გადავიკითხე და გავიფიქრე: ასე მაგრად როგორ უნდა ვწერო... ხოდა, ვერც წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე დღის შემდეგ რეზო ჭიჭიშვილი მეტყვოდა, რომ კარგად ვწერ. გავწიოთლი და გამიხარდა.

როგორ ფიქრობ, რითია შენი მოთხრობა გამორჩეული და რამ იმოქმედა ყველაზე მეტად ჟიურის წევრებზე?

მოთხრობა, ჩემი აზრით, რიტმული და პოეტურია, პრობლემა კი — აქტუალური. გარდა ამისა, ბევრი სიმართლე იყო მოთხრობაში. ნამდვილი იყო სიზმარიც და პრობლემებიც ოჯახში. ის, რაც ჩემს მოთხრობაში არის ასახული, ახალგაზრდა თაობის ცხოვრებაა, რომელზე წერაც ბევრ ახალგაზრდას არ უყვარს. მე კი გავხედე, რაკი საკუთარ თავზე უკეთესად არავის ვიცნობ. როგორც ჩანს, ჟიურიმ გულწრფელობა დამიფასა.

ჯერ მხოლოდ 18 წლის ხარ, როგორია შენი სამომავლო გეგმები, მწერლობას დაუკავშირებ შენს ცხოვრებას თუ ეს საქმიანობა მხოლოდ ჰობი იქნება?

შეიძლება, არც ვწერო. ანუ, რაღაც დროს წერა შევწყვიტო და ასე 15 წლის მერე ჩემს შვილს მოვუყვებ, რომ ოდესღაც მწერალს მეძახდნენ. შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ არ ვისურვებდი. სანამ წერა შემეძლება, იდეები მომივა და ქალაქში ვადატანა არ დამეზარება, ნამდვილად გავაგრძელებ წერას. ერთი ვიცი, რომ ლიტერატურას ვერსად გავექცევი. ან კრიტიკოსი გავხდები (ამ შემთხვევაში ყველა მწერალს შევძლავლები), ან საბავშვო წიგნების თარგმნას დავინყებ (ამ შემთხვევაში ბავშვების მშობლებს შევუყვარდები), ან კიდევ ვიმუშავე რედაქტორად (ამ შემთხვევაში, ყველაფერი იქნება ჩვეულებრივად).

თვითმკვლელთა მატარებელი

ახლა ყველაფერს გახსენება ძალიან მიჭირს, მაგრამ როცა მაგრად ვხუჭავ თვალებს (მწვანე რგოლების გაჩენამდე), მინც ვახერხებ, აღვიდგინო ის, რაც იყო. აი, მე და ანა ჩახუტებულები ვწევართ სანოლზე. მე — 11-ის ვარ, ანა — 15-ის. ანა ცუდადაა, რადგან დედა ეჩხუბა. სულ ეჩხუბება. იმიტომ, რომ ანა სახლში გვიან ბრუნდება და თან არყის სუნი ასდის ხოლმე; იმიტომ, რომ მთელი დამე ლაპარაკობს ტელეფონზე და იმიტომაც, რომ მე არ მივლის, როცა დედა ღამის მორიგა და ჩვენ სახლში მარტონი ვართ. მე არც მჭირდება მოვლა, მთავარია, ანა არ ტიროდეს, თორემ მერე სისულელეებზე მელაპარაკება ხოლმე.

— ნინ, თავი რომ მოვიკლა, შენ ბევრს იტირებ? — მეკითხება ჩუმად.

— ანუ, რომ მოკვდე? — ვეკითხები დაბნეული.

— არა, თავი რომ მოვიკლა.

ანა ძალიან მაგარია, თუ მოინდობა, ყველაფერს იზამს და მე მუშინია იმის, რომ ანა ძალიან მაგარია.

ვეუბნები, რომ ვიტყვებ. არა, ძალიან ბევრს ვიტყვებ და რომ დედაც იტირებს და მერე ვეღარასდროს ვაგიცინებთ მთელი გულით. ანა მეუბნება, რომ სისულელეა, რომ დიდხანს არ ვივადრებ. მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ ამბობს, რომ ჩემგან ერთხელაც მოისმინოს: ანნ, შენ რომ მოკვდე, მეც მოკვდები. ანა როცა ტირის, მეც მეტირება. არადა, მე სულაც არ ვარ მთვრალი.

ანა თავისუფალი გოგოა. მხოლოდ ბიჭებთან მეგობრობს და ერთხელ ისიც მითხრა, ბიჭს „იქ“ მოვიკიდე ხელიო. ანა რასაც მეუბნება, მე სულ საიდუმლოდ ვინახავ. რამე რომ გავამხილო, დედა სცემს, მერე ანა ტირილს დაიწყებს და მეც... მოკლედ, არაფერის თქმა არ შეიძლება. რამე რომ ვთქვა, ანა ჩემი და აღარ იქნება. სახლში მთვრალი როცა მოდის, დედა ყოველთვის უყვირის. თუ ძალიან მთვრალია, მაშინ დედას არ ეპასუხება, თუ ძალიან მთვრალი არაა, მაშინ დედას სიტყვას უბრუნებს და ისე ვერ გადარჩება, რომ სილა არ მიიღოს. მერე ოთახში შერბის და კარებს იჯახუნებს. დედა ამ დროს ცუდადაა, იქვე ჩამოჯდება გახევებული და ვერაფერს ამბობს. ჩქითა ოთახიდან კი ანას ტირილის ხმა ისმის. მე არ ვიცი, რა ვქნა და ბოლოს ვირჩევ, ანას მივხედო.

მერე ანა მშვიდდება. მე ვხედი ტანსაცმელს. ანა ხელებს იქნევს. სახლში რომ მოდის, მერე უფრო ეკიდება ალკოჰოლი. ჩუ, ანა, ჩუ — ვეუბნები და მასხენდება, როგორ მამშვიდდება თვითონ, მე რომ მუხლებს ვიტყავებდი.

ვხედი ჯინსის მუხლებზეგამოხეულ მარვალს, მერე ვხედი მაისურს და ცოტა ხნით ვამტერდები ღამაზე მკერდზე. ლიფს შეეშვი, მეუბნება ანა და მეც მეტს აღარაფერს ვხედი. ვეხმარები ღამის პერანგის ჩაცმას.

მე ანას გვერდით მიინავს და ვფიქრობ იმაზე, როგორი ვიქნები ანასხელა. ამაზე ფიქრში მეძინება.

აქ ფიქრი მიწყდება. კიდევ უფრო მაგრად ვხუჭავ თვალებს (ლურჯი რგოლების გაჩენამდე).

ღამეა. უცნაური სისველე მალეიძებს და კიდევ უცნაური ხმა. სანამ თვალებს ვავახელებ, ვცდილობ გავიზარო, რა შეიძლება მომხდარიყო. მერე თვალებს ვახელ და ხმამალა ვყვირი. ანა საკუთარ წარწყვეტილ ცურავს და ხროტინებს. მე ვაჯანჯლარებ და დახმარებას ვითხოვ — დედა, მიშველე! დედა სახლში არაა. ანას წამოყენებას ვცდილობ. ზურგს უკან ვუნყოფ ბალიშებს და მომაქვს წყალი. სახეზე ვასხამ და როცა მგონია, რომ ყველაფერი დასრულდა, ანა ხველებს იწყებს.

— ნინ, მოკვდე? — მეკითხება გაცეცხლებული.

— თითქმის — ვპასუხობ მე და ვეხუტები.

არ მალევეებს, რომ დამსერის. სჯობს, ცოცხალი იყოს და ჭუჭყიანი, ვიდრე მკვდარი და სუფთა.

მერე ჩვენ ერთად ვცვლით თეთრეულს და ყველაფერს ვწმენდთ. დედამ არაფერი არ უნდა გაიგოს. ეს ჩვენი საიდუმლოა.

ანა დღიურებს წერს. მათ წაკითხვას მე სასტიკად მიკრძალავს, მაგრამ ჩაჭყეტა ხანდახან შეიძლება. ანას დღიურებში იმდენი სისხლი და სიკვდილია, რომ მე თვი-

თონ აღარ მიმინევს გული მათ წასაკითხად.

რაც ანას დღიურების კითხვა დაიწყო, მას შემდეგ სულ ცუდი სიზმრები მესიზმრება, მერე ტირილით ვიღვიძებ. თუ დღისით ანა ტირის და მე ვამშვიდებ, ღამით — პირიქითაა.

მესიზმრება უზარმაზარი მატარებელი და რელსები, რომლებიც ქალაქს გვერდს უქცევს და ქალაქის მთავარი ნაგავსაყრელისაკენ მიემართება. მატარებელში მხოლოდ თვითმკვლელები სხედან. გზის განაპირა მხარეს კი დგანან მათი ოჯახის წევრები, ახლობლები, უბრალო მოქალაქეები და ემშვიდობებიან ნაცნობებსა თუ უცნობებს. ცოტა ხანში კი განისმის ერთი დიდი „ბუმ“ და ნაგავსაყრელზე ყველა ერთად იკლავს თავს. ქალაქი დროებით ყრუდება.

მე მესიზმრება, რომ ვდგავარ ქალაქის განაპირას და ველოდები, როდის ჩამოვივლის მატარებელი, რომ წამით თვალი შევავლო ანას, რადგან როგორც კი გასროლის ხმას გავიგებთ, მე ანას სუნთქვას დავკარგავ, ის კი — ჩემსას.

მერე ტირილით ვიღვიძებ. ანა მეფერება. თმაზე სიგარეტის სუნი ასდის, კანზე — არყის. ვგრძნობ, ეს სუნი გამახსენებს ამ წლებს ოდესმე, როცა ანაც დიდი გოგო იქნება და მეც დიდი გოგო ვიქნები, ოღონდ მასზე პატარა.

დედა სამუშაოდან სახლში დილისკენ ბრუნდება. მე მისკენ მივრბივარ და ვეხუტები. ანა კი თვალს არიდებს. დედა უხერხულად ესალმება.

ანა ოთახში იკეტება და ხმამალა რთავს მუსიკას.

— დედას თავი სტიკია, დაუნე, ანნ, — ვთხოვ მე.

— მეც მტიკია თავი, პახმელიაზე ვარ — მპასუხობს იგი.

ამის მერე ყველაფერი დაწვრილებით მახსოვს, მაგრამ თვალებს ახლა სიმწრისგან ვხუჭავ (ნთელი რგოლების გაჩენამდე).

ამ დღეს დედამ ანას დღიურები იპოვა და იქ იმაზე მეტი წერა, ვიდრე დედას შეეძლო წარმოედგინა. ანა პლანს ეწევა და უყვარს უბნის ყველაზე ცუდი ბიჭი.

ამ დღეს დედამ ანას იმდენი ულანუნა, სანამ ცხვირიდან სისხლი არ წასკდა. მე ვერაფრით ვავაჩერებ. ბოლოს ანა ხელიდან დაუსხლტა და ოთახში შეიკეტა. მე აღარ შემიშვა. დედამ მითხრა, სხვა ოთახში დაიძინე, ანა რაღაცებზე დაფიქრდება და თვითონ გამოვა. ძალიან მინდოდა მასთან ვყოფილიყავი, მაგრამ ბოლოს გადავიფიქრე — თუ ჩემი ნახვა არ უნდოდა, მე რატომ უნდა მენახა.

იგივე რამ დამესიზმრა. ამჯერად მხოლოდ მე კი არა, დედაც აცილებდა ანას, ის კი მატარებლის ფანჯრიდან სევდიანად გვიღიმოდა.

მატარებლის ბორბლების ხმა ძალზე ცხადად ჩამესმა და ამან გამაღვიძა. თვალი გავახილე, მაგრამ ხმაური გრძელდებოდა. სიზმრიდან გამომყვა. ძალიან მემინდოდა და მივხვდი, ანა რომ არ მენახა, გული გამისკდებოდა, ყურებში კი ფეთქავდა ისევე ის რიტმი — დგდ-დნ-დგდ-დნ. ქუჩაში გავედი და ფანჯრიდან გადავძვერი მასთან. ანა, მოვედი, ანა — შევანჯღრიე. დგდ-დნ-დგდ-დნ. ანა არ გამეპასუხა. რაღაც საშინელის მოლოდინში ფეხები მომეკვითა. შუქს ვეცი, ავანთე და დავინახე — ანა იწვა, თვალებლია და ტუჩებზე დუჟმომდგარი. აქეთ-იქით კი ნაწლის ფიფიტები ეყარა.

დგდ-დნ-დგდ-დნ.

მატარებელმა ჩაიარა.



ლადო კილასონია

ასაკი — 25 წლის.
ლიტერატურული დებიუტი — 2008 წლის მაისი.

საქმიანობა — მორაგბე.
ყველაზე დიდი პროფესიული გამოწვევა — „ერთი მოთხრობის კონკურსში“ მეორე ადგილის აღება და 1999-2000 წლებში საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატისა და თასის მოგება რაგბიში.

საყვარელი ქართველი და უცხოელი მწერლები — ინანიშვილი, ამირეჯიბი, ჭილაძე, ქიქოძე, მორჩილაძე. უცხოელებიდან ფოლკნერი, კეპოტე, კაფკა, მარკესი, რემარკი, ძალიან მიყვარს ფიცჯერალდის „დიდი გეტსბი“.

სამამილო წიგნი — ერის მარია რემარკის „დასავლეთის ფრონტზე ყველაფერი უცვლელია“ (თუ სწორად ვთარგმნე, რა თქმა უნდა).

საყვარელი ლიტერატურული ჟანრი — რომანი.

მიზანი — არ ვიცი, უბრალოდ მიხდა, რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშო რაგბი და ვწერო.

— შენი მოთხრობების ნაწილი ნაცნობია ქართველი მკითხველისთვის, რად-

გან შენი სახელი უკვე გამოჩნდა სხვადასხვა ლიტერატურულ პერიოდიკაში. რამ გადაწყვეტინა სპორტსმენად ამიანს ხელში კალამი აგელო და სამწერლო ასპარეზზე გამოჩენილიყავი?

— არ ვიცი რამ, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ უნიჭო და ცოტა სასაცილო ლექსებით დავიწყე. 2008 წლის ზაფხული იყო. ერთ დილას ჩემმა ძმამ დამირეკა, სასაცილო სიტყვებით გამეხუმრა, ამის მერე შენ გააგრძელე, მეც გავაგრძელე და ცოტა ხანს ლექსების წერა ვცადე. მერე ჩემ ძმას ქორწილში ვილაცამ (ოღონდ დღემდე არ ვიცი, ვინ) გენეალოგიური ხის დიდი ყვივისფერი წიგნი აჩუქა, ჰოდა იმის შევსება მოვიწყობე და პატარა ჩანაწერიც გავაკეთე, რომელიც დედაჩემს ვანახე, მოეწონა. ბოლოს კი მამიდაჩემისგან მოვისმინე ორი ძალიან კარგი ისტორია, რომლებიდანაც ერთ-ერთი ჩემი პირველი მოთხრობა „მატარებელი“ გახდა და რომელიც მე დღემდე ძალიან მიყვარს. ვილაცხები კი მეუბნებიან, ბანალური და ბავშვური იყო, მაგრამ ერთხელ ბექამ თქვა, ქურხულმა, რომ პირველი ყველაფერი კარგია, იმიტომ, რომ მაგ დროს ბოლომდე თავისუფალი ხარ, არც სტილისტურად ცდილობ გაშარტვას და არც სხვა არაფერს, ამიტომ ნაწარმოებზე ბოლომ-

დე შენიაო. „მატარებელს“ მოყვარე მეორე მოთხრობა, რომელიც ჩემს კლასელ გოგოზე დაწერე, ბავშვობაში რომ მიყვარდა და ასე დავინყე.

— როგორი იყო შენი ემოცია, როცა გაიგე, რომ საუკეთესოთა სამეულში მეორე ადგილი რეზო ჭიჭიშვილმა, ზაალ სამადაშვილმა, ივანე ამირხანაშვილმა, ლაშა იმედაშვილმა და არჩილ ქიქოძემ მოგაკუთვნეს?

— ძალიან გამიხარდა. პირველი ლიტერატურული პრემია იყო, აქამდე სულ რაგბის სიგელები და მედლები მხვდებოდა. თანაც ყოურიც ძალიან სერიოზული გახლდათ. მოკლედ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ძალიან გამიხარდა. დაჯილდოვებაზეც სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და ეს ვთქვი.

— საკუთარი თავისადმი რამდენად მომთხოვნი ხარ და თავად როგორ შეაფასებდი ერთი მოთხრობის კონკურსში შესწავლას გაგზავნილ მოთხრობას?

— მომთხოვნი არა, უფრო ფატი-ფუთავარ, ყველაფრის სწრაფად კეთება მიყვარს და ამიტომ შეცდომებსაც ბევრს ვუშვებ. მოთხრობას რაც შეეხება, არჩევანი ორ ტექსტს შორის მქონდა და მანაც ეს ავარჩიე, უფრო ხულიგნური, უფრო თამამი და საინტერესო მეჩვენა და იმიტომ.

— რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრ-



ბაში მწერლობას და თუ იპოვე შენი სტილი ქართულ ლიტერატურაში?

— ამაზე პასუხის გაცემა ცოტა გამიჭირდება. რაგბის ბავშვობიდან ვთამაშობ და ძალიან მიყვარს, წერა კი სულ რაღაც ორი წელიწადია რაც დავინყე, მაგრამ რომ მკითხონ, რომელს დათმობდიო, ნამდვილად ვერ ვუპასუხებ. სტილზე ლაპარაკი კი ჯერ ცოტა ადრეა, მანაც დამწყები ვარ, თუმცა იმედი მაქვს, რომ ვიპოვი.

პიტრი — დასაწყისი

„დარი არ დარობს, ადრის ბილიკზე, ვლენ მედროშენი მეადრეთანი“.

შუა საუკუნეების ებრაული პოეზიიდან

დამხმარე არაფერში სჭირდებოდა, ისედაც კარგად იცოდა, საით მიდიოდა. ამ გემზე, სადაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაეტარებინა, მისთვის არაფერი იყო უცხო. ცხრამეტი წლისამ პირველად დადგა მის ჭრახუნზე, სისხლითა თუ წყლით დამბალ გემბანზე ფეხი და თხუთმეტ წელზე მეტი მიაპობდა ოკეანის მუქ, ჩაშავებულ ტალღებს. აკი, ახალბედების წრეში ჩამჯდარი ხშირად იკვებინდა ხოლმე, აქ თავდასხუტულსაც შემოიღია სიარულიო, მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა თუ ეს ნახევრად ხუმრობით, ნახევრად კი სერიოზულად ნათქვამი სიტყვები ოდესმე აუხდებოდა და აი, აუხდა კიდევ.

თითონაც უკვირდა, როგორ წამოღვა და როგორ გაიარა ისე უჩუმრად, ის პატარა, აქეთ-იქით მოძრავი, ჩახუთული ოთახი (რომელშიაც ადამიანები, როგორც ნაგვის გროვებზე, ისე ეყარნენ ერთმანეთზე), რომ არავინ გააღვიძა, ფეხიც კი არ წამოუკრავს არაფრისათვის, ერთხელაც არ დაუკარგავს წონასწორობა, თითქოს წინასწარ იცოდა მათი სხეულები ის განლაგება, სად იწვნენ და საით უნდა ევლო, როგორ ხელის ცეცებით აუყვარა ჭრახუნა ხის კიბეს, როგორ აღმოჩნდა გემბანზე და როგორ განვა მის ცივ, ნამიან ზედაპირზე, როგორც წყლის სიღრმიდან ამოღებული ჟანგიანი მძიმე ლუზა.

გემბანზე გრილოდა, სველმა ფიცრებმა ხელად მიიკრო, ხელად დაუღობო ტანსაცმელი და ქალის გრძელი, ნაზი თითებიანი ჩაუცურა შიშველ სხეულზე წყლის ცივი, მაცოცხლებელი წვეთები, ის კიდევ იწვა და მის ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს უსმენდა, სიჩუმეს, რომელიც ამ ერთი კვირის განმავლობაში აშკარად შეცვლილიყო. არა, ის ვერ ხედავდა, მაგრამ ესმოდა, გრძობდა რაღაცა ახალს, რაღაცა უცნაურს, სრულიად უცხო და შემზარავს, რომელიც როგორც გაციება, როგორც ტიფი, ისე შეპარულიყო მის სხეულში და ობობასავით გაება, მოექსოვა თავისი ნებოვანი, უხილავე ქსელი.

ვერ ხედავდა (რადგან უკანასკნელი რაც იხილა, კვამლი იყო პატარა სარკმელში, რომლიდან გამოფრენილმა ყუმბარამაც ცხვირწინ ამოუშვრია ხის იატაკი და ბნელში ჩააგდო), მაგრამ ესმოდა ტალღების მშვიდი ხმა და გრძობდა, როგორ ერთმანეთზე მიყვლებით, თითქოს ჩურჩულით ეხებოდნენ ხის კედელს და ოდნავ შესამჩნევად არწევდნენ გემს, როგორ ჭრახუნობდა ეს თოკებით, ფიცრებით და კიდევ ათასი რამით აწყობილი ნაგებობა. ვერ ხედავდა, მაგრამ ესმოდა, სადღაც ღრმად, გემის სიღრმეში მოტანტალე

ვითხების წრიობი, მათი პატარა ფეხების ტყავატყუბი, მძინარე ადამიანების საათის ისრის მოძრაობასავით მშვიდი, მონოტონური სუნთქვა, გრძობდა, როგორ ივსებოდა, იბერებოდა ჰაერით მათი ღონიერი ფილტვები, როგორ ზღვის ტალღასავით ადი-ჩადიოდა ბანჯგვლიანი მუცლები, ქარსაც კი გრძობდა, აღმოსავლეთის მსუბუქ ბრიზს, რბილად, შრიალ-შრიალით რომ ალაპარაკებდა, უხემ, აქა-იქ ტყვიითა თუ დანით დაჭრილ-დაგლეჯილ, ოდესღაც თეთრ იალქნებს.

შემდეგ სიბნელიდან, როგორც დათვი ბუნაგიდან, ისე ამოიზარდა რაღაც უცნაური სურათები და მანაც დაინახა მზის ჩასვლის შემდეგ ვერცხლისფრად ქცეული ზღვის ზედაპირი, დიდი და მწვანე ხეებით დაფარული კუნძული, რომლის მუქ, ქვიშიან ნაპირზე ისინი იდგნენ, დაეკაპინებინათ შარვლები თუ კაბები და ხელს უქნებდნენ.

ის კარგად ხედავდა მათ გაუცინარ ფერფლისფერ სახეებს, სილაში ამოგანგულულ ჭუჭყიან ფეხებს, ყველანი აქ იყვნენ, ყველანი: მეფუნდუკე და მისი ცოლი, მან და ჯონმა რომ გამოჭრეს ყელი და მერე ზემოთ ფუნდუკის სხვენში აათრიეს, უბრალო ტომრებში გახვეულები. ძილში გაგუდული ვაჭრები, ბნელ ქუჩებში აჩეხილი მთვრალი გამგლეულები, დამხრჩვალი მონმები, ბრძოლაში მოკლული თავზეხელაღებულები, მათ შუაში კი როგორც შავი მთა, როგორც ჩამქრალი ვულკანი, ისე წამოჭიმულიყო უზარმაზარი ზანგი, მატარებრა, ერთადერთი, ვინც მოერია, რკინასავით ხელები გადაუგრიხა, დანა გააგდებინა და ალბათ იქვე მოკლავდა, რომ არა ჯონი, რომელმაც ზურგიდან, ბეჭებს შუა ვადამდე ჩაასო მალაიზური დაკლანკანი კრისი. მას ახლაც ახსოვს, როგორ მხეცივით დაიღმუჟლა ამოღენა კაცმა, როგორ გადმოყარა სიმწრისაგან სპილოს ძვლივით თეთრი დიდი კბილები, რომლებს იქითაც წითელი ხახა მოუჩანდა და როგორ ერთი მოძრაობით, გემბანის საწმენდი ჩვარივით მიანარცხა ჯონი ან-ძას. ის ალბათ ყველაზე ღონიერი ადამიანი იყო, ვინც კი ოდესმე შეხვედრია, ერთადერთი, ვისაც მეტ-ნაკლებად პატივისცემით, ღიმილის მაგვარი რაღაცით იგონებდა, თორმეტი წრილობის შემდეგაც, ერთი წამით რომ არ მოდუნებია არც ერთი კუნთი, არ მოშვებია მარწუხივით თითები, რომლებითაც მისი მარჯვენა ხელი ჰქონდა ჩაბლუჯული, სანამ შიგ გულში არ შეასო გრძელი წვრილპირიანი ხანჯალი, მამის კი დამძიმდა, სისხლთან ერთად ამოუშვა უზარმაზარ გულმკერდში და-გროვილი ჰაერი და როგორც მოჭრილი ხე, ისე დაეცა გემბანზე. ახსოვს, როგორ უვლიდნენ ვარს მოკლულს ბრძოლის შემდეგ ცოცხლად დარჩენილი ბიჭები, როგორ ზომავდნენ მის კლდესავით შავ, უზარმაზარ სხეულს და არ სჯეროდათ. ის

კიდევ იწვა, მოუხეშავი და უსულო, როგორც გემბანზე ამოთრეული ვეშაპი.

ჰო, მატარებრა შუაში იდგა, ფართოდ გაშალა სქელი, ჯანიანი ფეხები, მაღლა აენია დაძარღვული მკლავი და მისი მოთეთრო-მოვარდისფრო თითების ბალიშები ციციანათელებივით დათამაშობდნენ ჰაერში. ის კი იწვა, ხელის გულებით ეხებოდა სველ გემბანს და არ ემიწოდა, თითქოს მასა და შიშს შორის, სწორედ ის ვერცხლისფერი ზღვის ზედაპირი გადაჭიმულიყო, რომელიც წყნარად ლივლივებდა და ალბათ სულ ილივლივებდა, იმიტომ, რომ ყველაზე ბოზოქარი და საშიში შტორმები თუ ტაიფუნები უკვე უკან მოეტოვებინა.

თოთხმეტი წლის იყო, როდესაც პირველად ნახა თავადი. ქერამ, ცისფერთვალეობამ და წეროსავით მაღალმა, როგორ შემოაბიჯა მათ ეზოში, როგორ შეაბა მის ორ პატარა დას წითელი ძაფი (რაც მათ ქვეყანაში კარგს არაფერს მოასწავებდა) და როგორ წაიყვანა თავისთან სასახლეში.

იმ დამეს პირველად შეეხო თოფის ცივ ლულას, მთვარის შუქზე პირველად დაინახა მისი ბზინვარება, პირველად გადაიკიდა გალუულ ბეჭებზე და სუროებით დაფარულ კედლებზეც პირველად აძვრა.

თავადის ფანჯარა ღია იყო და ისიც კარგად ხედავდა მის ლარივით სწორ, თეთრ, მოვლილ სხეულს, როგორც ჭია, ისე რომ დაიკლავდა გასროლის შემდეგ და ლოგინს იქით გადავარდა.

არასოდეს ურბენია ასე სწრაფად, ეგონა კი არ გარბოდა — მიფრინავდა, მაგრამ მანაც დაწინე, მანაც მიაგნეს და მამინ თავადის უნაკლოდ მოვლილი ეზოს შუაგულში ამაყად მდგომმა, დაინახა, როგორ მოვიდა მამა, როგორ ჩაუვარდა თავადს შეხვეული ფეხებში (ტყვიას წვივში გაველო და ძვალი დაეფშვნა) და როგორ ევედრებოდა მისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას. თავადი ყვიროდა, ჯანმრთელ ფეხს ურტყამდა, იშუქებოდა, ძალს და ძალისგაგდებულს ეძახდა, ის კიდევ იწვა, ხმელი, გაუბედურებული, მიწისა და ოფლის სუნით გაჟღენთილი და საცოდავად ლულულვებდა, “შეუნდე, ბავშვიო!”

მეექვსე დარტყმაზე გონი დაკარგა. “როგორ ვერ გავუძელი, როგორ დავეცი?!“ ეს აზრი ამდენი წლის შემდეგაც კი მოსვენებას არ აძლევდა, შიგნიდან ღრღნიდა, როგორც კასრში მოქცეული მშვიერი ვირთხა.

ყოველ დარტყმაზე გრძობდა, როგორ ეხლიჩებოდა კანი, როგორ ტყლაშანით ეხეთქებოდა და ჩადიოდა ხორცში ტყავის მასა, ესმოდა მისი ხმა, ფუტკარივით, ზუზუნით რომ აპობდა ჰაერს, მაგრამ ყველაზე მტიკინეული მესამე დარტყმა აღმოჩნდა, რომელმაც ისედაც გადასერილი ბეჭები ლამის ორად გაუპო, თორემ მერე და მერე ტკივილი, ისევე როგორც მათრახის ზუზუნი, მიწყდა, დაიკარგა და

რალაცნაირ მოთენთილობას დაუთმო ადგილი. გამოსახულებამ ნელ-ნელა დაიწყო ტივტივი, შემდეგ ხმები გაქრა, ბოლოს კი თვითონ სურათიც, მაგრამ გონების დაკარგვამდე იმის დანახვა მაინც მოასწრო, როგორ მოიწმინდა შუბლზე მომდგარი ოფლის წვეთები მათმა მეზობელმა, თავადის მოურავმა კაპტომ და გაკვირვებულმა თქვა:

“სუფთა ქაჯია, აგერ, საცაა, მეხუთეს დაეკრავ და ხმა ვერ ამოვალენი ამ შობელძალდსო.”

თვალის რომ გაახილა, სახლში იწვა და თავზე ცივი საფენი ედო. კუთხეში მამა იჯდა, ხმელი და თავჩალუნული, იჯდა და ცეცხლს მისჩერებოდა. როგორც მერე უყვებოდნენ, მეექვსე დარტყმაზე გონება დაეკარგა, მაგრამ თავადის ბრძანებით კაპტოს მაინც გადაეკრა მისთვის ოთხჯერ, რის შემდეგაც მამამისს აყვავა ხელში და სახლისაკენ წალასლასებულყოფი. ძლივს გადარჩიო, ეუბნებოდნენ სხვები, მას კი ბოლმა ჰკლავდა: “როგორ ვერ გავუძელი, როგორ დავეცი?!“.

სამი წელი ატარა სიძულვილი, ღრმად გულში ჩაიდო, ჩამარხა, როგორც განძი და ასე დამალა, იქამდე, სანამ, ერთ მთვარიან ღამეს, ქორწილიდან შინ მიმავალ კაპტოს არ ნაადგა ზურგიდან, ერთი დარტყმით გაათიშა და ტყეში წაათრია.

ადგილი წინასწარ ჰქონდა შეგულვებული, ყოველ ღამე, როდესაც მარტო რჩებოდა, დაიდებდა დასერილი ბეჭებზე ხელს, რომელსაც როგორც მეცხვარის მიერ მთაში გატყეპნილი ბლიკები ისე მოუყვებოდნენ გრძელი იარები, არიქა, არ დამაინყდესო, პირთამდე ამოივსებდა ბოლმის დოქს და მერე ოცნებობდა.

და აი, ეს დღეც დადგა.

— გახსოვს რო მოცემდი? — ჰკითხა მოურავს, როდესაც ხეზე უბამდა ხელებს.

— მახსოვს, — უპასუხა იმან.

— თოთხმეტი წლის ვიყავი, მაგრამ ხმა არ ამომიღია, ეგეც ხო გახსოვს?

— მახსოვს, — ამოილულულა კაპტომ.

— ჰოდა, ახლა ჩემი ჯვრია, მე უნდა გცემო, მარა გაფრთხილებ, კრინტი რო დაგძვრეს, კვენისს მაგვარი რამე რო გავიგო, ადგილზე გაგათავებ, — უთხრა მან და ბაბუის ნაქონმა ხანჯალმა, ელვასავით გააპო სიბნელე.

შემდეგ წინასწარ გამოზადებული დიდი წვეტიანი ქვა აიღო და რიგ-რიგობით, მოამტვრია კაპტოს ორივე ხელ-ფეხი. მაღლა სწევდა ლოდს, სწრაფი მოძრაობით უშვებდა ძირს და გადამტვრეული ძვლის ძლიერი ჭახანი წამში იკარგებოდა შავ, უკიდევანო სივრცეში.

მოურავი დილით იპოვეს, ცოცხალი იყო, უცნაურად გადაეგდო თავი გვერდზე, ოდნავ შესამჩნევად აცმაცუნებდა შიშისა და ტკივილისაგან გამშრალ, დახეთქილ ტუჩებს და სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: პეტრე, პეტრეო!

დასასრული მე-4 გვერდზე

ლადო კილასონია

პეტრა — დასაწყისი

დასასრული

ის კი უკვე შორს იყო, მგელივით მიძუნძულებდა ტყის სიღრმეში მზისგან ხელუხლებ, ნამიან მინაზე და ხარბად ყლაპავდა სუფთა, გრილ ჰაერს.

მერე იყო ქალაქი, რომელიც იქამდე არასოდეს ენახა თვალთ, პატარა და ერთმანეთზე მიჯრით მდგომი კოხტა სახლები, რომელთა ჭერიდანაც აგურის საკვამურების გავლით, სქელი ნაცრისფერი ბოლი უჩინარდებოდა ჰაერში და იყო ზღვა, ხან მშვიდი და ხანაც ბობოქარი, რომლის ტალღებიც სულ სხვადასხვანაირად, ხან ნაზად, ხან კიდევ გამაგებებით ეხეთქებოდნენ ქვიშიან ნაპირს, თითქოს ნალექით ემუქრებოდნენ ამ ერთი ზენო მინის ნაგლეჯს.

სწორედ აქ, ამ უცხო ქალაქში, სადაც ათასი ჯურის ხალხი და ენა ირეოდა, ნახა პირველად ის უცნაური, ნახატებითა და იარებით დაფარული ადამიანები, გამთენიანზე გემიდან ნაპირზე რომ ეზიდებოდნენ ათასგვარ სიმძიმეს, ხოლო შეღამებულზე, ჯანაიან ხელებს ირტყამდნენ ქვასავით მკერდზე, არყითა და ღვინით სახეარულნი, იქვე სანაპიროსთან ნამოჭიმულ, იაფფასიან დუქნებში. ნახა, მოეწონა და გაჰყვა.

მას მერე ბევრი წელი გავიდა, სად არ იყო, რომელი ზღვა არ გადასერა, ვეშაპის სქელ კანშიც ჩაარჭო გარჰუნი, მაორული სვირინგიც გაიკეთა მარცხენა ბეჭზე და ჰაიტილი გოგოს მკერდზეც მიიძინა რომისა და ქიქოსის სუნში გახვეულმა.

მაგრამ მთავარი მაინც ტორტუგა იყო, ადგილი, სადაც სისხლი, რომი და გართობა მდინარე-სავით მოედინებოდა. სწორედ აქ გაიცილა ქერათმიანი და ცისფერთვალა ჯონი, აქ დაძაბა კაცისა "ბედ-ილბლის ვაჟკაცებთან", მიპარვითაც პირველად აქ მოკლა კაცი და "ლომეშაპაზეც" პირველად აქედან დადგა ფეხი.

ახლა კი ყველაფერი დამთავრდა, ის გემბანზე იწვა და ფიქრობდა. რა დარჩა ამდენი წლის აქეთ-იქით ხეტიალისაგან? ფული! ბევრი ფული! თუმცაღა სულ მთლად სისხლში ამოსვრილი, დამბალი, როგორც თვითონ, მაგრამ ეს არ ანალღებდა, უფრო იმის ემინოდა, რომ ველარასოდეს დადგამდა გემზე ფეხს, ვეღარასოდეს იგრძნობდა, როგორ ირწევდა ტალღებისაგან, მაღლა ანძაზე ამძვრალი, ვეღარ დაინახავდა ნისლიდან ამოზრდილ მინას და მხიარული შეძახილით ვერ ამცნობდა, ქვემოთ, წერტილებად ქცეულ და გემბანზე აქეთ-იქით მორბენალ ბიჭებს.

მის ყურს კაკუნის მაგვარი რაღაც მისწვდა, შემდეგ კი ბეჭაჭუნდა და ყოველ გაჭრაჭუნებაზე კაკუნი სულ უფრო ახლოს და ახლოს ისმოდა, სანამ გემბანზე არ ამოაღწია. ის არ განძრეულა, თითებიც კი არ აუ-მოძრაებია, ისედაც იცოდა, ვინც იყო — ჯონი, თავისი ახალი ხის ყავარჯნით, საკუთარი ხელით რომ გამოთალა სამზარეულოში მიგდებული ხისაგან. ესმოდა მისი ხენქმა, გრძობობა, როგორ იზნიქებოდა მისი გრუზა სხეულის ქვეშ სველი ფიცრები, ბოლოს რბილი, ფუმფულა ხელის შეხებაც იგრძნო მზარზე და მისი ხმაც ჩაესმა, ბნელში ჩაძირულს:

— ადე, პიუ, მე და შენ ნაპირზე ჩავდივართ, ფლინტის ბრძანებაა.



ალექსანდრე ქურხული

ასაკი — 25 წლის.

**ლიტერატურული დებიუტი** — რამდენიმე თვის წინ „ლიტერატურულ გაზეთში“ შედგა.

**საქმიანობა** — ჟურნალისტი. ვმუშაობ საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიაში.

**ყვალაზე დიდი პროფესიული გამარჯვება** — ვერ ვიტყვი, რომ ჩემი საქმის დიდი პროფესიონალი ვარ, შესაბამისად, არც დიდი პროფესიული გამარჯვება მქონია. თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა უცნობმა ადამიანებმა დამირეკეს და მითხრეს, რომ ჩემი სიუჟეტები მოეწონათ, რაც, რა თქმა უნდა, სასიამოვნო მოსასმენია. მსგავსი შემთხვევები იშვიათად ხდება, ეს კი მხოლოდ საკუთარ „პროფესიონალიზმს“ შემიძლია დავაბრალო და არა მაყურებლის გულგრილობა.

**საყვარელი ქართველი და უცხოელი მწერლები** —

გამცილებელი

ლეკანა სახლში აპირებდა ასვლას, ყურმას რომ შეხვდა. ყურმას თვალები ჩანთილებოდა და სულელი ღიმილი დასათამაშებდა.

— დამაბოლებ რა! — სთხოვა ლეკანამ.

ყურმა სადარბაზოში შეიყვანა და ჯიბიდან „პიტაკი“ ამოიღო. — მარტო მონიე, ალბათ გაგისწორებს, ორს არ ეყოფა, ვერაა მაგარი.

— ჯიგარი ხარ ყურმ, გადამეხადოს, ძმაო, — უთხრა ლეკანამ და უბნელს მადლიერებით სავსე მხერა მიაპყრო.

ყურმა დაემშვიდობა და წავიდა. ლეკანამ სადარბაზოშივე გაუკიდა. პირველივე ნაფაზზე დაახველა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია და ბოლომდე მონია. სახლში ავიდა, იცოდა, რომ არავინ დახვდებოდა. ტელევიზორი ჩართო და სავარძელში ჩაჯდა. „ხარება და გოგია“ იწყებოდა. ჯერ ოდნავ შეაბოლა, მერე კი მოიტანა და მოიტანა. თითები გაუცივდა და გულმა ზაგა-ბუგით დაუნყო ცემა. ოთახი ყვითელ ბურუსში ჩაიძირა და ეკრანის გარდა ვეღარაფერს ხედავდა. „გამიჩალიჩა ყურმამ, რა ერთ კაცს ტო, სამს ეყოფოდა. მთავარია იზმენა არ ავიკიდო და დავიკიდო“ — გაიფიქრა ლეკანამ და მთელი გულისყური ფილმზე გადაიტანა. „ხარება და გოგია“ დამთავრდა თუ არა, ქუჩიდან ყვირილი შემოესმა. ფანჯარას მივარდა. ნიკოლოზას ვილაც ბიჭები შემოხვეოდნენ. ეგრევე გარეთ გავარდა, სანამ ოთხ სართულს ჩაირბენდა, ორჯერ დაგორდა. ნიკოლოზას უკვე უბრაზუნებდნენ. ლეკანამ ჯერ დაიღრიალა, მერე ხმამაღლა შეიგინა და მოჩხუბრებში შევარდა. თითქოს შენელებულად წამოვიდა „დუბინკა“, ხედავდა, მაგრამ განეკვა ვერ მოახერხა. მოწყვეტით დაეცა და თვალები დაეხინდა. გრძობობდა, რომ ნიხლებს ურტყამდნენ, მაგრამ არ სტიკოდა.

იმ დღეს ლეკანა გაგიჟდა. დარწმუნებული იყო, რომ ხარებასა და გოგიასთან ერთად ებრძოდა ჩაფრებს. მთელი სახლი გადმოანგრია მაუზების ძებნაში და რომ ვერ იპოვა, სასონარ-კვეთილებში ჩავარდა. ოჯახი ერთი კვირა ელოდა, როდის გაუნათლებოდა გონება, თუმცა უშედეგოდ. კარზე დააკაკუნებდნენ თუ არა, ლოგინის ქვეშ იმალებოდა, ჩაფრები მოვიდნენო. ერთხელ, გული გამიმაგრა და სტუმრად მისულ მეზობელს ჩაქუჩით გამოვინთო. ეს საქციელი ოჯახისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა და ლეკანა ასათიანზე, ყველაზე კეთილმოწყობილ განყოფილებაში მოათავსეს, სადაც პალატები გარემონტებული იყო და სასიამოვნო გარეგნობის ექთნები მიმოდინდნენ.

თანამედროვე ქართველი მწერლების ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ, რადგან რამდენიმე მათგანი ჩემი ახლობელია და, ამავდროულად, ჩემი საყვარელი მწერალიც. დიდი ჩამონათვალი რომ არ გამომივიდეს, მხოლოდ იმათ დავასახელებ, ვინც განსაკუთრებით მომწონს (პოეტებსაც ჩამოვთვლი მწერლებთან ერთად): რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი, მირზა გელოვანი. როგორც, ალბათ, მკითხველთა უმრავლესობა, კარგი განწყობის შესაქმნელად ხშირად ვუბრუნდები გურამ დოჩანაშვილსა და ნოდარ დუმბაძეს. ძალიან მომწონს ჯემალ ქარჩხაძე და ძალიან მიკვირს, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ამ მწერალს არ იცნობს. იგივე მინდა ვთქვა ზაზა თვარაძისა და გიგა თუთბერიძის შემოქმედებაზე. უცხოელებიდან: ჰომეროსი, სერვანტიე, მექსპერი, (მკვეთრი გადასვლა კი გამომივიდა, მაგრამ) ო' შენი, კიპლინგი, დოვლატოვი, მიგელ ოტერო სილვა, ფრანსუა ვიოინი, ბლოკი, ესენინი, ვისოკი, მომწონს იაპონური პოეზია.

**სამაგიდო ნიხი** — სამაგიდო ნიხი არ მაქვს. ყველაზე ხშირად კი სახარებას ვკითხულობ. ეს „მგლის თავზე სახარების კითხვას“ ჰგავს, მაგრამ მაინც ხშირად ვკითხულობ.

**საყვარელი ლიტერატურული ჟანრი** — კარგი ლიტერატურა ნებისმიერ ჟანრში შეგხვდება, დეტექტივშიც კი, მაგალითისთვის შეიძლება ბორის აკუნინი ან აკა მორჩილაძე მოვიყვანოთ. ეს ის შემთხვევაა,

როდესაც ჟანრი მწერალმა მკითხველის მისაზიდად აირჩია და ბანალური დეტექტივის ნაცვლად კარგი ნიხი წააკითხა. ვფიქრობ, რომ მსგავსი ხერხი აბსოლუტურად გამართლებულია, განსაკუთრებით დღევანდელ დღეს. ასევე არა მგონია, რომ პროზაიკოსი, რომელიც ფანტასტიკის ჟანრში წერს (ვთქვათ, ბულგაკოვი) „რელისტი“ კოლეგაზე დაბლა დგას.

**მიზანი** — პროზაული მიზნები მაქვს, როგორც პირდაპირი, ისე გადატანილი მნიშვნელობით. ვცდილობ, ვიშოვო სამსახური მაღალი ანაზღაურებით და წერაც გავაგრძელო.

— **შენი დებიუტი „ლიტერატურულ გაზეთში“ შედგა და ამავე გაზეთის კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდი. როგორ აღწერდი შენს ემოციას, როცა შენი სახელი და გვარი გამარჯვებულთა შორის გამოაცხადეს?**

— თავიდან მქონდა იმედი, რომ სამედიკო მოვზვდებოდი, მაგრამ როცა კონკურსანტებით სავსე დარბაზი ვნახე, ჩემი ოპტიმიზმი უკვალოდ გაქრა. ასე რომ, გამარჯვების სიხარულს მოულოდნელობის ეფექტიც ახლდა. აქვე მინდა ვთქვა, რომ „ლიტერატურული გაზეთი“ კარგ საქმეს აკეთებს. „ერთი მოთხრობის კონკურსსაც“ ვგულსხმობ და უცნობ ავტორებთან დამოკიდებულებასაც, რადგან მათთვის საქართველოში ლიტერატურული გამოცემების კარი, როგორც წესი, დახშულია ხოლმე.

— **შენი ძმა, ბექა ქურხული ლიტერატურულ წრეებსა და ქართველი მკითხველებისთვის ერთ-ერთი საყვარელი მწერა-**

— **პროზაის ლევანზე უცხო გარემოში იმოქმედა და აგრესია არ გამოუშვლავნებია. ყველა ექთანს ცოლობა სთხოვა, ეგ იყო და ეგ. ფსიქიატრსაც მშვიდად უსმენდა. ეს უკანასკნელი კი ოჯახის წევრებს არწმუნებდა, მდგომარეობა სტაბილურია და თუ პაციენტმა სიმშვიდე შეინარჩუნა, აუცილებლად გამოჯანმრთელდება.**

— **ლევანის ავადმყოფობა, უპირველეს ყოვლისა აგრესიაში მდგომარეობა — ამბობდა ექიმი — და თუ აგრესია გაუქრა, თანდათან, ეტაპობრივად გამოკეთდება.**

ლევანა კი თავს მართლა მშვიდად და დაცულად გრძნობდა. ექიმმა დაარწმუნა, რომ აქ უსაფრთხო ადგილზეა და ჩაფრები ვერ მოაგნებენ. ირგვლივ სასიამოვნო სიმყუდროვე სუფევდა. არანაირი საფრთხე, არანაირი ვალდებულება. წამონებოდა სანოლზე და ოცნებობდა, როგორ შეცვლიდა რომელიმე ექთნის თეთრ ხალატს, თეთრი საქორნილო კაბით.

მეზუთე დღეს ლევანას პალატაში ახალი პაციენტი შემოიყვანეს. ორმოც წელს მიტანებული გამხდარი კაცი, ნალვლიანი თვალებით.

— **ლევან, გაციანი ეს დათოა. შენს პალატაში იცხოვრებს. წინააღმდეგი ხომ არა ხარ? — ჰკითხა ექთანმა, რომელსაც ლევანამ ყველაზე მეტჯერ სთხოვა ცოლობა.**

— **იცხოვროს რა, წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო, რა ფეხებს მომიჭამს? — გაუღიმა ლევანამ ექთანს.**

ექთანი მალევე გავიდა. ლევანამ, როგორც იქაურობის ძირძველმა მკვიდრმა, ინიციატივა გამოიჩინა, დაინტერესდა, ვინ იყო და რა ცხოვრებით ცხოვრობდა მისი ახალი მეზობელი.

— **მე დათო ვარ, როგორც იმ გოგამ გითხრა — უბასუხა გამხდარმა და ნალვლიანმა გიჟმა.**

— **ეგ ვიცი. შენ ის მითხარი რა ცხოვრებით ცხოვრობ, რას წარმოადგენ, შენი პირადული ახსენი ძმაო! — ხმას აუწია ლევანამ.**

— **გამცილებელი ვარ.**

**ლია. ძმის ფაქტორმა ხომ არ განაპირობა, საკუთარი ძალები პროზაში მოგესინჯა?**

— **პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, ეს კითხვა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოდ ჟღერს. ბავშვობიდან ვწერდი, მაგრამ იშვიათად ბექას და მამაჩემს ცდა არ დაუქლიათ, რომ ჩემში წერის ნიჭი განვითარებინათ. იმის მეათედი არაფერი გამიკეთებია რაც ამ მხრივ ხელშეწყობა მქონდა.**

— **რამდენად თვითკრიტიკული ხარ და რამდენად ინარჩუნებს ხოლმე საკუთარი ძმა ობიექტურობის გრძობას, როცა შენს მოთხრობებს კითხულობს?**

— **ზომიერად თვითკრიტიკული ვარ, მაგრამ საკუთარ თავს ბოლომდე ვერ ვენდობი და აუცილებლად ვაკითხებ ჩემს ძმას. ბექა ობიექტურია, თუ არ მოეწონა, აუცილებლად მეტყვის, იმასაც მიხსნის, რატომ არ მოეწონა და რჩევასაც მაძლევს, რომელსაც ყოველთვის ვითვალისწინებ. საერთოდ, რჩევას ერთმანეთს ხშირად ვეკითხებით და ეს მართლ ლიტერატურას არ ეხება.**

— **როგორ წარმოგიდგინა საკუთარი მომავალი, ფიქრობ, რომ როგორც მწერალი იტყვი შენს სათქმელს?**

— **არ მინდა გადაჭარბებულ თავმდაბლობად გამეთვალოს, რასაც გიპასუხებთ, იმიტომ, რომ ხაზგასმული თავმდაბლობა ზოგჯერ უფრო გამაღიზიანებელია, ვიდრე ამპარტავნება. ნაკლებად ველოდები, რომ რაიმე განსაკუთრებულს ვიტყვი, სამაგიეროდ, არც განსაკუთრებული იმედგაცრუება მეშუქრება საკუთარ თავთან.**

— **პარაოზების?**  
— **ყველაფრის.**  
— **ეგ როგორ?**  
— **ვაცილებ ყველას და ყველაფერს, გოგოებს, მატარებლებს, გემებს, თვითმფრინავებს, სტუმრებს, სიხარულს, ტყვივლებს, წარსულს, რა ვიცი, უამრავ ვილაცხა და რაღაცას...**

— **შენ ტუსაღებსაც ხო არ აცილებდი, ჩაფრებთან ერთად, რო არ გაქცეულიყვნენ? — ჰკითხა ლევანამ და სიბრაზისგან ააკანკალა.**

— **კი, კი. ხშირად გამიცილებია ტუსაღები ციმბირში, ძირითადად კი მაგდანში — გაუხარდა და დათოს.**

ლევანამ შემზარავად დაიბლა და გამცილებელს ეცა. ხან ახრჩობდა, ხან ურტყამდა და განუწყვეტილად აგინებდა. პალატაში ექთნები შემოცვივდნენ. ლევანამ დათოს თავი დაანებდა და დერეფანში გაიქცა. დაინახა, როგორ მოდიოდნენ მისკენ ჯანაიანი სანიტრები. მოტრიალდა და მერე მხარეს გავარდა, იქიდან კი მკაცრი გამომეტყველებით ფსიქიატრი მოემართებოდა. ლევანამ პატარა „ტაბურეტა“ შეამჩნია, ხელი დაავლო და ფსიქიატრს სტყორცნა, შუსტი ნასროლი კი ყიჟინით აღნიშნა. წუთსაც არ გაეფიქრა, რომ სანიტრებმა დაიჭირეს და დიდი დობით დამამშვიდებელი გაუკეთეს.

მთელი თვის განმავლობაში ლევანას მდგომარეობა უარესდებოდა, სანამ ყურმამ არ დააფიქსირა, რომ სინდისი ჰქონდა, ჰქენჯნიდა და იმიტომ ძლივს მოახერხა უბნელის ნახვა. ლევანა სანოლზე იჯდა და პალატის თეთრ კედლებს ათვალიერებდა. ყურმამ იმ პლანის „პიტაკი“ მისცა და უთხრა, გოგიამ გამოიტანაო.

მეორე დღეს ლევანა მთლიანად გამოჯანმრთელდა. ყველას უკვირდა მისი სასწაულებრივი განკურნება. მალევე განერეს. პალატიდან რომ გადიოდა, დათოს ყვირილი მოესმა დერეფნის ბოლოდან.

— **დამიცადე, დამიცადე, გაცილებ!** — ეძახდა დათო და მობობდა.

ფრანგ მწერალ ქალს რომ შეეძენა ეს რომანი – „ორსული“ – წარმომადგენია, განათლებული საზოგადოების რა ხმაური მოჰყვებოდა.

დიახ, ნაცვლად ნინო სადღობელაშვილისა, ფრანგული გვარ-სახელი რომ ამშვენებდეს ამ წარმატებულ დებიუტს რომანისტიკაში.

ჟურნალში დაბეჭდილი ერთბაშად მოიპოვებდა მკითხველს, წიგნადაც სასწრაფოდ გამოიცემოდა და ევროპულ ენებზეც ერთმანეთს მიჰყვებოდა ახალი და ახალი თარგმანები.

დახვავდებოდა რეცენზიები თუ ლიტერატურულ-კრიტიკული ესეები.

მწერალი ველარ აუვიდოდა ჟურნალისტებს.

ბესტსელერთა სიაშიც სადღაც თავში აღმოჩნდებოდა.

ალარც კი დააცდიდნენ მეორე რომანზე ფიქრს, თითქმის ეს ერთი უნდა ყოფნოდა სამუდამოდ.

მკითხველი მოიხიბლებოდა ღრმა ფსიქოლოგიზმითაც, დრამატიზმითაც, სიუჟეტის მოხდენილი გაშლითაც, გამოკვეთილი ხასიათებითაც, მღელვარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების მხატვრული განსჯითაც და ექსპრესიულ სურათებზე ჩამოქნითაც, სტილური დახვეწილობითაც.

რალა აკლია?

ჩვენში კი... ჩვენში შესაფერის გახმაურებას არ უნდა ელოდეს... რაც არ ღირსებით კიდევ უფრო მნიშვნელოვან მხატვრულ ქმნილებებს, თუნდაც რომანთა წყებას, „ორსულს“ როგორღა დაებერტყება თავს, მაგრამ ამჯერად რაკილა ნინო სადღობელაშვილის რომანს ვათვალიერებთ კვლავ და კვლავ, მასზე გვწყდება გული, რომ უჩუმრად გადადის თითო-ორი კითხველის ხელში, რადგანაც ავტორი არ მიეკუთვნება ფსევდოელიტარულ დაჯგუფებებსა თუ ტელემწერლებს.

კიდევ კარგი, მთლად არ მოშლილა და წამხდარა ყველაფერი და ათ წელზე მეტ-იცაა, ალარ სუფევს ჩვენს სინამდვილეში არალიტერატურული გარემო, გარდევულია მისი მჭიდროდ შემოგმანული კედლები და პროფესიული სალიტერატურო კრიტიკაც თვალსაჩინო ნაკადად გამოკვეთილა, რაც იმედს გვიღვივებს, რომ არც „ორსული“ დარჩება ბედის ანაბარა, თორემ ცოდვანი არიან მისი გმირები, რომელნიც ასეთი მღელვარებით, ასეთი დაუცხრომლობით მისწრაფიან სინათლისაკენ, ლამობენ მარტოობის გარსის გადალახვას, ხელისგულზე გიდებენ ყველაზე იდუმალი ფიქრებსა და განცდებს და... თანამგრძობელნი კი კანტი-კუნტად ჰპოვონ.

\*\*\*

ჰაინრიხ ბოლის ერთ ნოველას ცოტა უცნაური სახელი ჰქვია – „დოქტორი მურკე აგროვებს... დუმილს“.

არადა, მართლაც დუმილს აგროვებს, მარტოდენ მეტაფორულ შინაარსს კი არ გულისხმობს ეს სახელწოდება.

რადიოსტუდიაში რომ ჰკითხავენ: ეს რა ფირის ნაკუნები გაქვთ ამ კოლოფშიო, – იგი განითლდება და აუხსნის, რომ განსაზღვრული სახის ნარჩენებს აგროვებს, ანუ დუმილის კოლექციონერია.

რისთვის მოუწადინებია ეს უცნაური კოლექციონერობა?

ერთმანეთზე აწებებს და საღამოობით, როდესაც შინ იმყოფება, უკრავს. ჯერ ბევრი ვერ მოიპოვა, მხოლოდ სამი წუთი დუმილის შეგროვება შეძლო, რადგანაც ახლა ცოტას დუმს ხალხი.

ამ პასაჟითაც ხელშესახებად წარმოისახება თანადროული რეალობის ზედაპირულობა და მოჩვენებითობა, მისი მონყევტა სულიერებისაგან, რაკილა სიტყვა თუ მოქმედება ფიქრსა და დუმილში არ გამოტარებულა და ნამდვილი საყრდენი ამიტომაც გამოცლიათ ადამიანებს, რომელნიც მასაში გათქვფვილან და პიროვნებადაკარგულნი მიუყვებიან ცხოვრების დინებას.

დოქტორ მურკეს არაფრისდიდებით არა სურს, რომ შეუერთდეს ამ ნაცრ-

ისფერ, სახენაშლილ მასას და გადარჩენის გზად დუმილთან ზიარება ეგულება.

მისი კოლექცია თუ მოუტანს შვებას და შეანარჩუნებინებს საკუთარ პიროვნულობას.

ძნელი კი არის, ძალიან ძნელი უფიქრელობისა და ზერელე, ფუჭი ლაპარაკის ხანაში ამგვარი კოლექციის შეგროვება, მაგრამ წვალე-წვალეებით ემატება წამი წამს და წუთი წუთს და ჟინმა და სწრაფვამ ბოლოს მაინც თავისი უნდა გაიტანოს – ფირის ნაკუნებისაგან შეიქმნას საიმედო თავშესაფარი გულის მოსაოხებლად თუ თავის მისადრეკად.

სატირულია გერმანელი ნობელიანტის ეს ნოველა, სატირისათვის კი გროტესკული ხერხია გამოყენებული, და დოქტორ მურკეს უჩვეულო ხასიათსაც ეს იერი გადასდევს, დუმილის კოლექციონერს.

არამარტო იქ, სინამდვილის კოლექციონერობა მოუწადინებია ნინო სადღობელაშვილის რომანის პერსონაჟსაც, თუმც აქ გროტესკული მანერა არ იგრძნობა და რეალისტურ თხრობას ამ ეპიზოდში რომანტიკული განწყობილება ჩაენუნის.

ბოლის გავლენა გადმონდენია „ორსულს“?

და მხოლოდ რაკურსია შეცვლილი? მითუმეტეს, როგორც გერმანულ ნოველაში, ასევე ქართულ რომანშიც ამგვარი გატაცების შეტყობა აოცებს თანამოსაუბრეს როგორც სრულიად ამოვარდნი-

როსტომ ჩხეიძე

სიჩუმის ხმოვანება

ლი საქციელი საერთო ფონზე: სიჩუმეებს დისკზე რატომ იწერს?..

მაგრამ რაც გაუგებარია იმისთვის, ადვილი მისახვედრია მთავარი გმირისათვის, ვინც არამარტო შეიძვრის ასეთი კოლექციის არსებობით, არამედ სიჩუმეების შემგროვებელი მამის საფლავზეც გაჰყავს კოლექციის შესახებ. იქ ხომ პატარა ეკლესია დგას და ყველა ასეთ ეკლესიასაც მოივლიან იმ დღეს.

ეს ეკლესიები კი:

– დაახლოებით ისევეა, როგორც ჩიტები, რომლებიც ზამთარში თბილ ქვეყნებში ვერ მიფრინავენ და მარადიულად ერთ ადგილას რჩებიან... და მათ აქვთ რალაც გამაყრუებლად ჩხრიალა, ხმოვანი სიჩუმე, ნაკადულში თავს რომ წაყოფ და კენჭებს რომ ტალღები აჭრიალებენ, ისეთი. ეს მანამდე მეც არ ვიცოდი და მერე, ჩანანერი რომ მომასმენინა, გავოცდი...

გამაყრუებლად ჩხრიალა, ხმოვანი სიჩუმეო...

ეს შეგრძნება გულიდან მოდის, სულიერ ხმებსაა მიყურადებული მწერალი და თვითდაკვირვებით აღმოაჩენს საყრდელი დუმილის ამ უჩვეულო, გამოგნებელ მადლსა და ძალას, ხილულ გარემოში ნაკადულში თავჩარგვასა და კენჭების ჭრიალის მოსმენას რომ აგონებს.


რაკურსი თავისთავადაა განსხვავებული სხვადასხვა მწერლის მანერის გამო. ამგვარი მიგნებანი მნივლობრივად გავლენით არ ხდება და – იმის მიუხედავად, ახსოვდა თუ არ ახსოვდა ამ სტრიქონების წერისას დოქტორი მურკეს სახე – ნინო სადღობელაშვილის რომანის ეს პასაჟი ამიტომაცაა არა ნასესხობის ნაყოფი, არამედ ორიგინალური, დაგვირგვინებული სიჩუმის ასე მოულოდნელი აღქმით, რაც გარეგნულ ეფექტზე მეტად იმ სიღრმითა და ნიუანსობრიობით გვხიბლავს, რაც საერთოდაც ნიშანდობლივია ამ რომანის სტილისტიკისათვის და მისი სახელწოდების წარმომავლობაც აკი ამ მოხდენილ ფრაზაში ჩანს: რაკ... დედამინა დღემდე მხოლოდ ორსულთა მუცლებში ბრუნავს...

და ამ თავისებურ სენტენციას ასულდგმულებს ის შეგრძნება, რომ: ორსულობა ყველაზე მშვენიერი მდგომარეობაა სამყაროში, როცა თავისუფლებაზე ფიქრობ. მთელი ეს დრო მხოლოდ ეს გაღელვება, როგორ გამოვა ერთხელაც

შენგან ეს მეორე სული და როგორ აივსებით ორივე ახალი სიცოცხლით... როგორ გამოთავისუფლდები ერთხელ და სამუდამოდ და დაცარიელდები, რადგან შეუძლებელია მთელი ცხოვრება იყო ორსული.

\*\*\*

– ეს წიგნი ეძღვნება ყველა გამოგონილ პერსონაჟს, რომლებშიც ამოადექე-



სიჩუმის ხმოვანება

ბენ თავს ჩვენი შეყვარებულები.

ამ მახვილგონივრული, ერთგვარად პარადოქსული აკორდით ბოლოვდება რომანი, რომელიც ისედაც რეალურისა და ირეალურის მიჯნაზე ტრიალებს და ყოფითობა და წარმოსახვა ისე ძალდაუტანებლად გადადის ერთიმეორეში, მწერალთა წრის ცხოვრებას როგორც შეჭვერის – ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის ჟამისას, როდესაც ყველაზე მძაფრია შინაგანი ჭიდილი და მიმოწყდომა უხილავ სივრცეში; და როდესაც სულიერი და მხატვრული ძიებანი თანდათან უნდა გამოიკვეთოს და მრწამსად ჩამოყალიბდეს, რომლის გადმოსახედიდანაც ხელშესახებად უნდა ამოჩნდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის გულისგული, თავისი მრავალფეროვანი დანაშრევებით.

მისაგნებაც სწორედ ესაა და შესაფერისად წარმოსაჩენიც, რადგანაც ყოფითობა ძალუმად გიბიძგებს პუბლიცისტური მანერისაკენ, არა მოჩვენებითი ჟურნალისაკენ, რაც სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი მხატვრული მეთოდი, არამედ ნამდვილი პუბლიცისტური სტილისტიკისაკენ და... კიდევ დაკარგავს თხრობა თავის დანიშნულებას არალიტერატურული ნაკადის შერევით.

მითუფრო საფრთხილოა, რომ პუბლიცისტური ნაკადი არ შემოგერიოს, როდესაც უშუალოდ შემოგაქნს დოკუმენტური ფონი, როგორც აგერ წინო სადღობელაშვილის რომანში ჩნდება 2007 წლის 7 ნოემბრის რბევის სურათები. ხელშესახებად წარმოსახო ის დრამატული დღე და ხელიდან არ გაგისხლტეს მხატვრული საბურველის ძაფი, რათა თხრობის ქსოვილს უსიამოვნო ნარღვევები არ დააჩნდეს.

და, რაც მთავარია, ეს დღე დაიხატოს არა ერთი სამზეროდან, არამედ შინაგანი დიალოგის, სულაც პოლემიკური პათოსის ფონზე – ორი წრფელი ბუნების პერსონაჟის შეუთანხმებლობის კვალდაკვალ. რბევის სურათებში კი მკითხველი მოწმე ხდება იმ უჩვეულო, სიმბოლური მოვლენისა, თუ როგორ იბადება ბავშვი ქუჩაშივე, რაკილა სულიერი სტრესი აჩქარებს ორსულობის პროცესს.

\*\*\*

ძნელია უფრო ლაკონურად და ტყეადად განსაზღვრო „ორსულის“ სულისკვე-

თება და მხატვრულ-იდუური მრწამსი, ვიდრე ავტორი ახასიათებს ანოტაციურ მიწანერში:

– ქარს რომ გაატან შენს პურს, რათა მრავალთა დღეთა შემდგომ კვლავ მოიძიო, – ამ კარგავზე და ამ პოვნაზე ეს წიგნი.

სიმბოლიკის გამჭვირვალებას თან მოაქვს ბიბლიური სურნელი, ის ზნობრივი საყრდენი, რომელზეცაა ამოშენებული ეს რომანი; და თუ ერთბაშად მოულოდნელი გეგვინება ამ სურნელზე მინიმენტა, უფრო ღრმად ჩაკვირება „ორსულის“ მხატვრულ ქსოვილში, დაგიდასტურებს ამგვარი გააზრების აუცილებლობას და უკვე ბუნებრივად აღიქვამ ფრაზის ამგვარ გაგრძელებას, რომ: ქარი მთელ სამყაროში დაიარება და შეუძლია სრულიად წარმოუდგენელ ადგილებშიც დათესოს შენი პური; და რომ: „ორსული“ მომკილ პურსაც გულისხმობს.

იცვლება პეიზაჟი, იცვლება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი, იცვლება გარეგნული ნიშნები, მაგრამ უცვლელია ადამიანური ხასიათები, დაუსრულებელ წრებრუნვაში მოქცეულნი და სულიერი საზრდოს მომლოდინენი, რისი წყურვილიც ასე ხელშესახებად გადასდევს ნინო სადღობელაშვილის რომანს და ერთი შეხედვით ბანალურ ამბებს ღრმაზრავანი შინაარსით აღავსებს.

ფრანსუაზა საგანი ვერ მიაღწევდა თავის სადებიუტო რომანში ამ სიღრმეს და ბანალურ ამბავთა კოლაჟს იკმარებდა, თუმც საკმაოდ ცოცხლად და წრფელად წარმოსახულს. ამიტომაც ბანალურობა ხელს ვერ შეუშლიდა უჩვეულო წარმატება მოეპოვებინა და 18 წლის ქალიშვილი დასრულებულ მწერლად ელიარბინათ. ცხადია, ყმანვილურ ასაკსაც ჰქონდა თავისი მნიშვნელობა საზოგადოების ასეთი დაინტერესებისათვის, მაგრამ ფრანსუაზა საგანი ოცდაათისაგან რომ ყოფილიყო, „სალამი, სევედა!“ მაშინაც გახმაურდებოდა, თუნდა რალაც უჩვეულოდ არა.

ფრანგებს არავისგან ესწავლებათ თავიანთი კულტურის მოვლა, სულის ბერვა ყოველი მეტ-ნაკლებად წარმატებული მცდელობისათვის. ისეთი რუდუნებით დაჰფოფინებენ თავზე ნიჭის უმნიშვნელო გაელვებასაც, გეგონება, ბევრი არაფერი მოეპოვებათ და, სხვა რა გზა დარჩენიათ, პატარა-პატარა წარმატებანიც გულმოდგინედ უნდა აგროვონო.

არადა, ჯერ მარტო მწერლობაში საარაკო განძის მფლობელი არიან და მსოფლიო გემოვნებასაც ძველებურად განსაზღვრავენ.

მამ რალა რჯით, კვლავაც ზრუნვა არ მოაკლონ დებიუტანტებს?.. და საერთოდ, ყველა თაობას?

ეს ზრუნვა, ეს ყურადღება, ეს დაუმცხრალი ცნობისნადილი ნიჭის ყოველი გაელვების მოლოდინში ქმნის ფრანგების სულიერ კონსტიტუციას, მათი თვითმყოფადობის ყველაზე საიმედო საყრდენს და შეაძლებინებთ შეინარჩუნონ სალიტერატურო პროცესის მღელვარება. რასაკვირველია, ის განძიც, რაც საკაცობრიო მონაპოვრისათვის შეუმატებიათ, ამ დუდილის ფონზე გაცილებით უფრო სახიერად მოჩანს და, ნაცვლად გამოუყენებელი საუნჯისა, ჩართულია ყოფის ორომტრიალში.

\*\*\*

ჩვენი მცირერიცხოვნებას რომ მივტირით დაუსრულებლად და თავის გასამართლებლადაც ამას ვებლაუჭებით, ამ მხრივ – მზრუნველობით – ხომ შეგვიძლია ვესწრაფოთ დიდ სახელმწიფოთა – თუნდაც საფრანგეთის – მაგალითის განმეორებას და ყურადღება არ მოვაკლოთ ნიჭის ყოველ გამონათებას.

გამონათებასაც კი. თორემ ნინო სადღობელაშვილის რანგის შემოქმედს ისედაც არ უნდა მოაკლდეს ზრუნვა – ხშირად კი არ ვართ მოწმენი „ორსულისთანა“ რომანების გამოჩენის... არც იმგვარი ესეების, თანდათანობით წიგნადაც რომ მოიყრის თავს...

ისე, აბა, საფრანგეთში ეცხოვრა...

ერთ-ერთი არვალი კმის  
შეხვედრა მამასთან

მშობლიური სახლის დანვის გამო

მამაჩემი ხარ? — ვკითხულობ ჩუმად,  
მამაშენი ვარ! — მპასუხობს იგი,  
რა ვქნა, რა ვთხოვო, ძვირფასო, უფალს,  
როცა მლაღატობს ყველა შენს იქით.

მე ამ ქუჩაზე რა მინდა უკვე,  
სადაც არ დამრჩა უბრალო ხამლიც,  
მე ერთხელ უკვე უშენოდ მომკლეს,  
ახლა მეორედ მგუდავენ კვამლით.

წყალთან, ფესვებთან მინდოდა ყოფნა,  
რომ საკუთარი მეგლოვა ბედი,  
მაგრამ პირდაპირ შიგ გულში მომხვდა  
ტყვია, რომელსაც მალავენ ჩემთვის.

ასეთი დილა, ასეთი ღამე  
მე არ მქონია არასდროს, კარგო,  
თითქო თვალეში მიყრიდნენ შანთებს  
ემმა, ბუდარა და შავი მარგო.

ვერ გამოვგლიჯე ცეცხლსა და გრიგალს  
ის, რაც მიყვარდა, მომწონდა ადრე,  
ვერ ვუსწორფერე სვესა და ილბალს,  
ვერც შენს ოცნებებს და მალალ სახელს.

აქ ისტორია ჰყვაროდა ლექსად,  
მზეს და ოჯალემს ჩაფებით სვამდნენ,  
და სავსე, როგორც ჩიქვანის ქისა, —  
ცა ანათებდა ბადახშით სავსე.

მამაჩემი ხარ? — ვკითხულობ ჩუმად,  
მამაშენი ვარ! — მპასუხობს იგი,  
რა ვქნა, რა ვუთხრა, ძვირფასო, უფალს,  
როცა მლაღატობს ყველა შენს იქით.  
.....

თვალს გააყოლებს მაისის ღრუბელს,  
გახედავს სოფელს და მალლა ზედანს,  
შეტრიალდება ქარით უცებ  
და შეგვიკურთხებს სამივეს ერთად.

ერთ-ერთი არვალი კმის  
შეხვედრა დედასთან

სახლის დანვის მეორე დღეს

ფეხშიშველა ნუ გამოხვალ, დედა,  
გარეთ ცივა და ქარი ქრის ზენა,  
ფეხშიშველა ნუ გამოხვალ, დედა.

თუ გინდა, რომ ეს ზაფხული გავძლო,  
ნუ გამოხვალ ნახშირით და ძაძით,  
თუ გინდა, რომ ეს ზაფხული გავძლო.

მე გიყიდი იმ ვარდისფერ თავშალს,  
შენ რომ ასე შეჰხაროდი, შარშან,  
მე გიყიდი იმ ვარდისფერ თავშალს.

მე მოგიტან ფაიფურის ფინჯანს,  
აბრეშუმს და შემოდგომის ფიჭას,  
მე მოგიტან ფაიფურის ფინჯანს.

სად მიდიხარ, სად იქარი, დედა?!  
ჩემო კარგო, — ჩემო ანდრომედა,  
სად მიდიხარ, სად იქარი, დედა.

მოსახვევში ნუ დადგები, დედა,  
ჩემდა ურვად, სინანულად ჩემდა,  
მოსახვევში ნუ დადგები, დედა.

გულზე ხატით და წმინდანის ჯვარით,  
ანგელოზი დაგიფარავს, დედა,  
გულზე ხატით და წმინდანის ჯვარით.

დედა!  
დედა!  
შე, საბრალო დედა!

\* \* \*   
ნიკოლას მჭედლიძეს

რამეთუ დედის გაცხია თაფლი,  
რამეთუ მამის ხარ წვეთის წვეთი,  
მტკვარზე, არაგვზე ვეძებდი ადგილს,  
რომ მომეტაცა ფერები შენთვის.

რამეთუ მშობლის ფუძე და კვეთი  
წმიდაა, როგორც პური და ულო,  
მე საქართველო მინდოდა შენთვის,  
შენ ესპანეთი არჩიე, სულო!

რამეთუ სხალთა, გეგუთი, გრემი  
ინახავს კიდევ სხვა საიდუმლოს,



გენო კალანდია

მე საქართველო მინდოდა შენთვის,  
შენ ესპანეთი არჩიე, სულო!

წმინდანის მოდგამს ფერი და ფესვი,  
ვით უფლის კერას ვაზი და სურო,  
მე საქართველო მინდოდა შენთვის,  
შენ ესპანეთი არჩიე, სულო!

განისხლული მთვარე

რ.ა-ს.

ეს კაცი ჩემი ალალი ძმაა,  
მე ვიცი მისი ცხოვრების წესი,  
არ მეგულეა იმგვარი ძალა,  
შეცვალოს მისი ქართული ფესვი.

ღმერთო! მახვილით მომადგა მტერი,  
ლიახვზე უდგას მარჯვენა ფეხი,  
ადექი, ძმაო! გაშალე მხრები,  
საცაა უნდა გავარდეს მეხი.

ჩვენ საქართველოს აქამდე შევრჩით,  
დრო, სამწუხაროდ, დაგვიდგა მძიმე,  
წუხელ მეტეხთან ვიჯექი ჩემთვის  
და ცად ვეძებდი მომავლის ნიშნებს.

ნუ იტყვი: „მორჩა, გათავდა, მორჩა“,  
ნუ დაამძიმებ სულს ძველი თასით,  
სიკვდილის ველზე პოეტად ყოფნა  
არის ნამდვილი გმირობის ფასი.

შენ კარგად უწყი, რომ პოეზია  
არის გოლგოთა, მაცხოვრის ჯვარი,  
ისეთი ლექსი მაჩუქე ბარემ,  
რომ ხვალ საფლავში არ ჩამყვეს ჯავრი.

ისეთი ფერი დაკრავდეს უნდა,  
როგორც ომის დროს ლიახვის ჭალებს,  
მე იქ მივდივარ... და საზიაროდ  
გიტოვებ ქართლის გასისხლულ მთვარეს.

ზღვა იყო, როგორც ცოცხალი საგა

როცა ღამეებს ვათევდი თეთრად,  
როცა ცა ჰგავდა ლესბიას საბანს,  
მე ბედნიერი ვიყავი შენთან,  
მე კატულუსის ვყვებოდი ამბავს.

როცა ცა ჰგავდა ლესბიას საბანს  
და კამელია ბაბთიან გოგოს,  
ზღვა იყო, როგორც ცოცხალი საგა,  
მზე იყო, როგორც ბეკეტის გოდო.

\* \* \*   
ზურაბ გორგილაძის ხსოვნას

კვირაა, უქმე... ლოცულობს მრევლი,  
ზღვა ბზინავს, როგორც ბრინჯაოს ფარი,  
მე – ესმერალდა მინდოდა ცოლად,  
თქვენ – მედეაზე დამწერეთ ჯვარი.

ბათუმის კართან ვიდექით ორნი,  
ერთად ვსუნთქავდით ფაზისის ჰავას,

მე გორგილაძეს ვკოცნიდი მხარზე,  
ვით ახალგაზრდა — მგოსანს და მამას.

ზღვის ფრინველები გვიფრთხოდნენ ხშირად,  
ვით ასკილის და კაქტუსის ფოთლებს,  
ჩვენ ათენიდან ველოდით დიდხანს  
პოსეიდონის ეტლსა და ორდენს.

მაგრამ სიცოცხლე აღმოჩნდა ფშუტე,  
როგორც ქილაში წყალი და გვალვა,  
ის თავადივით ლოგინში მოკვდა,  
მე კიდევ აგერ ჯერ რიგში ვდგავარ.

ღუზაჩაშვებულ გემივით იდგა  
გამოთხოვების პიტალო დროში, —  
ქალაქი, ხალხი, საფლავის ორმო...  
და იგი ცხადი... და მაინც შორი.

იმარული ასპიზი

ამირან ყურაშვილს

ისეთი კარგი ზაფხული იყო,  
ისეთი ჭრელი და სასაცილო!

ბაზრის ეზოში და ბაზრის კართან  
იხვის ჭუკები იწყებდნენ ყიყინს  
და ქათმეზივით დაბაში კვირას  
იყიდებოდა აგვისტოს ნიყვი.

ნუშის სიფართე თვალეში ჰქონდა  
გოგოს, რომელიც ჰყიდიდა სოკოს,  
და სხივი ედგა, ვით ჯიკონდას,  
მისი ტუჩების ვარდისფერ კოკორს.

ხარობდა გლეხი, მჩხიბავი, რაბი,  
მიქებდნენ ციცქას, გოლუულს, თევზებს  
და გაფენილი რიკულზე ტყლაპი  
ახალოხივით შრებოდა მზეზე.

მოჰქონდათ დიშის, ფერსათის მადლი  
ოჯახის ქალებს, ვაჟებს და კაცებს  
და ნამუსრეზე ფიქრით და ჯავრით  
ქუჩის ძაღლები დასდევდნენ ყასბებს.

კაჟისფერ კუდებს ურტყამენ დახლებს  
შავულვაშება ღლავი თუ ლოქო  
და ორი ბიჭი, ვით ორი მახრა,  
ჩუმჩუმად ჩქმეტენ ლოქოს და გოგოს.

აგერ აბზინდას სთავაზობს სტუმარს  
ვერცხლისთმიანი ოსტატი ძველი,  
აგერ მოხუცი კითხულობს უსტარს,  
რომ კახეთს თურმე იწყება რთველი.

როგორც ყოველთვის, ყოველ დროს, ახლაც,  
აღისფრად ღუის თაკვერი, შაშხი,  
მადლობა, ძმაო! ის ერთი კვირა  
ვიყავი, როგორც ბაღდადის მახვში.

აფხაზური სამკუთხედი

ერთი ბიჭი გავიცანი,  
ბიჭი იყო საყვარელი,  
გაზაფხულის ცას ხატავდა  
ნახშირით და აკვარელით.  
ქარდაკრული ამინდივით  
თმები ჰქონდა აბურდული,  
სულ პატარა რამე წყინდა,  
იდგა ტუჩებგაბუტული.  
ოჩამჩირეს ცოლი ჰყავდა,  
აჩიგვარას — საყვარელი,  
ერთი კარგი ცხენიც ჰყავდა  
თეთრშუბლა და აგასფერი.  
შუადღემდე ცოლთან იწვა,  
სალამო ხანს — საყვარელთან,  
აფრასავით დაფრინავდა  
შეზლონგი თუ საქანელა.  
გარეთ ცხენი ჭიხვინებდა  
ფეხმარდი და გრძელკისერა.  
.....  
სერზე მთვარე ანათებდა  
აფხაზური ფაცხისხელა.

მონატრება

თამაზ ჩხენკელს შეხუმრებით

ხომ არ ვეწვიოთ  
ჯუმა ახუბას  
ამ გაზაფხულზე,  
ჩემო ბოძიუ?!  
ამ გაზაფხულზე,  
ჩემო ბოძიუ,  
ხომ არ ვეწვიოთ  
ჯუმა ახუბას?!

**ივარი**

*მხოლოდ ჩემს თავს, სხვას არავის*

მე არ ვატარებ ძენივით ქოლგას,  
არც ბამბუკების კარავში ვზივარ,  
ნოემბერია... მდინარე ბორგავს,  
სალამობით ყინავს და ცივა.

სოფლის გზირივით ვუყურებ ღრუბელს,  
ვცდილობ, გავიგო მოწყენა მისი.  
ის წმუნვარებას მანამდე უძღვება,  
სანამდე უდღულს ძარღვებში სისხლი.

თორმეტი ბლოკით შეკრავენ სოფელს,  
რომ შენი წილი ცა აღარ ნახო,  
და მთვარეს, როგორც საარყე როფეს,  
შედგამენ სადმე გომურის ახლო.

ბორცვებს, მალლობებს წალეკავს თქეში,  
ნებით თუ ძალით გაქრება ნიში,  
წავალ... დავდგები ყაჩაღად ტყეში,  
ან თავს მოვიკლავ მომავლის შიშით.

**გამცემა**

მორჩა... გათავდა... ამიერიდან  
მსაჯული იყოს ქვეყნის თემიდა.

უნდა გავიდე სიყვარულიდან,  
როგორც ეს წვიმა ვარდის სულიდან.

უნდა გავიდე შენი ტანიდან,  
როგორც მაისის თაფლი ღარიდან.

გავქრე, გავიქცე, გავუჩინარდე,  
როგორც ეს დილა მხატვრის ფუნჯიდან.

უნდა გავიქცე შენი ლუვრიდან,  
ვით ცისარტყელა ოქროს ხნულიდან.

მორჩა... გათავდა... ამიერიდან  
უნდა წავიდე შენი ბედიდან.

**ქერა ქალთა პაითალაბა**

ქერა ქალები უყვარდა ყმანვილს,  
ტკბებოდა ქერა კავების კავით,  
როგორც სისხამზე ხენდრო ან მარწყვი, —  
ისეთი იყო იმათი ტანი.

წვიმდა თუ თოვდა, წვიმდა თუ თოვდა,  
თუ ქარი ქროდა ზემო და ქვემო,  
მთელი ელადის გოლეულს სჯობდა  
იმათი თაფლის ფერი და გემო.

დრომ ხავერდები მოხვეტა სოფლის, —  
უსასრულობის და შორი ბედის,  
როგორც ალუბლის, ან არყის კვირტი, —  
ისეთი იყო იმათი მკერდი.

.....  
მე ხელნაკრავი თერძივით დავრჩი  
(რეალობას და ოცნებას შორის),  
რომელიც ძაფს ვერ უყრიდა მახათს  
და თავი მაინც ეგონა ქორი.

ქერა ქალები უყვარდა პოეტს.

**\*\*\***

დღე — ღამეს მოსდევს,  
ვით ზვირთი — ზვირთებს,  
შაბათის ლოცვებს — კვირის ლოცვანი,  
ნეტა, შენს ხსოვნას შემოვრჩე ისე,  
ვით შემოდგომის ზეგანს მოცხარი.  
გული ჯერ ფეთქავს...  
გული ჯერ ფეთქავს, —  
წყალივით სუფთა და უანგარო,  
მადლობა უფალს!  
მადლობა ყველას, —  
ვინც გვერდით მედგა და ეს სამყარო  
მიბოძა წვიმად, მარილად, ცრემლად...  
მასწავლა სოფლის ავი და კარგი,  
ჩამაცვა მწირის, დევნილის ფლასი,  
ხელთ მომცა წმინდა წიგნი და ჩანგი.  
აღვაპყრობ ხელებს, ვით ქვეყნის გლაზა  
და გთხოვ სიყვარულს და პატიებას,  
დღე არი თბილი, მზე არი მაღლა, —  
ცა იფურცლება მარტის იებად.

მადლობა უფალს!  
მადლობა ყველას!

**სინანულის ლაქსი**

**ანუ**  
**ანდერძის მავიარ**  
გენოს რო ბედი ჰქონოდა,  
მაგრა გაშლიდა მკლავებსა,  
არც ქალაქს მიატოვებდა,  
არც თეთრახევის კრავებსა.  
.....  
ძალღივით ინანნალა და  
თბილისში ჩამოაღწია.  
ახლა ზის თათრისუბანში,  
კარგად სვამს, კარგად აცვია.

ვაი, ამგვარი ცხოვრების  
შემყურე — შემხედვარესა,  
უმიზნოდ, უმისამართოდ  
ტყეში გაბნეულ არევსა.

ჯავრი კლავს... ცრემლით იგონებს  
ვეფხვის წელს, ბზიფის მთვარესა,  
მოკვდება... წყალს გაატანეთ  
ზღვისკენ — მარცხენა მხარესა.

ერთი ქვაც თან მიაყოლეთ  
მის გვამს და ფიჭვის კუბოსა,  
რომ სკნელშიც თავში იცემდეს  
იმ ქვას, ვითარცა უროსა.

ქრისტეს რჯულზე და მამულზე  
ცოდვილი სული დალიოს,  
მერე თქვით საგალობელი, —  
სააღდგომო და ალილო.

**შამთხვევა საეფუძოში**

მეფის, უფლისწულის სასახლეში  
ქალი სიყვარულით მოინამლა...  
ვარდის, ზეთისხილის ყვავილივით  
ქალი სიყვარულით მოინამლა,  
.....  
ქალი სიყვარულით მოინამლა.

**გალაკტიონი, აკაკი**

გალაკტიონი,  
აკაკი მიყვარს,  
ცრემლი მისველებს  
უპეებს, ნიკაპს,  
ცრემლი მისველებს  
უპეებს, ნიკაპს,  
გალაკტიონი,  
აკაკი მიყვარს.

**თოვლი, კრავი და გავში**

ზემორე სოფელს ყმოდნენ მგლები,  
ქვემორე სოფელს კიოდა ტურა,  
თოვდა და თოვდა... მაღალი ყელი  
სავარდე სურას უგავდა სურამს.

მე მაყარივით მოგდევდი გვერდით  
და იაგუნდი ტიროდა თმაში,  
თოვდა და თოვდა... და ღიხის ქედი  
ჰყვავდა, როგორც სამოთხე ვაშლის.

გზები დაბმული იობის ძაფით,  
თითქო გაფრენას ღამობდნენ ცაში,  
თოვდა და თოვდა... და დიდი ბალის  
კიდესთან იდგა კრავი და ბავში.

მღეროდა ბავში, ტიროდა კრავი, —  
როგორც სანთელი და ქარვა ქარში,  
თოვდა და თოვდა... და თეთრი ნავი  
თოვლს მიარღვევდა, ვით თეთრი რაში.

**სონეტი**

შენს ნათელში ვარ, შენს მთვარისფერ სამლოცველოში,  
იქ, სადაც უფლის სიყვარული ისე დიდია,  
ისე მაღალი, გეგონება თითქო დილიდან  
ბეთლემს მიდიან მონაზვნები, ანგელოსები.

შენს ნექტარს ვსვამდი ფუტკარივით მთელი მკათათვე,  
გულზე ვარდივით განთიადის ვერცხლი მეყარა,  
მე ცრემლს ვმალავდი, ვით მარგალიტს, რომ ეს ქვეყანა  
აღმომეჩინა ხელმეორედ წმიდა ხმათათვის.

ნიკოფსიიდან დარუბანდის ოქროს კარამდე  
შენს ყველა ყვავილს ღვთის მარადი მადლი ფარავდეს,  
მრევლის ლოცვებით გადაადდეს მცხეთა, სიონი.

და საქართველო, გულდამწვარი, როგორც ერეკლე,  
იპოვის ახალ გვირგვინოსანს და ახალ მეკვლეს,  
აქ ვართ ყველანი — ჩინიანნი და უჩინონი.

**მისხური რკულიდან**

კარგი კაცია მეუფე ჩვენი,  
ღვთიური წესით მოგაგებს სალამს,  
პალმის რტოსავით მეჩხერი წვერი  
უხდება სოფლის სულიერ მამას.

ილოცე, მღვდლო! მაცხოვრის სახელს  
ჩვენც ვანათებდით ფიცით და სისხლით,  
ჯერ მშობლიური გვახურავს ზეცა  
და ღმერთმა ნუ ქნას, ის იყოს სხვისი.

II  
გადაუხსნია თორისწყალს მაჯა,  
რომ შრიალებდეს, მზეთამზის მტილო,  
როგორც ბებერი ცხენისთვის ნამჯა,  
ისე კარგია ჩემთვის ეს ღვინო.

მთელი ზაფხული ველოდი სიკვდილს  
(გირაოდ გყავდი მილეთის ჯანლო!),  
ახლა ნამდვილად მოცეცხს, მიკვირს,  
ვით გადაფურჩი ქარონის კანჯოს.

III  
ერეკებიან ქარები ღრუბლებს,  
როგორც ჭარმაგი მესხები ფარას,  
აქ თორელები სახლობდნენ თურმე,  
ანწყოს, მომავლის უმტკიცეს ფარად.

თვალი შევავლე ძველისძველ ქონგურს,  
როგორც წარსულის მწუხარე ფურცელს,  
სანამ წვიმები კეცავდნენ ქოლგებს,  
მზე გამოვიდა დაბაში უცებ.

**IV**

*ანანოს*

ზაფხულის ბოლო შაბათი გადის,  
მზე და თბილა წაღვერის ტყეში,  
მოგიკვდეს მამა — ჭალარა ბარდი,  
თუ ელაღატოს ოდესმე შენთვის.

როგორც ამბობენ: დრო არის მძიმე  
და არც არავინ არავის შეველის,  
შევეჯიბრები მესხეთის ჩიტებს,  
თუ სიყვარული მექნება შენი.

თაფლისკვერივით გიგ ზავნი ლექსებს,  
მარწყვის მძივებით და ოქროს ქოშით,  
რომ საქართველო გიყვარდეს ისე,  
როგორც უყვარდათ თამარის დროში.

V  
ბედნიერი ვარ! — ტიმოთეს უბანს  
მზე რო უკოცნის ძონისფერ პორტალს,  
ვემშვიდობები ტანმალალ ნაძვებს,  
მე აქ ნამდვილი სამოთხე ვპოვე.

მამაო, ძეო, — მადლობა დიდი,  
რომ უფრთხილდები საყვარელ ფუძეს,  
ბედნიერი ვარ! — მზეა თუ ბინდი,  
ისეთი შვება მომგვარეთ გულზე.

მალე ახალი სტუმრები მოვლენ,  
რომ მერე სული ცვილივით ძერწონ,  
თუკი განგება ინებებს, მეტყვის,  
მე ისევე მოვალ, მამაო, ძეო!



შორენა ბერელიძე

ღრუბლის სარწველაში

მეზობელი თამაშობდა ხოლმე თოჯინით. ზამბახის ფოთლებს აკვანდ იყენებდა, ყვავილის ფურცლებს კაბად. თვალებს დახუჭავდა, დამყოლი ღრუბლის ქულას სარწვევლას ფორმას მისცემდა და დაასვირებდა აქეთ-იქით თავის შვილობილს. ხანდახან იმავე სარწველაში თვითონაც წაუძინებდა ხოლმე. მუდამ ასე იყო, მარტო უფრო კარგად გრძობდა თავს, თამაშსაც უფრო ატანდა გემოს. აფრთხობდა ხმაური და აურზაური. ეგეც რომ არ იყოს, მასავით ვერავინ ჯდებოდა წალისებური მთვარის კალთაში, ვერავინ ცოცდებოდა მზის სხივებზე და ღრუბლებზეც ვერავინ აცხობდა ძილს.

— რა უცნაური გოგოა, სხვა ბავშვებს სულ არ ჰგავსო, — ჩაილაპარაკებდა დედა და დილის საქმეებით დაღლილი სამსახურისკენ ჩქარი ნაბიჯით გასწვებდა. სკოლიდან დაბრუნებული და-ძმა ზედ არც კი შეხედავდა, თითქოს ისეთი გამჭვირვალე, არც კი ჩანსო, ისადილებდნენ და თავიანთი მეგობრებისკენ გაიქცეოდნენ. მამა თითქმის არ იყო შინ. ერთადერთი ბებო რჩებოდა, ბოსტნიდან ბოსტანში, ან ყანიდან ყანაში გადასვლისას რომ გამოელაპარაკებოდა ხოლმე. მარტოობას სულ არ განიცდიდა, პირიქით თავს ასე უკეთესად გრძობდა და თოჯინასთან ერთად ცასა და მიწას შუა ბილიკს ტკეპნიდა სიხარულით..

შაბათი დღე იყო. დედა სახლს საგულდაგულოდ ალაგებდა. თავგების შესაშინებლად ახლად მოყვანილი კატის კნუტი გამუდმებით ფეხებში ედებოდა და ქალიც გამუდმებით ბრაზობდა, სასადილო და სამზარეულო რომ მოაწესრიგა, მერე მეორე სართულზე ავიდა საძინებლის დასალაგებლად, არ გასულა ხუთი წუთი და, შე საზიზღარო, ეს რა გიქნია, ახლა ნახავ რა მოგივაო, — აკივლებული ქალის ხმას მოახილივით აჰყვა კნუტის შემინებული კნავილი. მეორე სართულზე საშინელი ალიაქოთი ატყდა. გოგონა დაფრთხა, თოჯინას უმაღ უშვა ხელი და მეორე სართულს შიშგამოკრული შავი თვალებით შეაცქერდა.

— ლოგინზე მოუშარდავს ამ საზიზღარს, — თქვა აივანზე გადმომდგარმა დედამ და სათქმელს კატის კნუტიც მოაყოლა.

იდგა ბავშვი და ამ პატარა არსების ფრენას ისე უცქერდა, თითქოს მეორე თავისნაირი იპოვო, მაგრამ კნუტს მისგან განსხვავებით თვალები ისე ჰქონდა დაჭყეტილი, თითქოს ეგ არის და ბუდიდან გადმოუცვივდაო. კატა რისი კატა იყო, რომ სიმაღლიდან გადმოგდება ვერ აეტანა, მაგრამ თავი ბეტონის ნატეხს დაჰკრა და თვალებიც ისეთივე დაჭყეტილი დარჩა, როგორც ფრენის დროს ჰქონდა.

გოგონამ ვერ გაიგო რა მოხდა, კნუტის უსიცოცხლო სხეულს ხან თავთან დაუდგებოდა, ხან ფეხებთან. ამასობაში დედაც ჩამოვიდა სახლიდან და მკვდარი კატა რომ დაინახა, ოდნავ შეცბა, — ეს ოხერი რამ მოკლა, ეცტყობა თავი ბეტონს დაარტყაო, — ჩაილაპარაკა და შვილს შიშით შეხედა. გოგონას თვალებში რა იდგა, ვერ გაარჩევდით, რადგან ქუთუთოსთან მომდგარ ცრემლებს ნისლში გაეხვია გუგები.

იტერა მთელი საღამო, ღამის ნაწილი, რადგან დაღლილს გათენებისას ჩაეძინა. მერე მთელი დღე, მერე ისევ საღამო და თითქმის მთელი ღამე. შემფოთდა ოჯახი. ბებომ თავი დაანება ბოსტანში სიარულს და გოგონას აქეთ-იქით დაატარებდა, თან გულში რძალს ქოქოლას აყრიდა. დედა ორი დღე სამსახურში არ წასულა და ტირილისგან დაოსებულ ბავშვს ხან რას უმზადებდა და ხან რას. და-ძმაც დაუთბა თითქოს. კნუტს ღირსეული დასაფლავება მოუწყვეს და გოგონას სურვილით სასაფლაო შემოლობეს კიდევ. რომელიღაც შურნალიდან ამოჭრილი კნუტის სურათიც იქვე მიამაგრეს და ბაღში დაკრეფილი ყვავილებით საფლავიც ააფერადეს.

გავიდა დრო. ახლა, თავად ქალსა და დედას, როცა იმ ასაკის უკვე ბავშვები

ჰყავს, უკვირს რატომ არ თამაშობენ ისე, მისებურად. რატომ არ აწვენენ თოჯინას ზამბახის აკვანში და ყვავილებით რატომ არ უკერავენ კაბებს. რატომ არ დახუჭავენ თვალებს და დამყოლი ღრუბლის ქულებისაგან რატომ არ აკეთებენ თოჯინის სარწვევლებს. რატომ არ ჯდებიან წალისებური მთვარის კალთაში და რად არ ცოცდებიან მზის სხივებზე. რატომ არ იცოდებენ ისე, მისებურად მოზუზულ ბელურებს და არ დასტირიან გაჭყეტილ კნუტებს... როგორ უნდოდა შვილებს მაინც დაენახათ იქვე ცხვირწინ წამომართული ყველაზე უჩინარი და ყველაზე ფერადი სამყარო, 40 წლის ასაკშიც რომ ვერ ძლებს უმისოდ; თვალებს ახლაც ისე ჭუტავს, როგორც მაშინ და მზის სხივებზე აცოცდება თუ არა, ყოფით დაღლილი, დამყოლი ღრუბლის ქულებით თოჯინისთვის დამზადებულ სარწველაში მაინც აცხობს ხოლმე ტკიბილსა და ფერად ძილს...

მზაპრი

წმის და ელოდება, როდის იგრძნობს თბილ სისველეს ჭიბთან ახლოს, როდის გამოიკლაკნება სისხლის წითელი ჭიაყელები მკერდის თავიდან, როდის



იქცევა მერე დიდ, დიდ შიშისმომგვრელ გველებად და კანკალატანულ სხეულს დახრჩობას დაუპირებს. ამასწინათ ისე შეესია პრილა პარკეტს ათასი ზომისა და ფორმის მცოცავი, რომ ვერაფერი იგრძნო, სანამ სათამაშოსათვის შემოსულმა შვილიშვილმა არ შეჰკვივლა და უკან-უკან სვლით კარს არ მიეხეთქა.

— დედა, დედა, ჩქარა, ბებიას ისევ სისხლისდენა დაეწყო, — ყვიროდა შემინებული და სახელურს ისე ეჯავჯავრებოდა, თითქოს კარი ჩაურახეს და გარეთ არ უშვებენო. როგორც იქნა გამოაღწია ოთახიდან, ჩაირბინა კიბე და დედას ცომიან ხელებში ჩააფრინდა... მერე ათასი საფენი, ქათქათა ზეწრები თუ თეთრი ბამბის ქულები... საშველი არ ჩანს — რამდენიმე წუთში ყველაფერი განითლდა და ჭიისფერ ღრუბლებს დაემსგავსა.

ეს შესამედ დაემართა უკვე. ეშინია, როგორ არ ეშინია, მაგრამ შვილების სახეებს რომ უყურებს, ძალდატანებით ღიმილს თხელი მარლის საფენივით იდებს სახეზე და არაუშავს, არაუშავს ძახილით იქმევს ტკივილს, სინანულს, დარდს და შიშნარვე მოლოდინს. იქნებ სჯობდა არ დაემალა, მაგრამ ისეთი ცუდი დრო იყო, შვილებსაც იმდენი პრობლემა ჰქონდათ, როგორ ეთქვა, კიბო მჭირს და ძვირადღირებული ქიმიები უნდა ვიკეთოო, ვერ ეთქვა... დედა იყო, მარტო უქმროდ რომ ეფარებოდა შვილებისათვის ბედის მშველდით ნასროლ განსაცდელს და სწორედ იმ მკერდს უშვებდა, ახლა სიმსივნე რომ გამოზრდია სასჯელად. ო, დედა იყო და ვერ ეთქვა. ო, ახლაც დედა და ტკივა შვილების თვალებში დანახული ობლობის შიში.

— რომ არ დემალა, ამ პრობლემას ისე ავლაგმავდით, რომ მის სიცოცხლეს კარგახანს საფრთხე არ დაემუქრებოდაო, — უთქვამს ექიმს... შვილები ვერ პატიობდნენ, ეს რა გვიქნისო, თან ებრალებათ საწოლზე თოვლის ქულასავით მიმდნარი ქალი და არ იციან — გაუბრაზდნენ თუ მიეფერონ. იქნებ მართლა დაუშავა შვილებს, იქნებ სულაც არ ჰქონდა ამ გადანყვებილების მარტო მიღების უფლება, იქნებ... ახლა დანაშაულის გრძნობა უფრო აწვავს, ვიდრე სინანული.

— ბევრი სისხლი დაკარგა; ერთხელ კიდევ რომ აუტყდეს სისხლდენა, ველარაფერს ვუშველით. პირდაპირ კაპილარს აზის სიმსივნე და ნელ-ნელა ჭამს... ვწუხვარ, — რაც შეეძლო ხმადაბლა თქვა ექიმმა და თავჩაქინდრული გავიდა ოთახიდან.

სიტყვების ნაგლეჯებმა მაინც მიაღწია მის ყურამდე, მერე ნაგლეჯები ძლივს შეაკონინა და განაჩენი წაიკითხა: დიდხანს ველარ იცოცხლებ... არაფერი უგრძნია, თავად ეს ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, მარტო რომ იდგა ონკოლოგიურის ეზოში, დიაგნოზის ფურცლით ხელში. მერე ნაკუნებდა რომ აქცია ქალადი და იქვე ნაგვის ურნაში ჩაუძახა. ახლა თითქოს ისევ ის დიაგნოზი ედო წინ, მაგრამ დახევას აღარ ცდილობდა, დამალვას რაღა აზრი ჰქონდა...

ამხნევენ, მიეფერებიან და ნაწვენ. მერე მარტოდ დარჩენილი გაიფიქრებს, რომელიმე მათგანი იქნებ უკანასკნელადაც კი ვნახეო. მერე თითოეულის მზერას გაიხსენებს. სხვანაირად დამთბარსა და დარბილებულს სიბრალულნარევი სიყვარულით, მერე დღით დაღლილი, როგორც იქნება ჩაიძინებს და ნახავს სიზმარს — სიკვდილზე ფიქრის გარეშე, სხვათა გადამეტებული ზრუნვის გარეშე, მომავალზე ბელი ქიმიისა და ათასგვარი საშიში პროცედურის გარეშე. ნახავს სიზმარს ალბათ ხუთწუთიანს და მთელი ხუთი თვის ნაჯახირევ-ნანამებ დღეებს ისე გადასწონის, თითქოს ხუთი წუთი კი არა, ხუთი წელი გაგრძელებულიყოს სიზმარეთში ყოფნა.

იცის ერთ დღესაც მისი მკერდიდან გამოზრდილი სისხლის ჭიაყელები გამოიფენებენ სიცოცხლის ფუთფუთა პეპლებს და ამ პეპლების ფრთებზე მეტად ამსუბუქებული, ამჩატებული იმ სხივს გაჰყვება მიღმითში, ასე რომ ეტრუნებოდა ყოველ დილას. იცის და თავს არწმუნებს, თანდათან ის შიშიც გაუქრეს, უმთვარო ღამეებში ასე რომ უკრთოდა ძილს და სიკვდილის ლანდს ცხვირწინ უყურებდა. იცის ამ შიშს თუ საბოლოოდ განდევნის, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს უფრო დაიტკბობს, უფრო დაიმშვიდებს დაფეთებულ მზერას და ღირსეულად წავა შინ.

იცის და ცდილობს... რაც შეუძლია ცდილობს...

მოგიკვდის დედა

მზადებაში მოუსწრო ზარმა, ხვალვე გადმოფრინდი, გიოს კუჭის ოპერაციას ვუკეთებთო. ავად აფუთფუთდა გულში რალაც. რამდენიმე დღეში მაინც უნდა წამოსულიყო საქართველოში და განა ასე ცუდადააო საქმე. ბორგავდა გონება და ერთ მხარეს რომ კეცავდა და კეცავდა გულ-გვამის დამშანთავ ავისმომასწავებელ ნიშნებს, მეორე მხარეს იმედს აჩენდა სათამაშო მაგიდაზე გაგორებული ბილიარდის ბურთივით. ქეთი მართალია თავის ძმაზე გიჟდება, მაგრამ რაიმე სერიოზული რომ არ იყოს, დამინდობდა და არაფრით არ დამირეკავდა. არადა ერთ კვირაში ქორნილი გვაქვს. ღმერთო, შენ დამახვედრე ჩემი გიო ცოცხალი და ოპერაციას როგორმე გადაიტანს. ცოცხალი იქნება აბა რა, ღმერთი ასე ძალიან არაფრით არ გამწირავდა, მაგრამ სიზმარი...

სიზმარი, ორი დღის წინ რომ ვნახე? უფალო, რამ დამაგინა, ჩემი ბიჭი სისხლში ცურავდა და შევლას მთხოვდა... უფალო, ისე ნუ გამამწარებ, შავი მიწა კატასავით ვხოკო, ვკანრო და მუჭებით ვჭამო. უფალო, ცოცხალს მკვდარს ნუ დამამსგავსებს, მირჩენია თვალხილული და სულიანი ჩამაგლო ჩემს წილ სამარეში. ღმერთო, წაიღე წვითა და დაგვით ძლივს ხაღირსები სახლკარი, წყალში ჩამიყარე შვიდი წლის ჯოჯოხეთური შრომა, ღია ცის ქვეშ დამახვედრე ჩემი შვილები, ჩემი ჯერაც თვალდაუკრავი რძალი, ოღონდაც ცოცხლები და სულიანები იყვნენ. ყველაფერს ხელახლა შევექმნით, შიმშილითა და სიცივით არ მოკვდება ცოცხალი ადამიანი. როგორ ვერ ვიტან აქაურობას. უმადურივით მომდის, მაპატიე, უცხო ქვეყანავ, შენით არ ჭამს ლუკმა-პურს უამრავი ადამიანი იქ, შინ საქართველოში. შენი ხელის შეშვებით არ იქმნება უამრავი ახალი ოჯახები, მიაცილებენ მიღმიერ სამყაროში დროულად თუ დროზე ადრე გარდაცვლილებს. გერ გიოს ქორნილისათვის, ღმერთო, კარგად მიმყოფე, რა რუენებით მაქვს გადანახული ორი დღე გროში. მთელი სანათესაო უნდა დაგვატიფო - დიდი და პატარა ყველა მონატრებული გულში უნდა ჩავიკრა, ყველას პატარა საჩუქარი გავუმზადო, საქართველოში ამის ნახევარსაც ვერ ვიზამდი, ისიც ჩემს ასაკში. როგორ შეეყვი ფიქრს, ახლა წინ მოვა ჩემი უფროსი ქალიშვილი, ცრემლს ვერ დავანახებ, ნუ ითარსებო, მტყვევის. წინოს აქ ყოფნამ გადამაგორებინა ეს დროჩაყვანილი შვიდი წელი, თორემ გავგიჟებოდი ალბათ...

ზარგი შეკრეს; სიჩქარეში ბევრი რამ



დარჩათ, ბევრი გზადაგზა გაახსენდათ, მაგრამ ხელი ჩაიქნის, მისაბრუნებლად არ ღირსო. კეთილ კაცს რა გამოლევს, თუნდაც იქ, შორეული საბერძნეთის მიწაზე და ამშვიდებდნენ, არაფერზე იდარდოთ, მთავარია, კარგად დაგვხდნენ ყველანი და დანარჩენს აქ ჩვენ მივხედავთო.

თვითმფრინავში ცდილობდა არ ეფიქრა. აზრის ჯაჭვს ჭრიდა და ჭრიდა მზერის მახვილით და ილუმინატორის ფანჯარას, მამულეღვივით ჩაფრენილს, თვალს არ აშორებდა.

— დედა, ცუდად ხომ არ ხარ? — რამდენჯერმე დაეკითხა ნინო.

— არა შვილო, უბრალოდ თავი მიბრუნე. — დაამშვიდა და კვლავ ფანჯარას მიენება, იქნება ღრუბლის ცქერით ღრუბელივით ამსუბუქდეს ჩემი გონება და აღარაფერზე ვფიქრობო...

— აი, თბილისის აეროპორტიც. თვალეები მიკროსკოპში დანახულ უჯრედებივით დაძრწინა უთავბოლოდ აქეთ თუ იქით, ზემოთ თუ ქვემოთ ნაცნობ სახეებს გასაღები როგორმე რომ მოარგოს საკუთარი სახლის კარის შესაღებად. დანახოს თუ რა ხდება იქ ისეთი, ასე რომ გამოაქციეს რამოდენიმე საათში საბერძნეთიდან... დგას ტრაპიზან და ფრთებჩამოყრილი დედა ჩიტვით გამაღებთ ეძებს საშველს ახლობელთა სახეებზე.

— ვახო, შვილო, რა ამბავია ჩემს თავს, — შეანვიმა უკვე ვერ დაჭერილი ცრემლი შვილის მეგობარს და მხარზე ჩამოვიკიდა.

— აქეთ მობრძანდით, ნანა დეიდა, მანქანა გველოდება. გაღმა მაცქერალმა, გამოღმა გადმოაგდო რამოდენიმე სიტყვიანი ჩამქრალი წინადადება და მანქანის კარი გამოაღო.

— შვილო, ვახო, რა ამბავია ჩემს თავს. სად არის ჩემი ბიჭი, საავადმყოფოში? ნამიყვანეთ, ახლავე წამიყვანეთ მასთან. — აქვითინდა სასონარკვეთილი.

— დაჯექით, ნანა დეიდა, გიო სახლშია. — ამოიღულულა ვახომ და ცრემლის დასამალავად საბარგულში ჩანთებს ადგილი უცვალა.

...ფეხები თავისით ჩალაგდა მანქანაში და გაქვავდა, გაქვავდა სახეც, ხელებიც, თვალეებიც შუშის გახდა, ხმა ველარ ამოიღო და პირს ახლადგამოჩევილი ბარტყივით ასავსავებდა... დავიღუპე... დავიღუპე... დავიღუპე, — პულსს აჰყვა ეს ოთხმარცვლიანი სიტყვა და პულსმაც ამდენჯერვე ააჩქარა ნაბიჯი.

— ნანა დეიდა, გიო ელენესთან ერთად სახლში ბრუნდებოდა, — დაიწყო მომაკვდავის ხმით ვახომ, — გაჩერებასთან ვილაც ავადმყოფმა, შენიშვნა რატომ მომეცო, ამოიღო რევოლვერი და... ისეთი უწმანური სიტყვებით იგინებოდა თურმე, ვინ არ მისცემდა შენიშვნას, მითუმეტეს გიო და მითუმეტეს ახლად შერთულ ცოლთან ერთად... ნანა დეიდა, უნდა გამაგრდეთ, ქეთი და ნინო ცოდონი არიან, მინიდან ამოვთხრი იმ სატანას და ღორივით დავეკლავ გიოს საფ...



...ირგვლივ უცნაური ბურუსი დადგა, რალაც არაამქვეყნიური ოთხგზის აჩქარებული პულსი, ახლა ოთხგზის შენედა და დაჩუმდა. წინადადებები ნაწყვეტ-ნაწყვეტ იჭრებოდა ნისლში, გაფუჭებული ლენტოდან გადმომხტარი სიტყვებივით. საყრდენს ველარ გრძნობდა და სადღაც ცასა და მიწის შუა დაღვივლებდა.

— ნინო, ნინო ნუ გეშინია, ენა მიჭირავს, არაფერი მოუვა, მორჩი პანიკას, — ყვიროდა ფერდაკარგული ვახო და გვერდით მჯდომ მეზობლის ქალს, სავარაუდოდ, ამ სიტუაციისათვის რომ წამოიყვანა, წყალი გამოართვა, სახე და ხელები დაუსველა, მერე ნიშნადურის სპირტი ცხვირთან მიუტანა და როგორც იყო, გონს მოიყვანა.

ეზო სავსე იყო ათასი ფერის, ფორმისა და ზომის ადამიანებით, მხოლოდ სილუეტები იკვეთებოდა და ისიც ბუნდოვნად. ხელით გადმოიყვანეს მანქანიდან, მხრებში შეუდგნენ და სახლში შეიყვანეს. უყურებს შვილი, საქორწილოდ გამოგზავნილ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი, როგორ განოლიდა ამ საშინელ, ხის მარტივ კონსტრუქციაში და როგორ აგორებს საოცარ სიმშვიდის ტალღებს ნაქანდაკარ პირისახიდან.

— გიო, შვილო, ეს რა მოგსვლია. გენაცვალოს დედა, — ცივ შუბლზე აკანკალებული ხელი გადაუსვა, ... უცქირა დიდხანს, დიდხანს. მერე თვალი მოატარა ჭირისუფლებისთვის განკუთვნილ სკამებზე ჩამომსხდარ ახლობლებს და კვლავ გიოს დახედა. ავისმომასწავებელი სიჩუმე დაგზინდა ოთახში, სიჩუმე ასგზის საშინელ ხმას რომ გამოსცემს, ვიდრე განწირული კვილი შვილმკვდარი დედისა. მერე სუდარა თბილი საბანივით მხრებთან ჩაუკეცა და იავნანას ღიღინი დაიწყო. სამ დღეს ისმოდა ტკივილიანი გოდება, სამ დღეს აკვანივით ირწეოდა ის საშინელი, ხის მარტივი კონსტრუქცია და სამ დღეს იკუმშებოდა მაცქერალთა გულებით უბედური დედის ცოდვით. მერე თანდათან მიიღია, მინელდა ხმა. სასაფლაოზე ვერ ნაიყვანეს, ყოველ ხუთ წუთში კარგავდა გონს, დაასაფლავეს გიო დედის ჩაკეცილი სუდარით საბურთალოს სასაფლაოზე, ათიოდე მისნაირ, დროზე ადრე მიძინებულის გვერდით... თუმცა რა, ყველას ხომ თავისი სიფხიზის დრო აქვს ამ ქვეყანაზე.

...ყოველ დღე, ერთი და იმავე დროს სასაფლაოსკენ მიმავალ აღმართს მიუყვება ხმელ-მელი, თავიდან ბოლომდე შავებში გახვეული ქალი, ხელში მუდამ ტიტების თაიგული რომ უჭირავს, მუდამ შეიდღერიანი და რალაცას ბუტბუტებს თავისთვის... მგონი, ისევე უცხო ქვეყნის მიწაზე ბრაზობს.

### ჩრჩილის პეპელა

მკლქსიის ეზოში იდგა ბიჭებთან. რალაც შეუძლოდ იგრძნო თავი. აბა, კარგადო, გამოეყო წრეს და ჭიშკრისკენ წავიდა.

— ბიჭო, გაგა, სად მიდიხარ? ვაჟას მაგარი ნითელი ღვინო გამოუგზავნა სიმამრმა და ორი საათისთვის გველოდება. — მიაძახა ბერდომ.


— არა, თქვენ ნადით, რალაც ვერ ვარ კარგად, წავალ, წამოვწვები.

— რა დაგემართა, ეტყობა ნუხელ მეტი მოგივიდა. ისე, მეც ვერ შევირგე ის ღვინო, მთელი ღამე არ მომასვენა. დილითაც თავი მისკდებოდა, ცოტა ნაუძინე და გამოხვალ. აბა, შენ იცი! — ხელი ღიმილით დაჰკრა მხარზე მეგობარმა.

— აბა, ჰე! — გაიღმა გაგამაც და გზა გადაჭრა. აქვეა მისი სახლი, ქუჩის გადაღმა... ნაბახუსევი თავის უთავბოლო სადინარებში ათასი გზააბნეული ფიქრი დანოდა და საფეთქელთან მიწაზე ცხვირმიჭყლეტილი ბავშვებივით იცქირებოდნენ. გულს ურევდა ახლა ეს ოთახიც და ღვინის ლაქებით დადღაბნილი ეს თეთრი სუფრაც.

— ჩემი დაც კარგი ვინმეა, გადამიფარა რა გახამებული ტილო, ვითომ არ იცის ჩვენი ლოთობის ამბავი, — გაიფიქრა გაღიზიანებულმა, ბოთლს ფეხი ნაკრა და

მონყევით ჩამოჯდა ზამბარიან საწოლზე. არადა, ოთხი დღე აღარ მოვა და რა დალაგებს ამ საგიჟეთს... ყველაზე მეტად ასეთ მდგომარეობაში ვერ იტანდა თავს, როცა ფხიზელი თვლით დანახული რეალობა აურჯოლებდა და ბოთლში ჩარჩენილ ღვინოსაც ზიზღითა და გულგვამიდან ამოზიდული ამბოხით უცქერდა. თავი ბალიშზე მიდო და დაძინება სცადა. მძიმე იყო ბალიში, სხვანაირად ცივი, მზედანატრებული. გულში ჩრჩილივით შემძვრალი მარტოობაც ჩვეული მუყაითობით აგრძელებდა მორჩენილი სიხარულის ამოჭმას, გულის მარცხენა კუთხესთან რომ მიყუჟულიყო მოგონებებთან ერთად და თავად წამზომჩართულ ნაოც-



ნებებს რომ ეძახდა. თვალდახუჭული აცოცხლებდა იმ დღეებს, სამსახურის გამო კი არა, მაგდას შესახედად რომ გადმოდა ყოველ დღე ათ კილომეტრს, მისი ხმა რომ ეცვა ტანზე და მისი სუნთქვა აპურებდა, მისი ბაგიდან ამოსული სიტყვები სამყურა ბალახებივით რომ ეფინებოდა გზაზე და სავალს უღობობდა...

... ჰმ, ფიქრებიც მაგდას ლექსივით მოდის, აგერ უკვე შვიდი წელია. ადგა, ფანჯარა გამოაღო და დაბის სუფთა ჰაერი ჩააფინა ნესტოებში. აქ ისეთი სუნი იცის ჰაერმა, ვერც სოფელში რომ ვერ იგრძნობ და ვერც ქალაქად, თუმცა ორივეს სუნი აქვეა, მაგრამ ისე უცნაურად გადაზავებული, რომ ახლა უფრო სრულყოფილ სუნად მოძვრება ცხვირის ნესტოებში, ყნოსვის რეცეპტორებს, როგორც მაგნიტს ნამოდებული. ადრე ფანჯარასთან ამგვარად გარინდებული სრულ ნეტარებას განიცდიდა, ახლა ველარაფერი იგრძნო, მოტრიალდა და კედელზე დაკიდებულ სურათს შეხედა.

— შენ რომ მაინც შემომრჩენოდე დედა, — მზერამ პეშვით დააღვარა სახეს რალაც მონაცრისფრო, მოშავო, უსუსური ბავშვის გამომეტყველება. მერე ნიგნების კარადა გამოაღო და ხელი ზანტად გადაატარა ისტორიული ტომების გრძელ რიგს, ხვალ დავითის ეპოქა აქვს ასახსნელი... არა... ახლა ამას ვერაფრით ნავიკითხავო და პოეზიის განყოფილებიდან ტერენტი გრანელის ლურჯ-დიანი ნიგნი გამოიღო. მაგდასაც როგორ უყვარდა ტერენტი, ერთი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ვართ დაბადებულები და ამიტომ გვაქვს ასეთი ტყუპისცალივით მსგავსი სწრაფვა მელანქოლიისკენ. — ხშირად უთქვამს პოეზიაზე საუბრით გართულს. მერე როგორ უყვარდა გაგას მისი ატაცებული საუბრები. თვალეები რომ აენთებოდა, ყვრიმალეები აუნითლდებოდა, დახვენილ ხელებს თითქოს ადგილს ვერ უძებნისო, ლაპარაკის რიტმს ააყოლებდა, ხან სივრცეში უცნაურ სილუეტებს ახატვინებდა, ხანაც მაგიდაზე ეწყო ილაჯგან-ყვეტილები. რამდენჯერ მოსწვენებია ეგ არის და ამ მოფართხალე ხელებს აჰყვება და გაფრინდებო. გვალვისაგან დამწვარ მიწას წვიმა რომ დააღობოს და ბზარებს

ამოუესებს, ისე მოუვიდა გაგასაც, გააფუა და გაავსო მაგდას სითბონანვიმარმა ამოხედებმა მისი გამოშრალი და ტკივილებისაგან დამსკდარი სული. გაავსო და გადმოღვარა საპნის ქაფივით ამსუბუქებული კიდეაქერცილი ნაპირებიდან. მსგავსი რამ არასოდეს განეცადა. ამ საბედისწერო ქალმა ნამდვილად ფრენაში ამიყოლიაო. — ფიქრობდა ბედნიერი, თუმცა გრძნობის დამალვას გამოუდებით ცდილობდა ცოტა უხეშობით, ცოტა მოგონილი სიცივით, ცოტა ვითომდა გულგრილობით. თვალის კაკლებს ყოველ დილით ბრაზის თხელ ფენას უსვამდა ფუნჯით, რომ სიყვარულს არ გამოეყონა მზედ და ფორიაქამჯდარ ნაპერწკლებად. ჭკვიანი გოგო იყო მაგდა და ხვდებოდა თუ რა უცნაური გრძნობა იმაღებოდა ამ ყინულისფერ სახევეებში. რა ძლიერი, საშინლად ძლიერი და ყოვლისმომცველი... და გაერიდა... საკუთარ სამყაროში ქორისაგან დამფრთხალ წინილებივით შებუდებულ ლექსებს, ვერაფერს ანაცვლებდა და ნასვლა ამჯობინა. გაგამ არ შეიმჩნია, არც დარჩენა უთხოვია, საკუთარ გრძნობებზე ან კი როდის ლაპარაკობდა. ხშირად ართქმა ხომ მეტი, ვიდრე ოდებ ან ტრაქტატებ გადაცმული, ცოტა გაპარანჭული მიყვარხარო და მისთანანი.

შვიდი წელი გავიდა და სიყვარული ოდნავადაც არ განელეზია. ერთი კვირის წინ მისი შვილი ნახა, ბუბიას ჩამოუყვანია ქალაქიდან და ბაზარში შემთხვევით შეხვდა. თვალეები სულ დედის ჰქონდა. შავი, უცხოდ მზინვარად და თან სევედიანი.

— ხომ შეიძლებაოდა ჩემს შვილსაც გამოჰყოლოდა ასეთი თვალეები, — წუთით გაკრთა და მსწრაფლ მინელდა ფიქრი. გულს ურევდა სენტიმენტები, ყოველთვის და მითუმეტეს ახლა. სახინკულს შეეფარა ვაჟასთან ერთად და ერთი გამერიელად გამოთვრა.

სკოლაშიც ხუთიოდე საათი დაუტოვეს, მაღალ კლასებში აღარ შეუშვეს, ბავშვებზე ცუდ ზემოქმედებას ახდენსო. ალბათ სასწავლო ნაწილი რომ არა, დედამისის ძველი მეგობარი, სულ გაათავისუფლებდნენ. ისე რაც მართალი მართალია, ხანდახან ნასვამ მდგომარეობაშიც კი შედიოდა გაკვეთილებზე. ითმინეს მშობლებმა და ბოლოს გააპროტესტეს. რა გინდა, ბავშვები მერე სახლში აკითხავდნენ. ჰო, ავვისტოს ომის დროს საქართველოს დროშა შეკერა და მათთან ერთად სახლის სახურავზე გადმოფინა.

— აუუ, ამან სულ გარეკა, შვილებს გადავირევესო, — შფოთავდნენ დაბელები, — აბა, ამდენი სმა კარგს უზამსო, რა დედის და მამის შვილი როგორ წავიდა ხელიდანო, არადა რა ჭკვიანი ბიჭია, როგორი ისტორიკოსიო. სალაპარაკოს რა გამოლევს, თან პატარა პროვინციაში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს და ყველა ერთმანეთის გულშემატიკვარია.

გრანელი დახურა, თავის ადგილზე დადო. ცოტას მივალაგებ და დავიძინებ, ხვალ პირველი გაკვეთილი მაქვსო. აილო პლასტმასის ბოთლები და აივანზე გაზიდა, მერე მაგიდას სუფრა ააცალა, დაფრთხა და სარეცხ მანქანაში ჩადო. ასვრილი ჭურჭელი ერთ დიდ თასში მოაგროვა და სამზარეულოში გაიტანა. ცოცხი ზერელედ გამოუსვა იატაკს და ოთახის გასანიავებლად ფანჯარა გამოაღო. მერე დილისთვის ტანსაცმელი მოინესრიგა და საწოლზე წამოწვა. ვერც ტელევიზორის ყურებას დაუდო გული, გართვაც არ უნდოდა გასვლა, სადმე დალევდა და ხვალინდელ დღესაც გააფუჭებდა.

— გაგა, — დაუყვირეს გარედან, — გაგა, ბიჭო კუპონას გარაჟში სვამენ ბიჭები და გეძახიან გამოვიდესო. არ წამოდგა, იცოდა, თუ კიდევ დალევდა, დილით გაკვეთილს ვერ ჩაატარებდა. თვალეები დახუჭა და დაძინება სცადა. გულში ჩრჩილის პეპელასავით ჩაბუდებულმა მარტოობამ შეპარვით დაიწყო ფუთფუთი... ო, ამის გაძლებას ყველაფერი ერჩინა. ადგა, ოთახში შუქი გათიშა და კუპონას გარაჟისკენ გაემართა.

წელს შესრულდა ბორის პასტერნაკის დაბადებიდან 120, ხოლო გარდაცვალებიდან 50 წლისთავი.

80 წლის წინ, მოსკოვში მყოფი პაოლო იაშვილის გაცნობით, სათავე დაედო პასტერნაკის უანგარო და უღალატო სულიერ ძმადნაფიცობას ქართველ პოეტებთან.

\*\*\*

სადღეისო მინაწერი ტელეეკრანიდან მოსმენილი უცნაური ფრაზის გამო: პაოლო იაშვილი და ტიცინი ტაბიძე საბჭოთა ხელისუფლებისადმი იმიტომ იყვნენ ლოიალურნი, რომ რუს პოეტებთან დიდი მეგობრობა აკავშირებდათ; უფრო ლოგიკური იქნებოდა, ეთქვათ, — იმიტომ, რომ ზოგიერთ ქართველ ბოლშევიკს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მერხიდან იცნობდნენ... თუმცა, ესეც არ იქნებოდა მართალი: ჩემი აზრით, ქართველმა მწერლებმა იძულებით ემიგრაციას ლოიალურობა და „თანამგზავრობა“ არჩიეს, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, — ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს.

ახლა ისიც ვთქვათ, ვისთან მეგობრობდნენ ყველაზე გულთადად (პიროვნულად და შემოქმედებითად) ტიცინი და პაოლო. არსებითად, ესენი იყვნენ საბჭოეთის მოძულენი და მარადიული დისიდენტები: კონსტანტინე ზალმონტი, ანდრეი ბელი, თეოდორ სოლოგუბი, იგორ სევერიანინი, ვასილი კამენსკი, კირილე და ილია ზდანევიჩები, ოსიპ მანდელშტამი, სერგეი ესენინი, ბორის პასტერნაკი; ლიტერატურული თვალსაზრისით, — სიმბოლისტები, ფუტურისტები, ავანგარდისტები... ვის — თავი მოაკვლევინეს (პაოლოს დარად), მავანმა ემიგრაციაში წასვლა არჩია, ზოგი 37 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა (ტიციანის დარად); ნობელის პრემიის ლაურეატი ბორის პასტერნაკი, რომელსაც 30-იანი წლებიდანვე თითქმის გამუდმებით დევნიდნენ და ავიწროვებდნენ, 1958 წელს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს და, სამშობლოდან გაძევების მუქარით, პრემიაზეც უარი ათქმევინეს.

კიდევ ერთი ეფექტური და აშკარად ქსენოფობიური ფრაზა უახლესი ლიტერატურული პანოპტიკუმიდან: „მიმანჩია, რომ რუსული ლიტერატურას საერთოდ რომ არ ეარსება, მსოფლიო ლიტერატურას ბევრი არაფერი დააკლდებოდა“ (ციტატა ინტერვიუდან, 2010, მარტი). ამას რომ კომენტარი არ უნდა, ცხადია; ჩვენი თემის შესაბამისად პერიფრაზს თუ მივმართავთ, დაუეჭვებლად უნდა ითქვას: ბორის პასტერნაკს რომ არ ეარსება, ბევრი რამ დააკლდებოდა თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციას და ქართულ პოეზიას, აგრეთვე საქართველოს ღირსებისამებრ წარმოჩენას უცხოეთში.

\*\*\*

მშრალი ფაქტები: ბორის პასტერნაკი ოთხჯერ იყო საქართველოში; პირველად, 1931 წლის ივნის-ოქტომბერში, პაოლო იაშვილის მოწვევითა და მასპინძლობით; 1933 წელს — სსრკ მწერალთა კავშირის მთარგმნელთა ბრიგადისთან ერთად; 1945 წლის ოქტომბერში, — ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეზე; უკანასკნელად, — 1959 წლის თებერვლის ბოლოს (პასტერნაკს იძულებით დაატოვებინეს მოსკოვი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მაკმილანის ვიზიტის გამო, იგი მასთან შეხვედრას ვეგმავდა). 1945 და 1959 წლებში პოეტისა და მისი მეუღლის მასპინძელი ტიცინის ქვრივი ნინო მაცაშვილი იყო.

\*\*\*

30-იანი წლებიდანვე ქართული თემა ფრიად მნიშვნელოვანია ბორის პასტერნაკის ორიგინალურ შემოქმედებაში; დიდი ამაკი დასდო მან ქართული პოეზიის თარგმანებას და პოპულარიზაციას (ნ. ბარათაშვილი, ვაჟა ფშაველა, ა. ნერეთელი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდამი, გ. ლეონიძე, ნ. მინიშვილი, კ. ნადირაძე, ს. ჩიქოვანი, ი. გრიშაშვილი, ი. აბაშიძე, კ. კალაძე...). მისი თარგმნილი

„ქართველი ლირიკოსები“ გამოცემა მოსკოვში (1935, 1937), მოგვიანებით, უფრო სრულად, თბილისში (1947, 1958).

1957 წელს იტალიაში გამოქვეყნებული „ექიმი ჟივავოს“ გამო რეპრესიები პასტერნაკის მიმართ არ ცხრებოდა. მისი უკანასკნელი წიგნია თბილისში დასტამბული ვრცელი კრებული — „ლექსები საქართველოზე. ქართველი პოეტები“ (თბ., გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“, 1958). ამ დროს პასტერნაკი, ფაქტობრივად, აკრძალული ავტორი იყო.

განსაკუთრებით ფასეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის სრული პოეტური კორპუსის პასტერნაკისეული თარგმანი (მოსკოვი, 1946; თბილისი, 1946).

საქართველო პასტერნაკის ორიგინალურ და მთარგმნელობით შემოქმედებაში — ამ თემას ეხება გ. მარგველაშვილის, გ. ასათიანის, ზ. არსენიშვილის, მ. ხუციშვილის, მ. ანთაძის, აგრეთვე, ა. ვოზნესენსკის, ბ. ახმადულისას, ე. ეტიკინდის, ლ. მაგაროტოს, დ. რეიფილდის და სხვათა გამოკვლევები და ესეები.

ლალი ავალიანი

ბორის პასტერნაკის კონტრაპუნქტის ქართული მოტივი

ბორის პასტერნაკის უმნიშვნელოვანესი მემუარულ-ესეისტური თხზულება „ადამიანები და გარემოებანი“, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა საქართველოსა და ქართველ პოეტებს, პირველად გამოქვეყნდა ქართულ ენაზე (1956, „მნათობი“), იტალიურად — 1958 წელს, მილანში, ხოლო რუსულად, — 11 წლის შემდეგ! („ნოვი მირი“, 1967).

განუზომელია პასტერნაკის პირადი ნაცნობის, თაყვანისმცემლის, მკვლევრის, მთარგმნელისა და პუბლიკატორის გიორგი მარგველაშვილის ღვაწლი: 1966 წელს „ვოპროსი ლიტერატურისა“ (მოსკოვი) და „ლიტერატურაზე გრუზიას“ ფურცლებზე მან პირველად, ერთდროულად გამოაქვეყნა პასტერნაკის მიმონერა ქართველ მეგობრებთან. პუბლიკაციას დიდი რეზონანსი მოჰყვა: გამოიცა იტალიურ ენაზე, უხვად ილუსტრირებული უმდიდრესი იკონოგრაფიული მასალით (მთარგმნელი კლარა კოისონი, წინასიტყვაობის ავტორი ვიტორიო სტრადა, შემდგენელი გიორგი მარგველაშვილი, გამომცემლობა „ეინაუდი“, 1969); 1970 წელს გამოიცა გერმანულადაც (გამომცემლობა „ფიშერ ფერლაგი“).

ვიტორიო სტრადას წინასიტყვაობიდან: „პასტერნაკისათვის, რომელმაც ბრწყინვალედ თარგმნა რუსულად თანამედროვე ქართველი პოეტები, საქართველო იყო უფრო მეტი, ვინემ უზრალო ლიტერატურული ვენების საგანი. ამიტომ „წერილებს“ ორმაგი აღმოჩენის მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთვის: მათი ავტორისა და მათი საგნისა. ეს ორმაგი აღმოჩენა ერთმანეთისაგან განუყოფელია, რადგან ქართული პოეზია, რომელსაც ეკუთვნის ამ წერილებში მფეთქავი მგზნებარე გული, ჩვენთვის რჩება იდუმალ და ზღაპრულ სამყაროდ. ჩვენ ვხედავთ მის პეიზაჟებს და პერსონაჟებს, გაცოცხლებულთ მისი მოხიბლული თავყანისმცემლის მაღალი სიტყვით, თავყანისმცემლისა, რომელიც ამ იდუმალ სამყაროში შესვლით საკუთარი სულის უცნობ და შეუღწეველ სფეროთა კარს ადებს თითქოს. ბორის პასტერნაკმა შეძლო თავისი შინაგანი ცდის განუყოფელ ნაწილად ექცია საქართველო, ქართული პოეზია და, განსაკუთრებით, ქართველი პოეტები.

...30-იანი წლების დასაწყისიდან საქართველო, როგორც ვრცელი და სულიერი მთლიანობა, როგორც სიცოცხლე და როგორც პოეზია პასტერნაკისათვის იქცევა ჭეშმარიტ გამოცხადებად და მთელი თავისი უშუალო ინტენსიობით შედის მის შემოქმედებით აქტში. ხოლო „მეორე დაბადებიდან“ მოყოლებული, ის



პოეზიის ხსენებაც კი აკრძალა. რა გარანტია ჰქონდა პასტერნაკს, რომ მისი წერილი ჩეკას ხელში არ აღმოჩნდებოდა? — ალბათ, არავითარი.

„ჩემო საბრალო, ჩემო ძვირფასო თამარ გიორგის ასულო, ეს რა მომხდარა!

...ჩემმა არსებობამ აზრი დაკარგა, საწუგებელი თავად შევიქენ.

...მოსვენებას არ მაძლევს იმაზე ფიქრი, რომ ველარასოდეს ვიხილავ მის საოცარ სახეს, მის მაღალ, ზემთაგონებულ შუბლს, მოცინარ თვალებს. ველარასოდეს გავიგონებ მის მოხიბლავ ხმას, ჟღერაზეც რომ ეტყობოდა აზრით დატვირთულობა. ვტირი, ვბორავ, მწუხარებისაგან ადგილი ვერ მიპოვია.

...მოგონებები გულს მისერავს, დანაკლისის შეგრძნებამ ლამის გამაგიჟოს. რა დავაშავე, ბედმა რისთვის დამსაჯა ამ სამარადისო განშორებით?

ახლა სულ სხვაგვარი აზრები გამიჩნდა პაოლოზე. ყოველთვის აღტაცებული ვიყავი მისი ნიჭით, მშვენიერების აღქმის უბადლო ალლოთი, რაც იშვიათია არა მარტო ქართულ, არა მარტო ჩვენ მთლიან, თანამედროვე მწერლობაში, არამედ ფასდაუდებია ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ლიტერატურაში. იგი ყოველთვის მანტიფრებდა. ბევრისთვის მიმინერია, რა სიმადლეზე ვაყენებდი მას.

...საოცარია, რა უხვად უწილდა საკუთარი სული ყველაფერს, რასაც შეეხო.

...ტიციანს და ნინოს ვთხოვ, ჩემს მაგივრად გულში ჩაგიკრან და თქვენთან ერთად იტირონ. კიდევ ერთხელ პატივებს გთხოვთ სულელური, უნიჭო წერილისათვის, მაგრამ მე ხომ ახლაც არაფერი ვიცი, იქნებ მერე, როცა შეიძლება, წერილი მომწეროთ?“ („მნათობი“, 1969, 10; ლევან ბოლქვაძისა და გივი კიკლაშვილის თარგმანი).

რა თქმა უნდა, ბორის პასტერნაკს არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ კოლაუ ნა-ერაძის გარდა, ვერავინ ვაბედა პაოლოს „კონსპირაციულ“ დაკრძალვაზე დასწრება; ხოლო დარდითა და შიშით გათანგული ტიცინი დაპატიმრების მოლოდინს ღრმა დეპრესიაში ჩაეგდო.

1937 წლის ოქტომბერში, როცა ტიცინი დააპატიმრეს, პასტერნაკმა თითქმის მაშინვე შეიტყო ეს ამბავი; ნინო მაცაშვილისადმი მიწერილი, ძრწოლით, თანაღმობითა და დამიდევით (ტიციანი დიდხანს ეგონათ ციხეში) აღსაყვარ წერილი ფოსტას ვერ ანდო და მთარგმნელ ვიქტორ სონკინს დააკისრა ეს საიდუმლო მისია (იხ. დმიტრი ბიკოვი, „ბორის პასტერნაკი“, მოსკოვი, 2007).

1938 წლის დასაწყისში პასტერნაკი წერდა ნინო მაცაშვილს:

„ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ტიცინი მიყვარდა, მაგრამ რა ვიცოდი, თუ ჩემს ცხოვრებაში ასეთი დიდი ადგილი ეკავა, ჩემდა უნებურად, შეუცნობლად. მე ის მხოლოდ გრძნობა მეგონა, მაგრამ რა ვიცოდი, თურმე ზღაპრული ფაქტი ყოფილა.

რამდენჯერ გავგიმართავს ლხინი, ერთმანეთისათვის ერთგულების ფიცი მიგვიცია (რა თქმა უნდა, საბრალო პ-საც ვგულისხმობ), ხომ არ გგონიათ, რომ ოდესმე დავივიწყებ!

...რა მოკრძალებული სახელებით ვნათლავდით ყველაფერს და რა უჩვეულო ყოფილა ნამდვილი ძალა ამ მარადიული, ყოვლისმომცველი, გიჟური კავშირისა.

...თქვენზე ბევრად ნაკლები ვიცი, მაგრამ რაც ვიცი, ისიც კმარა, რომ იმედი არ დავკარგო“...

1940 წლის დეკემბრის მიწურულს პასტერნაკი კვლავ აიძვებდა ნინოს: „ტიციანი ცოცხალია, სადღაც ახლოს არის და ალბათ სულ მალე დავგიბრუნდება. იგი ბურჯია ჩემი ცხოვრებისა, ჩემი ღვათებაა, ბერძნული და მითოლოგიური გაგებით“...

\*\*\*

ბორის პასტერნაკი ცხოვრებისეულ ფაქტებს, საგნებსა და მოვლენებს ხშირად სიმბოლურ, მისტიკურ საბურველში აღიქვამდა; საბედისწერო დამთხვევათა რიგს მიანერდა იგი ერთ თითქოსდა ბანალურ ეპიზოდს: 1945 წლის ოქტომბერ-

ში, პასტერნაკის თბილისში ყოფნისას, ნინო მაყაშვილმა მას ტიცინისაგან შემორჩენილი ძველებური სპილოსძვლისფერი ქალაქის რამდენიმე შეკვრა უსახსოვრა. ომისშემდგომ გაპარტახებულ სსრკ-ში ეს მართლაც დიდი ფუფუნება იყო. სწორედ ამ ქალაქში დაიწყო მან დიდი პროზის წერა, 1946 წლიდან კი საბოლოოდ დასძლია შემოქმედებითი კრიზისი. მოგვიანებით პასტერნაკი შენიშნავდა, რომ ამ სიმბოლურმა საჩუქარმა (ტიცინის მემკვიდრეობამ) გული გაუთბო მას და ფანტაზიაც გაუცხოველა.

უცნაურ დამთხვევათა რიგს მიაკუთვნებს დმიტრი ბიკოვი პასტერნაკისა და ზინაიდა ნიკოლაევნას ერთადერთი შვილის ლეონიდის სვებედს; 1937 წლის 31 დეკემბერს დაბადებული ლეონიდ პასტერნაკი გარდაიცვალა 38 წლის ასაკში (ისევე როგორც იური ჟივაგო), უცერად, გულის შეტევით, საკუთარი მანქანის საჭესთან, მანქანის სიახლოვეს: თითქმის იქვე, ნიკიტსკაისთან ტრამვაით მგზავრობდა მომავლად იური ჟივაგო... ამ ამბავს არ გავიხსენებდი, რომ არა ერთი გარემოება, — უკვე ციტირებულ წერილში ნინო მაყაშვილისადმი (1938) პასტერნაკი წერდა: „ახალი წლის დამდეგს ბიჭი შემეძინა. ზინამ ზუსტად 12 საათზე შობა.

მინდოდა პავლე დამერქმია (ეს კაცი ჩემს გულსა და გონებას არ სცილდება. განა საჭიროა, ეს თქვენ გიმტკიცოთ?), მაგრამ ზინა ატირდა, ისე შეკრთო სიმწარის, მწუხარებისა და იდუმალებით მოცული დასასრულის ხატებასთან სიახლოვემ. რა უნდა მექნა, დავუთმე უახლოეს ადამიანს და მამაჩემის პატივსაცემად შვილს ლეონიდი დავარქვი.

...თუ თამარ გიორგის ასულს (პაოლოს მეუღლეს — ლ.ა.) ნახავთ, ყველაფერი მოუყევით“.

ზინაიდა ნიკოლაევნას უთუოდ უყვარდა პაოლო, რომელმაც 1931 წელს დაუფინყარი, ზღაპრული ზაფხული და შემოდგომა გაატარებინა საქართველოში იმჟამად უსახლკარო და მიუსაფარო, თითქმის ყველასაგან გაკიცხულ მომავალ ცოლ-ქმარს (ზინაიდა ნიკოლაევნა მაშინ დიდი პიანისტის გენრიხ ნეიგაუზის ცოლი იყო). დედის გუმანით, მან ნება არ მისცა ქმარს „საბრალო პაოლოს“ სახელი დაერქმია შვილისათვის, თუმცა მაინც ვერ ააცილა მწარე ხვედრი.

\*\*\*

**ყველაზე** სევდიანი და დრამატული იყო პასტერნაკის ომისშემდგომი სტუმრობა საქართველოში, 1945 წლის ოქტომბერში: თბილისი თითქოს დაცარიელდა.

1937 წელს ემსხვერპლნენ ნიკოლო მიწევილი, პაოლო და ტიცინი. აღარც ვალერიან გაფრინდაშვილი იყო ცოცხალი, პასტერნაკი დიდად აფასებდა მას, როგორც პოეტს, უმნიშვნელო პიროვნებას, ჩინებულ პროფესიონალს, ბარათაშვილის მთარგმნელს, მუდამ ემაღლიერებოდა საუცხოო პნკარედების მიწოდებისთვის.

19 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო საღამო ჩატარდა. ამ დროისათვის პასტერნაკს უკვე გამზადებული ჰქონდა პოეტის სრული კრებულის რუსული თარგმანი; ამის გამო, მას, დამსახურებულად, ტრიუმფატორად უნდა ეგრძნო თავი. შემდეგში ნინო მაყაშვილს გაენდო სინანულით, — „ორი კვირა თითქოს სიყვარულის ზღვაში ვცურავდი, სამაგიერო კი ვერავის მივუზღეო“, ხოლო სიმონ ჩიქოვანს წერდა: „თბილისში ჩემს ყოფნას მისტერია ვუწოდებ. იმ დღეთა გახსენება ჩემს სულში სიყვარულისა და სევდის ისეთ მოზღვავებას იწვევს, რომ ამის გამოსახატავად უფრო შესაფერისი სიტყვა ვერ მიპოვია“.

ბარათაშვილის იუბილეს უკავშირდება კინოფირზე აღბეჭდილი ბორის პასტერნაკის ყველაზე ფასეული კადრები.

დ. ბიკოვის თქმით, 1945 წლის უნიკალური კინოფრაგმენტი, რომელშიც პოეტი ბარათაშვილის „ლურჯა ფერს“ კითხულობს, არის ერთადერთი შანსი „ცოცხალი“ პასტერნაკის ხილვისა.

ლევ შილოვი, რომელმაც პასტერნაკის ფონოგრამათა სრული კრებული გამოსცა, სამართლიანად მიიჩნევს, რომ ამ ლექ-

სის პასტერნაკისეული დეკლამაცია დალუპულ ცისფერყანწელთა რეკვიმად აღიქმება.

„ამ ფირზე პასტერნაკს აქვს გაქვავებული, მშვიდი, განწირული სახე, მინიმალური მიმიკით, სიტყვებსაც ისე წარმოთქვამს, როგორც შესანდობარს“ (დ. ბიკოვი, დასახელებული წიგნი).

\*\*\*

**ცნობილი** ბორის პასტერნაკის ერთადერთი, 1932 წლის 30 ივლისით დათარიღებული წერილი პაოლო იაშვილისადმი. ეს გარემოება, ნაწილობრივ, მათი ხშირი პირადი კონტაქტებითაც აიხსნება: 30-იანი წლების დასაწყისში პაოლო თვეობით იყო მივლინებული მოსკოვში და ხშირად ხვდებოდა პასტერნაკს; სსრკ მწერალთა კავშირის პლენუმებსა და „ფორმალისტების“ განმაქიქებელ დისკუსიებზეც არაერთხელ, ოსტატურად დაუცავს მეგობარი გაავეებული შემოტყვევისაგან, — ჩვეული ენაშტყვობით, დიპლომატიური ნიჭითა და იუმორით.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პასტერნაკის დანარჩენი წერილები, პაოლოს სხვა ხელნაწერებთან ერთად, პოეტის თვითმკვლელობის დამსჯე ჩეკას ხელში აღმოჩნდა და უკვალოდ გაქრა.

სწორედ ზემოხსენებულ წერილში „უხსნის“ ბორის პასტერნაკი პაოლო იაშვილს, — რა არის საქართველო; „ეგ არ არის მარტო სამხრეთი და კავკასია; ანუ მარად უსასრულო და ამაფორიაქებელი სილამაზე; ეგ არ არის მხოლოდ ტიცინი და შანშიაშვილი, ნადირაძე და მინიშვილი, გაფრინდაშვილი და ლეონიძე... ეგ უფრო დიდი რამეა, თანაც ისეთი რამე, რაც ახლა იშვიათობად არის ქცეული მთელ ქვეყანაზე. რადგან (რომ არაფერი ვთქვათ მის ზღაპრულ თავისთავადობაზე) უფრო ზოგადი თვალსაზრისითაც კი ისეთი ქვეყანაა, რომელსაც, ჩვენდა განსაცვიფრებლად, არასოდეს შეუწყვეტია არსებობა, ახლაც მყარად დგას მიწაზე და აბსტრაქციის სფეროს არ შერთვია. ეს არის ქვეყანა მარადიული ფერებისა და ყოველდღიური სინამდვილისა, რაგინდ დიდი არ უნდა იყოს მისი დღევანდელი გასაჭირი.

სწორედ ამ სახით წარმოგვიდგა და ყველაფერმა, რაც თქვენთან ერთად განვიცადეთ, კვლავ ლეგენდასავით განგვაცვიფრა...“

ეს ქალაქი (ტიფლისი) იმათთან ერთად, ვინც მანდ ვნახე, იმასთან ერთად, რისთვისაც მანდედან ვბრუნდებოდი და რაც მანდ მომქონდა, ჩემთვის იგივე იქნება, რაც იყო შოპენი, სკრიაბინი, მარბურგი, ვენეცია და რილკე... ახლა რასაც არ უნდა მოვიკიდო ხელი, საქართველოს გვერდს ვერ ავუვლი“.

დასასრულისათვის, პასტერნაკის „წერილების“ დიდებული იტალიური გამოცემის წინათქმის სიტყვები შემოვიწინებ:

„პასტერნაკისათვის, რომელსაც ასე თავდადებით უყვარდა სიცოცხლე, ისტორია, ბუნება, საქართველო ჭეშმარიტად „მეორე სამშობლო“ იყო. „წერილები ქართველი მეგობრებისადმი“, ესაა საუბარი იმ სულიერი თვითგამიდრებისა და თვითგახანგრძლივების შესახებ, რაც მეგობრობისა და სიყვარულის წიაღში იბადება. დიდი რუსისა და მისი ქართველი მეგობრების ამ უებრო ურთიერთსიყვარულისა და პოეზიისმიერი ძმადნაფიცობის წიაღ ჩვენს თვალწინ დგება მორალურად გამართლებული და უსაზღვროებაში გადასული, კეთილშობილური, წმინდა და თავისუფალი სულიერი სიმაღლე. „წერილები“ არა მარტო ის შუქია, რომელიც ნათელს ჰფენს პოეტის ბიოგრაფიის სამ ათეულ წელიწადს და, მასთან ერთად, პოეზიის მთელ სამყაროს — იტალიელთა უმრავლესობისათვის ჯერ კიდევ უცნობსა და ბეჭდით დაბეჭდილ ქართული პოეზიის სამყაროს; არა, ეს რაღაც უფრო ვრცელია და მეტისმომცველი: მტკივნეული და ჰარმონიული მოტივი ჩვენი საუკუნის დისჰარმონიულ მუსიკაში“ (ვიტორიო სტრადა, იტალიურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ).



ნანა ეხვია

\*\*\*

შენ ჩემი ჩრდილიც არ დაიტოვე, როგორც მზე ვერ ითმენს ღრუბლის ნამცეცხვს;

შენ ჩემი ცრემლიც არ დაიტოვე, როგორც დარები სდევნიან წვიმებს; ჩემი ღიმილის ნაშაღე ალი, როგორც სსოვნათა მრუდე ბილიკი და ჩემგან შენი თაყვანისცემის მალალ ჩანჩქერებს გზა ჩაუქოლე, შენ ჩემი თმენის უხმო კვიცილებს დუმილის ავი ეშვით ურქინე და ქვამარილად მიქციე დარდი.

**მეტრს**

ორიოდ სიტყვა მისახსოვრეთ იმედის დარად: ვით მწყურვალს — წყალი, უდაბნოს მგზავრს-ჩრდილის სიგრილე, ბნელს სინათლე და შემლილს — სიმშვიდე. ორიოდ სიტყვა მისახსოვრეთ მოურჩენელი მარტოობის ავი ქარების დასაშინებლად.

\*\*\*

რომ შემეძლოს, ჩემთვის მტკივნეულ წლებს ამოვშლიდი მესხიერებიდან ისეთი გულმოდგინებით, როგორც პირველკლასელი საკონტროლო წერაში დაშვებულ შეცდომას.

\*\*\*

ყველაზე მეტად მწუხარება მიერთვულდება. სხვა დანარჩენი ალსრულებული განაჩენის კმაყოფილებით მომჩრებია.

\*\*\*

მთვარეც სისავსისკენ მიიდრიკა, კოკრები დაუმძიმდათ ვარდებს გასაშლელად; გული ჩემი — ცარიელი ნიჟარა, ტკივილთ შხილით ანმყოს ებარება.

\*\*\*

ვინც რომ არ არის სხვაზე მეტი და ვინც რომ არის სხვაზე ნაკლები, ალბათ იმას თუ ჰგონია, რომ ყველგან კარგია, სადაც არა ვართ.

\*\*\*

მე არ მეხება სამყაროს ბრუნვა და მე არა ვარ მის ღრინცელში. მე არც სიცოცხლის ნორჩი კვირტი ვარ და არც სიკვდილის მიხრწნილი ვარდი, — მე მხოლოდ დარდი მომისაკლისებს, როცა ჩემნაირს ვერ მოიხელთებს.

\*\*\*

მზე ჩავა, ცა დადაბლდება, შენ ისევ ველარ შეგწვდები, საღამო დარდის ქვევრებში კვლავ სევდის ხარკს ჩამინურავს.

\*\*\*

იანვრის თბილმა ამინდმა აპრილის ლურჯი იები მზისაკენ გამოიტყუა, მაგრამ მარტსა და თებერვალს ნაგაზებზეთ მიუსხვეს.

\*\*\*

ჩემი ცრემლებით სავსეს ფიალას გინვდი, ჩემი გრძნობების უძირო ქვევრებს შენი უარის ცივ სამარეში ვმარხავ. შენი თვალის ნათელით შეშლილს, არ გაგიკვირდეს, თუკი როდისმე ვერგაძლებსგან გარდაცვლილს მნახავ.

\*\*\*

ჩემი დღეების ქარიან დარდებს ნახნაგებს უმტკრევს შენი სიშორე. შუამავლებად მთვარე და მზე მყავს — თორემ უშენოს ნუგეშს ვინ მომგვრის?! ქვიშის მარცვალი ვეხლები სალტეს — შენი თვალის ალმაცერ დუმილს ნალვერდალივით ვითმენ ბეჭებზე და ულმობელი უარის სუსხი მაბერწებს, მშლის და... კვლავ შენსკენ მიწვდის იმედის გორგალს.

\*\*\*

ყველა ბილიკის ხრიოკი გეზი იარას ქარგავს, მაგრამ ჯიუტად ვეძებ გაძლების მიზეზ-საბაბს: ყველა სასახლის კარიბჭესთან აკეცილ კარავს ისე მივივლი მწარე თაფლად, როგორც უფლისთვის შენირულ ზვარაკს.

\*\*\*

შენი ერთგულებისთვის დავიბადე — უშენოდ ამაოდ დავიხარჯე. შენი სიზმრების მეზღედ დავიბადე — ჩემ-ჩემი ტკივილებით დავიქარგე. შენი მასპინძლობისთვის დავიბადე — უსტუმროდ, მარტოსულად დავიკარგე. მსხმოიარობის მსუყე მტვენიდან სულ მარცვალ-მარცვალ განვიძარცვე.

\*\*\*

დამიმახსოვრე მწარე სევდით და მოურჩენელი ტკივილით მკვდარი, დამიმახსოვრე გრძნობებით სავსე მაგრამ ყველაფრის ვერამომტქმელი. დამიმახსოვრე, დამიმახსოვრე სამყაროს ერთი ნამცეცი, ნამი, მაგრამ თვითონაც სამყაროს მსგავსი.



აკითხვალი

რისმაც გორდებიანი:

# „თუ სათანადო განათლება არ გაქვს, ჩემთვის საინტერესო მწერალი ვერ იქნები“



პროფესორ რისმაც გორდებიანი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისტიკისა და ნეოგრეციკისტიკის ინსტიტუტის დამაარსებელსა და დირექტორს, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სრულ პროფესორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს - საზოგადოება კარგად იცნობს. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისა და მისი მდიდარი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ საუბარი, ვფიქრობ, შორს წაგვიყვანს.

წელს, ბატონი რისმაც გორდებიანი ლიტერატურული კონკურსის „საბა“ ჟიურის წევრიც გახლდათ. ვფიქრობ, ამ ფაქტმა, „საბას“ ნომინაციებში გამარჯვებულთა მიმართ საზოგადოების ინტერესი უფრო გააცხოველა; კლასიკური ფილოლოგიის საუკეთესო სპეციალისტის მიერ, თანამედროვე ლიტერატურის შეფასება, ალბათ, განსაკუთრებულად საინტერესო და ყურადსაღებია.

ინტერვიუ, რომელიც მასთან ჩვენს მიერ - მისი საუბარი ანტიკური ეპოქის მაღალ ლიტერატურაზე, დიდ კლასიკოსებზე, ასევე, თანამედროვე ლიტერატურული პროცესების მისეული შეფასება - მკითხველს გაცილებით მეტს ეტყვის რისმაც გორდებიანის შესახებ, ვიდრე ეს ჩვენი მცირე წარდგინება. მწერლობაზე მსჯელობისას, ის რამდენჯერმე შეჩერდა საკითხზე - მწერლები და განათლება. ისაუბრა იმაზე, თუ როდენ განსაზღვრავს ლიტერატურული შემოქმედების ხარისხს ავტორის განათლებულობა, თქვა: „მწერალი რომელსაც შესაბამისი განათლება არ აქვს, ჩემთვის საინტერესო ვერ იქნება“. ...უნებურად დავიწყე ფიქრი იმ მწერლებზე, რომელთაც სხვადასხვა დროს მაღალი რანგის ლიტერატურა შექმნეს. მათი შემოქმედება, ხომ, არამხოლოდ ნიჭის, არამედ სწორედ ღრმა განსწავლულობისა და წიგნიერების საფუძველზე აღმოცენდა. გამახსენდა ერთი ბრიტანელი მწერალი, რომელმაც 2007 წელს, 88 წლისა, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია დაიმსახურა. ძალიან საინტერესო იყო მისი სანობელო ლექცია, რომლის დედააზრიც გახლდათ: „კითხვა ავსებს ადამიანს ინფორმაციით, ისტორიით, ყოველგვარი ცოდნით... მწერლები იმ სახლებში არ იბადებიან, სადაც წიგნები არ არის... იმისთვის, რომ წერო, იმისთვის, რომ ლიტერატურა შექმნა, მჭიდრო კავშირი უნდა გქონდეს ბიბლიოთეკებთან, წიგნებთან, ტრადიციასთან“.

არაერთი ნობელიანტი მწერლის სანობელო სიტყვას გავცნობივართ და თითქმის ყველგან, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თხრობას წიგნთან ურთიერთობის კულტურასა და ტრადიციასზე, რომელიც ბავშვობიდან მოსდევთ, ოჯახიდან მოყვებათ... ისევე ბატონი რისმაცთან „ვბრუნდები“. ჩემი პირველი კითხვა მის ბავშვობას ეხება:

— ბატონო რისმაც, საუბარი თქვენი მამის, ბატონი ბენო გორდებიანის განსვენებით მიწა დავიწყო. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ იგი ქართული სასტამბო შრიფტის უპირველესი სპეციალისტი, პოლიგრაფიის დიდოსტატი იყო, ამ სფეროს განვითარებაში მისი ღვაწლი უდიდესია. ბატონი ბენო იმიტომ გავიხსენე, რომ ვფიქრობ, იმ გარემოში, თქვენს ოჯახში რომ სუფევდა, მნიშვნელოვნად განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანიცა და წარმატების ასეთი ხარისხიც...

— უნდა მოგახსენოთ, რომ მამაჩემს, ბენო გორდებიანი, ქართული პოლიგრაფიული შრიფტის ამაგდარად უფრო იცნობენ. თუმცა, ამავე დროს, იგი არის ქართული ფუტურის მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი, თავისი დროის ცნობილი მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე და არაერთი მონოგრაფიის ავტორი. მოგესვენებათ, შრიფტის კონსტრუირებისა და გამოყენების საკითხში ფუტურისტიკა მართლაც ნოვატორები იყვნენ. პერიოდული ჟურნალი, რომელსაც ისინი გამოსცემდნენ, პოლიგრაფიული შრიფტის ოსტატურად გამოყენების თვალსაზრისით, თანამედროვეთა ყურადღებას იმთავითვე იქცევდა. მას მერე, რაც ფუტურისტიკა და ხელოვნებაში ღიად მუშაობა სახიფათო გახდა, მამამ მთლიანად გადაინაცვლა საშრიფტო მეურნეობის სფეროში. ამავე დროს, იგი ბევრს მუშაობდა ხელოვნებათმცოდნეობაში. სხვადასხვა მხატვრის შემოქმედებას მან თორმეტამდე მონოგრაფია მიუძღვნა. მისი წიგნი ფიროსმანზე, მხატვრის შესახებ სხვა ხელოვნებათმცოდნეთა მიერ დაწერილ მონოგრაფიებს შორის, ერთ-ერთ ყველაზე პროფესიონალურ ნაშრომად მიჩნეული.

მქონდა ბედნიერება, მამაჩემის წყალობით, ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი გამეცნო. ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ სიმონ ჩიქოვანი, ლადო გუდიაშვილი, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე. იმართებოდა ძალიან საინტერესო საუბრები, დისკუსიები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე. ნებით თუ უნებლიედ, ამ საუბრების მსმენელი გახლდით და ჯერ კიდევ ბავშვი, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობაში უკვე ვერკვეოდი. გარდა ამისა, მამასთან და გერონტი ქიქოძესთან ერთად, ხშირად დავდიოდით ისტორიული ძეგლების სანახავედ. ეს საოცრი გასვლები იყო!

მამას ძალზე საინტერესო პირადი არქივი ჰქონდა. მაგალითისთვის გეტყვით, ის ინახავდა ერთ ასეთ წერილს: „დიდი მადლობა ბატონო ბენო. გრიგოლ რობაქიძე“. ჩემთვის, ამ ბარათის შინაარსი დიდხანს გამოცანად რჩებოდა. როცა ნამოვიზნარდე, მამამ მიაგვინა: ქუჩაში გრიგოლ რობაქიძე შეხვედრია. გრიგოლს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებები გამოუთქ-

ვამს. ასეთი თამამი საუბარი კი, იმ პერიოდში, საკმაოდ სახიფათო იყო. შეხვედრიდან რამდენიმე დღის განმავლობაში, შესაბამისი უწყების წარმომადგენლებს რობაქიძისთვის რომ არ მიუკითხავთ, მაღლიერების ბარათი მამასთვის ამიტომაც გამოუგზავნიან...

ასე რომ, შემომღია გიხარებათ, მამასთან ურთიერთობა ჩემი სულიერი სამყაროსთვის არსებითი გახლდათ. ის იყო პირველი უმნიშვნელოვანესი ადამიანი, რომელმაც ქართულ მწერლობას, ხელოვნებას მაზიარა და მნიშვნელოვნად განაპირობა ჩემი პროფესიული არჩევანი.

— კლასიკური ლიტერატურის კვლევა, შეიძლება ითქვას, თქვენი ცხოვრების ნაწილია. რა ძველ იმ უძველეს ტექსტებში ისეთი, რამაც გაუძლო დროს, რაც მას აქტუალურობას უნარჩუნებს და რაც დღემდე ასე იზიდავს სპეციალისტებს და მკითხველსაც?

— მოგესვენებათ, კულტურა, როგორც ადამიანური შემოქმედების ნაყოფი, რეალიზდება რამდენიმე დონეზე - მხატვრულ შემოქმედებაში, კრიტიკულ-ანალიტიკურ და გამოყენებით სფეროებში. კრიტიკულ-ანალიტიკური და მითუფრო, გამოყენებითი სფეროები, ცხადია, ევოლუციის ელემენტარულ კანონს ექვემდებარება, რაც გულისხმობს, რომ ყოველი ახალი ეპოქა განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯია. რაც შეეხება მხატვრულ შემოქმედებას, აქ სულ სხვა პრინციპი მოქმედებს. მაგალითად, ვერ ვიტყვით, რომ რადგან ჰომეროსი ძველთაღრიცხვის VIII საუკუნეში ცხოვრობდა, მას ავტომატურად ჯობს XXI საუკუნის მწერალი, რომელმაც იცის ძველი და თან, ქმნის ახალს. მხატვრულ შემოქმედებაში, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის ძალა მთავარი გახლავთ. ყველაზე მკაფიოდ, ვიტყვოდი, ყველაზე ბრწყინვალედ, ეს ანტიკურ სამყაროში გამოვლინდა. ამიტომ არის, რომ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ნაწარმოებები დღემდე გვასაზრდოებს და მათთან შემოქმედებითი ძალის იმპულსები გადმოგვცემს. გასაკვირი არ არის, რომ დიდი მწერლები, ვთქვათ, გოეთე, გოგოლი, ტოლსტოი თუ სხვანი, ალტაცებულნი იყვნენ ანტიკური კულტურით. შორს რომ არ წავიდეთ, საქმარისია ნავიკითხვით გალაკტიონის „საუბრები ლირიკის შესახებ“, რომ დავინახავთ, ის, ძირითადად, ანტიკურ ლირიკაზე ლაპარაკობს. გარდა ამისა, ანტიკური ლიტერატურა ზღვა ინფორმაციის შემცველია. ვიტყვოდი, უნიკალური ფაქტი გახლავთ, როცა მითოლოგიური ინფორმაცია მხატვრულად გარდაიქმნება და განუმეორებელი პარადიგმატული ნაწარმოებები იწარმოება.

ასე რომ, ანტიკურ ლიტერატურას არცერთ შემთხვევაში არ უნდა მივუდგეთ

პრინციპით - ძველია და შესაძლებელია საინტერესო არც იყოს. ის ძველია, მაგრამ თავისი შემოქმედების ძალით, ძალიან აქტუალური და თანამედროვეა.

— ალბათ ამიტომაც, ანტიკურმა ლიტერატურამ მთელი შემდგომი ეპოქების კულტურები ასაზრდოა...

— ჩვენს თვალწინაა უნიკალური მაგალითები, თუ როგორ ხდება ერთი კულტურის მიერ მეორეს შემოქმედებითი ათვისება. ვიცით, რომ რომაული კულტურა, პრაქტიკულად, ძველ ბერძნულ კულტურას ეფუძნება; მაგრამ, ამ კულტურის შემოქმედებითა ათვისებამ რომაელებს საშუალება მისცა საკუთარი სიმძლავრე შექმნათ და თუკი, ბერძნებს ჰომეროსი ჰყავთ, რომაელები ვირგილიუსი! თუკი საფო და ანაკრეონტი ბერძენი ლირიკოსები არიან, ჰორაციუსმა, კატულუსმა, ოვიდიუსმა რომაული ლირიკა შექმნეს!... ეს გახლავთ კლასიკური მაგალითი იმისა, რომ თუკი შენი კულტურის განვითარება გინდა, აუცილებელია შემოქმედებითად ათვისო ის, რაც შენამდეა შექმნილი და ისიც, რაც პარალელურად იქმნება.

— უძველეს ლიტერატურაში, ალბათ, არ მოიძებნება ავტორი, რომლის შემოქმედებაც მეცნიერულად არ შეგისწავლიათ, რომლის ტექსტებსაც არ ჩანვდომიხართ. თუმცა, მგონია, როგორც მკითხველს თქვენი რჩეულები გვეოლებათ. ვინ არიან ისინი და რატომ გამოარჩიეთ?

— თუკი ანტიკურ ლიტერატურაზე ვსაუბრობთ, სრულიად ცალსახად შემომღია ვთქვა, რომ ჩემთვის უმაღლესი ავტორიტეტი და ყველაზე საყვარელი ავტორი ჰომეროსია. მის შეფასებაში ორიგინალური ნამდვილად არ გახლავართ. ჰომეროსს განსაკუთრებულ მოვლენად თვლიდა მთელი ანტიკური სამყარო, ასე აფასებს მას თანამედროვე კულტურაც. არის ქვეყნები, სადაც ჰომეროსის თარგმნა დღემდე ინტენსიურად მიმდინარეობს. მაგალითად, გერმანიაში, (ქვეყანაში, სადაც ჰომეროსის ტექსტების თარგმნა ყველაზე ადრე დაიწყო), მარტო 70-იანი წლების შემდეგ, ოცდახუთამდე თარგმანია განხორციელებული. რაშია საქმე? — ჰომეროსი პოეტური, მხატვრული აზროვნების მწვერვალი გახლავთ. რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, გაოცებული რჩები მისი შემოქმედების ძალით. არისტოტელე, რომლის წინამძღვრ ბერძნული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები იდო, რომელიც იცნობდა ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს და იცოდა, რომ ტრაგედია საუკეთესო ჟანრია, ამ ყველაფრის მიუხედავად, ჰომეროსს „ღვთაებრივს“ უწოდებდა, მის ეპოსს წინ აყენებდა და თვლიდა, რომ უდიდესი ღვთაებრივი ნიჭისა თუ უდიდესი თეორიის წყალობით, ჰომეროსმა იცოდა ის, რაც დაფარულია სხვა მწერლებისთვის.

ჰომეროსის ალტაცებული გოეთე აღიარებდა, რომ იმ სიმძლავრე ვერასოდეს მისწვდებოდა. ერთ ხანს, ის ფრიდრიხ ვოლფის

ცნობილ თეორიას მიემხრო - ჰომეროსის არსებობას ეჭვქვეშ აყენებდა და მის შემოქმედებას სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებთა კრებულად მიიჩნევდა. ამბობდა, ჰომეროსს ვერასოდეს გაეუცლოდებოდი, მაგრამ თუკი შევძლებ, იმ ავტორთაგან რომელიმეს მაინც მივუახლოვდე, ბედნიერი ვიქნებოდი. მოგვიანებით, გოეთემ ვოლფისეული თეორია უარყო და აღიარა, რომ ჰომეროსი ერთია, განუყოფელია.

ცნობილია, ასევე, რომ ტოლსტოიმ, ჰომეროსის თხზულებათა რუსული თარგმანის ნაკითხვის შემდეგ, ძველი ბერძნული ენის შესწავლა განიზრახა; დაროცა, თხზულებები ორიგინალში წაიკითხა, თქვა: „ბერძნული ენის ცოდნის გარეშე, არ არის ცოდნა“...

ჰომეროსი ესაა სფერო, რომელზეც დაუსრულებლად შემომღია ვილაპარაკო. თუმცა, მე არ ვარ მხოლოდ ერთის მოყვარული. ჟანრების მიხედვით თუ მოვყვებით, ვთვლი, რომ სამივე ბერძენი ტრაგიკოსი - ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე - უდიდესი მოვლენაა ლიტერატურაში; არისტოტელეს შეუდარებელია კომედოგრაფიაში, მშვენიერი ლირიკოსები არიან საფო და ანაკრეონტი. აღარაფერს ვამბობ პინდაროსზე - ვეებერთელა ლირიკოსზე. რომაულ ლიტერატურაში თუ გადმოვიცინაცვლებთ, კატულუსის, ჰორაციუსის, ოვიდიუსის სახით შესანიშნავი ლირიკოსები გვყავს, ეპოსში უდიდესია ვირგილიუსი. ასე რომ, ბევრი ავტორია, რომელსაც პერიოდულად მივბრუნდები ხოლმე და ყოველთვის რაღაც ახალს ვიღებ.

— ბრძანეთ, რომ არაერთ ქვეყანაში კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს ძალზე აქტიურად თარგმნიან. ქართულ მთარგმნელობით სკოლაზე მინდა გკითხოთ - არამარტო კლასიკური, არამედ თანამედროვე ლიტერატურის თარგმნასაც გვუწოდებთ — განვითარების რა ეტაპზე იგი?

— სამუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობის აბსოლუტური უმეტესობა უცხო ენებს არ ფლობს იმ დონეზე, რომ მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარება შეძლოს. ლიტერატურის კითხვით ადამიანი არამარტო სემანტიკურ, არამედ ესთეტიკურ ინფორმაციასაც იღებს. თუკი ენა ძალიან კარგად არ იცი, წაკითხული წიგნიდან ესთეტიკურ ინფორმაციას ვერ მიიღებ და ის შენს სულში არაფერს აღძრავს. იმაზე ფიქრი, რომ უახლოეს მომავალში, ჩვენი ახალგაზრდები, მშობლიურის გარდა, სხვა რომელიმე ენას ისე შეისწავლიან, რომ მისი გამოყენება შეძლონ, ვფიქრობ, ზედმეტია. ამიტომ, გამოსავალს ასე ვხედავ - ძალზე ინტენსიურად უნდა ვიმუშაოთ მთარგმნელობით სფეროში, ქართულ ენაზე უნდა ვთარგმნოთ ყველაფერი, რაც მსოფლიო

ლიტერატურისთვის ღირებულია. წიგნის მალაზიაში შესულ მკითხველს საშუალება უნდა ჰქონდეს ქართულ ენაზე მოიძიოს მისთვის საინტერესო ნებისმიერი ავტორი - დანყებული კლასიკოსებიდან, თანამედროვე მწერლებით დამთავრებული. ჩვენი გამოცემლობები ამ საქმის დამოუკიდებლად განხორციელებას ვერ შეძლებენ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათი წარმონეება ფრამგენტული იქნება და უფრო ხშირად, არჩევანს არა მხატვრული ღირებულების მქონე, არამედ კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი ნაწარმების თარგმანზე შეაჩერებენ. მთარგმნელობით საქმის განვითარებისთვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია. საკმარისია, ქვეყნის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოს გარკვეული თანხა და ათ-თხუთმეტ წელიწადში ვეებერთელა პროგრესის მომსწრენი გავხდებით, ქვეყანას განათლებული, წიგნიერი თაობა ეყოლება!

**— ბატონო რისმაგ, მიახლოებით გამოცემლობის შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობთ. რას გამოსცემთ და ვინ არის თქვენი მკითხველი?**

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოლოგიისტიკის ინსტიტუტს აქვს არაკომერციული საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, რომელიც რამდენიმე მიმართულებით მუშაობს; ერთ-ერთი, ანტიკური ლიტერატურის თარგმანები გახლავთ. ახლახან გამოვეცით „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია“ სამ ტომად. ეს არის უნიკალური გამოცემა, რომელიც შესულია ყველა დიდი ავტორი, მათი უმნიშვნელო ნაწილის ნაწარმოებები — სრული ტექსტით ან ფრაგმენტულად. გამოვეცემთ, ასევე, საცნობარო ლიტერატურას. ამ მხრივ, ძალიან ბევრს ვმუშაობთ ლექსიკონებზე; ცოტა ხნის წინ, გამოვიდა პირველი ტომი ენციკლოპედიისა „ანტიკური კავკასია“, სადაც თავმოყრილია ყველა ბერძნული და ლათინურენოვანი წყარო, თარგმანი და პარალელური ტექსტები. მომდევნო ტომებში სტრუქტურული და სტატისტიკური მონაცემები იქნება წარმოდგენილი. მინდა გითხრათ, პირველმა გამოცემამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

გამოვეცემთ ასევე, ჩვენი პროფილის სამეცნიერო მონოგრაფიებსა და სტუდენტურ ნაშრომებს. მიგვაჩნია, რომ მეცნიერების განვითარებისთვის ეს სრულიად აუცილებელია. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ყველა იმ საგანში, რომელიც ჩვენი სასწავლო პროგრამის მიხედვით იკითხება, გამოცემული გვაქვს თანამედროვე სახელმძღვანელო ქართულ ენაზე.

მკითხველი დაინტერესდით... კარგად მახსოვს ის პერიოდი, როცა ჩვენს დარგში, ოცდაათათასიანი ან უფრო დიდი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნი გამოსვლისთანავე იყიდებოდა. დღეს კი, მოგესვენებათ, ოთხასი-ხუთასი ეგზემპლარი — ჩანოლილი ტირაჟია. სტუდენტობისას, როგორც კი სტიპენდიებს ავიღებდით, მაშინვე წიგნის მალაზიებს დავივლიდით ხოლმე, რაიმე ახალი რომ შეგვეჩინა. დღეს სულ სხვა სურათია. როგორც ჩანს ამ საკითხს ძალიან სერიოზული შესწავლა ესაჭიროება. თუ მკითხველი დაიკარგა, მაშინ აღარც მხატვრული ლიტერატურა იარსებებს.

**— თქვენ ასხენით გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე — ადამიანები, რომელთა გარემოცვაშიც იზრდებოდით. საინტერესოა თქვენი აზრი XX საუკუნის ქართული მწერლობის შესახებ...**

— უპირველესად, ქართულ მწერლობაზე ვიზრდებოდი. მოგეხსენებათ, ამ შემთხვევაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ემოციურ დამოკიდებულებას... რასაკვირველია, თუ არაფერს ვიტყვით ილიასა და აკაკიზე, — ჩემთვის ერთ-ერთი უდიდესი ავტორი ვაჟა ფშაველაა. მიმაჩნია, ასევე, რომ პოეზიაში გალაკტიონს ბადალი არ ჰყავს, არამხოლოდ იმიტომ, რომ ის ემოციურად მოქმედებს

ჩვენზე, არამედ იმიტომაც, რომ მან, თავის პოეზიაში, ვიტყვოდი, მსოფლიო ცოდნის გარკვეული სინთეზი მოახდინა. თუნდაც ანტიკურობა — შესისხლბორცებული აქვს და მხატვრულ სახეებში გამოხატული! ამავე თვალსაზრისით, ვფიქრობ, შესანიშნავი პოეტია გიორგი ლეონიძე. ჩემთვის ძალიან საინტერესოა, სიმონ ჩიქოვანის პოეზია, განსაკუთრებით მისი ფუტურ-იზმის პერიოდის ლექსები. რაც შეეხება პროზას, მიხეილ ჯავახიშვილი ევროპული ტიპის რომანისტად მიმაჩნია. ვიტყვოდი, ევროპულ-ქართული ტიპის ავტორია კონსტანტინე გამსახურდია. საინტერესო პროზა აქვს ლეო ქიაჩელს; იყო დრო, როცა მის ზოგიერთ ნაწარმოებს ინტერესით ვკითხულობდით... ჩვენს თანამედროვეობას თუ მოვუახლოვდებით, მე პირადად, მიმაჩნია, რომ პროზაშიც და პოეზიაშიც გამორჩეული ფიგურაა ოთარ ჭილაძე; თავისებურად საინტერესოა მუხრან მაჭავარიანი. რაც შეეხება ანა კალანდაძეს, ჩემს ახალგაზრდობაში მისი ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. პროზაში კი, ჩვენი თაობის ავტორთაგან, ალბათ, განსაკუთრებულ ყურადღებას გურამ დოჩინაშვილი იმსახურებს...

საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ქართულ ლიტერატურაში განათლებულობის გარკვეული სიმწრე, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესების ცოდნის დეფიციტი იგრძნობა. იმისთვის, რომ კარგი მწერალი იყო, რასაკვირველია, ნიჭი უნდა გქონდეს, მუზა გწყალობდეს, მაგრამ, თუ სათანადო განათლება არ გექვს, ჩემთვის საინტერესო მწერალი ვერ იქნები.

...საინტერესო მწერლები ქართული ლიტერატურიდან უკვე მოგახსენეთ. შესაძლოა ვინმე გამოიჩინა, მინდა ბოდიში მოვუხადო მათ.

**— ანტიკური ხანის მალაზიაში მწერლობის განვითარებასთან დაკავშირებით, რას გეტყვით?**

— ევროპულ ლიტერატურაზე ერთიანად საუბარი ძალიან შორს წავიყვანს. ერთ ამბავს გავიხსენებ: თამაზ კვაჭანტირაძე, ვახტანგ როდონაია და მე თანაკურსელები ვიყავით და ძალიან ვმეგობრობდით. დღესაც მეგობრები ვართ. მეოთხე კურსზე რომ ვიყავით, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას - XIX საუკუნის შუა წლებიდან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით - ქალბატონი ფატი გოკიელი გვიკითხავდა. მახსოვს, მაშინ ერთმანეთს ვუთხარით: „უკეთესი საშუალება, ამომწურავად გავეცნოთ ევროპულ ლიტერატურას, ალბათ, არ გვექნება. მოდი, დავსხდეთ და რაც შეიძლება მეტი წავიკითხოთ“. მართლაც საოცრად კარგად მოვემზადეთ. უნდა გითხრათ, რომ ამან ევროპელი ავტორებისა და მათი შემოქმედებისადმი გარკვეული დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბა... თუმცა, გამოცემაზე ერთი კუროზი შემეძინა. ბილეთში, მესამე საკითხად, ის ერთადერთი ნაწარმოები შემხვდა, რომლის წაკითხვაც ვერ მოვასწარი. ეს ჰაინრიხ მანის „პროფესორი უნრატი“ იყო. ამომწურავი პასუხებით მოხიბლულ ლექტორს მესამე საკითხი აღარ უკითხავს, მხოლოდ მითხრა, ნაწარმოების ფინალი თუ გახსოვთო. რასაკვირველია წარმოდგენა არ მქონდა, მაგრამ ჩემმა ფანტაზიამ რაღაც შეთხზა და ვუპასუხე... აღფრთოვანდა. შინ მისვლისთანავე „პროფესორი უნრატის“ ფინალით დავინტერესდი. რასაკვირველია, სულ სხვაგვარად მთავრდებოდა. ალბათ, ლექტორმა იფიქრა, ამან ისეთი დეტალები იცის, მე რომ გამოიჩინა...

როცა ევროპულ ლიტერატურაზე ლაპარაკობ, ძალიან ძნელია ვინმე გამოყო. ალბათ, მწერლების დახასიათებას ეპოქების მიხედვით უნდა შეუდგე. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მოდი, ჩვენს პერიოდს მოვუახლოვდეთ... ჩემთვის, თომას მანი XX საუკუნის ყველაზე დიდი მწერალია. მას ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ. პოპულარობის მიხედვით თუ შევადარებთ, ჩემს ახალგაზრდობაში ძალიან პოპულარული იყო ერის მარია რემარკი. ახლ-

ბური სტილით, შედარებით, ის ჩვენს აზროვნებაში შემოიჭრა, არაერთმა ქართველმა მწერალმა სცადა კიდევ მიეხატა მისთვის. თუმცა, მალევე აღმოვაჩინეთ, რომ რემარკის ერთი ნაწარმოებიდან მეორეში რაღაცეები მეორდება... და მის მიმართ ინტერესი განელდა.

საინტერესო ავტორია ვასილი აქსიონოვი. ის ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა.

სამწუხაროდ, არ მაქვს საშუალება დღევანდელ მწერლობას სრულად გავეცნო, თუმცა ნობელის პრემიის ლაურეატთა ნაწარმოებების კითხვას მაინც ვახერხებ. სერიოზულად გავეცანი 2009 წლის ნობელიანტის, ჰერტა მიულერის შემოქმედებას; ის წერს პროზას, პოეზიას, მუშაობს ესეისტიკაში, კითხულობს ლექსებს ლიტერატურაზე. მის მაგალითზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი — დიდი მწერალი რომ გახდეს, აუცილებელია ძალიან განათლებული ადამიანი იყო. თუკი მწერლის აზროვნებაში, თეორიულ მსჯელობაში ვერ ამოკითხავთ ცოდნას, ვერ ამოიღებთ ციტატებს, ის თქვენთვის საინტერესო ავტორი ვერ იქნება.

რაც შეეხება ლათინურ-ამერიკელ მწერლებს, ყველას არ ვიცნობ. ესპანურენოვან ლიტერატურას, ძირითადად, რუსული თარგმანების საშუალებით ვეცნობი. რუსულენოვან პოეტებს შორის, ჩემი ვარაუდით, ყველაზე საინტერესო პოეტი იოსიფ ბროდსკია. ის ჩემთვის ძალიან ახლობელია, შესანიშნავად გარდაქმნის ანტიკურ სახეებს, თუმცა მხოლოდ ეს არ გახლავთ მიზეზი, რატომაც მისი შემოქმედება მომწონს.

**— „საბას“ ჟიურიში ყოფნისას ახალგაზრდა ქართველ მწერალთა, პოეტთა, ლიტერატორთა ნამუშევრებს გაეცანით. საინტერესოა თქვენი აზრი თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ...**

— მოგახსენებთ, თუ რა მოტივაციით დავთანხმდი შემოთავაზებას ვყოფილიყავი „საბას“ ჟიურიში, თუმცა საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გახლდათ და მართალი გითხრათ, ყველა ავტორი ცხოველ ინტერესს ნამდვილად არ იწვევდა... ცოტა ხნით ადრე, ვიდრე კონკურსი დაიწყებოდა, ჩემს სტუდენტებს გავესაუბრე, ვკითხე, თუ ვის იცნობდნენ თანამედროვე ქართველი მწერლებიდან, ვინ იყო მათი საყვარელი ავტორი... მინდა გითხრათ, რომ სურათი უმძიმესია — სტუდენტებს რჩეული მწერალი არ ჰყავთ. ამ საუბრის შემდეგ, დავინტერესდი, გავრკვეულიყავი, რა ხდება ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში... და მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი დრო უხვად არ მაქვს, „საბას“ ორგანიზატორთა შემოთავაზებას მაინც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი.

მოგეხსენებათ, ლიტერატურულ კონკურსზე წამოდგენილი იყო თითქმის ყველა ის მწერალი, რომელიც დღეს აქტიურად მუშაობს. ნათლად გამოჩნდა, რომ ქართველ მწერალთა ერთი, მართალია, შედარებით მცირე ნაწილი მსოფლიო ლიტერატურის ტენდენციებს და თანამედროვე მწერლებს კარგად იცნობს, და ცდილობს მათ დონეს გაუტოლდეს.

ჟანრების მიხედვით თუ ვისაუბრებთ, პოეზიაში, კონკურსში მონაწილე ისეთ ადამიანებზე უკეთესად ერთად, როგორებიცაა ლია სტურუა და ზვიად რატიანი, მინდა ავანგუდო დავენიშო იმედისმოქმედი ავტორი დიანა ანდომიანი. მის ლექსებში ბევრი ისეთი შტრიხი დავინახე, რაც მას ნობელის პრემიის ლაურეატ ბერძენ პოეტთან, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ მშვენიერესთან — გიორგოს სეფერისტთან აახლოებს.

პროზაში, მოთხრობების ჟანრში, მოგეხსენებათ, პრემია კოტე ჯანდიერს მივეცით. თუმცა, ვფიქრობ, ასევე ძალიან საინტერესო ავტორია ზურაბ ლეჟავა. მისი მოთხრობებიდან ზოგიერთი, ვიტყვოდი, თავისი გროტესკული სილალით, ლამის არისტოფანესს მახსენებს. სიამოვნებით ნავიკითხე.

რაც შეეხება კონკურსზე წარმოდგენილ რომანებს... ვფიქრობ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქალბატონ ნაირა გელაშვილის ნაწარმოები, რომელმაც პრემია დაიმსახურა. ეს გახლდათ ერთადერთი,

ვიტყვოდი, გამონაკლისი რომანთაგან, რომლის პერსონაჟები ლიტერატურულ პროდუქტზე მსჯელობენ, თანაც, საინტერესოდ განიხილავენ მას. ძალიან კარგია, როცა მხატვრულ ლიტერატურაში ასეთი რამ ხდება. ვფიქრობ, ქალბატონი ნაირა რომანისტიკის განგებით მომადლებული ნიჭის გარდა, მშვენივრად იცნობს მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს. ამასთანავე, მის ნაწარმოებში, გერმანული ლიტერატურის კარგი ცოდნა იგრძნობა.

მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტი რომანისტიკა ლაშა ბულაძე. ძალიან მომეწონა მისი „ლიტერატურული ექსპრესი“, რომელსაც მკითხველი საქართველოს ფარგლებიდან „გაჰყავს“. ვფიქრობ, ვინრო საზღვრების გარღვევა ძალიან მნიშვნელოვანია მწერლობისათვის. რაც მთავარია, ლაშა ბულაძის შემოქმედებაში ზრდისა და ახლის ძიების ტენდენცია შეინიშნება.

აშკარაა, რომ ჩინებული რომანისტიკა აკა მორჩილაძე. თუმცა, არ მგონია, მისი საკონკურსო რომანი, მწერლის საუკეთესო ნაწარმოებების რიგს განეკუთვნებოდეს.

კონკურსზე წარმოდგენილი იყო, ასევე, ზაზა ბურჭულაძის რომანი „ადიბასი“. ვფიქრობ, აუცილებელია, ლიტერატურაში არსებობდეს შემოქმედებით მუშაობზე ფიგურა, რომელიც გარკვეულ საზოგადოებრივ ნორმებს აუმხედრდება და საზოგადოებრივი აზრის გამომწვევე პრინციპებს შემოგვთავაზებს. სხვა საკითხია, მოეწონება თუ არა ეს ვინმეს, გაიზიარებენ თუ არა მის ხედვას... რა არის ლიტერატურის დანიშნულება? მკითხველისათვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება თუ რაღაც სხვა? — სადავო საკითხი გახლავთ. ჩემი ვარაუდით, თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებზე გადასვლისას, ძალიან რთულია გავავლოთ ზღვარი პორნოგრაფიასა და ეროტიკული სცენის ესთეტიკურად აღწერას შორის. მწერალი აქ ყურადღებით უნდა იყოს. ბურჭულაძე აშკარად ნიჭიერი მწერალია, დარწმუნებული ვარ, მკითხველზე ზემოქმედების ლიტერატურულ ფორმებს ის თანდათან უფრო დახვეწავს.

კონკურსში ბევრი კარგი მთარგმნელი მონაწილეობდა. მათ შორის მანანა ლარიბაშვილი გამოვარჩიეთ, მან კატულუსის თარგმანი წარმოადგინა. მინდა გითხრათ, რომ დღემდე, სხვადასხვა ენაზე შესრულებულ კატულუსის თარგმანებს შორის, ეს ერთ-ერთი საუკეთესოა.

რაც შეეხება დრამატურგიას, ვფიქრობ, იქ საოცარი სიმწირეა. საკონკურსოდ მხოლოდ ორი ავტორი შევარჩიეთ - არა იმიტომ, რომ ზედმეტად მკაცრად ვაფასებდით, უბრალოდ, წარმოდგენილმა პროდუქციამ მეტის შესაძლებლობა არ მოგვეცა.

ესეისტიკაში აშკარად გამოირჩეოდა ზურაბ ქარუმიძე, რომელსაც პრემია მივანიჭეთ. ვისურვებდი, რომ მწერლებმა მეტად იაქტიურონ ამ სფეროში, თავიანთი პოზიციები გაგვაცნონ... კარგ ლიტერატურულ ესეებს მკითხველი ყოველთვის ელის...

დებიუტანტებში ყურადღება მიიპყრო ლტოლვემ ახალი ფორმების ძიებისაკენ, ამ მხრივ განსაკუთრებით ლაურეატი მაკა ლდოკონენი გამოირჩეოდა.

როგორც ხედავთ, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ურიგოდ არ გავრკვეულვარ. ძალიან მწყდება გული, ქართველ მწერლებს დამფასებელთა ასეთი მცირე აუდიტორია რომ ჰყავთ. ქუჩაში გამველევებს თანამედროვე ავტორების შესახებ რომ ჰკითხოთ, უმეტესობა ვერაფერს გიპასუხებთ. მეორე მხრივ კი, ჩვენს მწერლებს ვურჩევდი, რაც შეიძლება მეტად იზრუნონ საკუთარ განათლებაზე, მაქსიმალურად მოერიდონ იაფფასიან პოპულარობას, იმუშაონ ბევრი, რათა საკუთარი კონცეფცია გამოიმუშაონ და ჭეშმარიტი ლიტერატურა შექმნან. ძალიან ბევრი კონკურსები ჰყავთ მსოფლიო მასშტაბით და თუკი თავიანთი ნაწარმოებებით მკითხველს ბევრს ვერაფერს შესთავაზებენ, მათ არ წაიკითხვენ.

*ესაუბრა თამარ ჟურული*

ანარალი

ზურაბ ქარუმიძე:

# „ასე წერას აღარ ვაპირებ“

ის არც ისტორიკოსია, არც მუსიკისმცოდნე, უბრალოდ, მწერალია, რომელსაც ძალიან უყვარს ჯაზი. ამ თემაზე წერა სულ უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მოგვიანებით ერთ-ერთ მუსიკალურ რადიოში ჯაზმენებსა და ჯაზის მიმართულებებზე ჩანახატების გაკეთება სთხოვეს. წერის პროცესში მიხვდა, რომ ჯობდა ამ ყველაფრისთვის უფრო მწყობრი სახე მიეცა. ასე გადაიზარდა პატარ-პატარა ამბები სრულფასოვან ისტორიაში ჯაზზე. ნიგნმა სახელად „ჯაზის ცხოვრება“ დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველი ტირაჟი ძალიან მალე გაიყიდა, ცოტა ხნის წინ კი ლიტერატურული პრემია „საბაც“ მიანიჭეს. ზურაბ ქარუმიძესთან ინტერვიუ სწორედ მასზე საუბრით დაიწყო.

— რამდენად მნიშვნელოვანია ამ ტიპის გამოცემა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში?

— ასეთი გამოცემები მხოლოდ ლიტერატურული კი არაა, ზოგადად შემოქმედებითი სივრცისთვისაა მნიშვნელოვანი. თუ თავს კულტურულ ერთად მივიჩნევთ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას გვაქვს პრეტენზია, ჯაზის შესახებ კულტუროლოგიური გამოკვლევა უნდა გვქონდეს. გარკვეულწილად ეს ნიგნი დაგვიანებულიც არის, რადგან ჯაზით ტკბობის ტრადიცია საქართველოში ხანგრძლივია. იყო ასეთი კომპოზიტორი — ნიკოლოზ გუდიაშვილი, რომელმაც 30-იანი წლების ბოლოს დაწერა „კავკასიური სუიტა ჯაზურ სტილში“. 50-იან წლებში გვყავდა გეპის ჯაზ-ორკესტრი, რომლის კონცერტებზე მოსკოვში იმდენი ხალხი იკრიბებოდა, ცხენოსანი მილიცია გამოჰყავდათ. რაც შეეხება ლიტერატურას, ერთადერთი ნიგნი, რომელიც გასული საუკუნის შუა წლებში დაიწერა, ვახტანგ ჯალიაშვილის „ინსტრუმენტული ჯაზი“ იყო, თუმცა პირველი ქართველი, ვინც თავის ნაწარმოებში სიტყვა ჯაზს ახსენებს, გრიგოლ რობაქიძეა რომანით — „ფალესტრა“.

საქართველოში კარგი მსმენელები ყოველთვის გვყავდა, მაგრამ ამ ყველაფრის გასიტყვება არავის უცდია. მუსიკალური მინარსის გადმოცემა ლიტერატურულად ძალიან რთულია: ერთდროულად უნდა იყო მწერალიც და მელოდნიც. რასაკვირველია, იყვნენ დიდებული ავტორები, რომლებიც მუსიკაზე წერდნენ, მათ შორის, ჰოფმანი, თომას მანი, მაგრამ თითო-ორი. საქართველოში ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ამიტომ ჩემთვის ერთგვარი პერფექციონი გამოწვევა იყო, დამენერა ნიგნი ჯაზის შესახებ ყველასათვის გასაგებ ენაზე. როგორც მწერალს, მაინტერესებდა, როგორ გადმოვცემდი რთულ კომპოზიციებს მეტაფორის ენით. მეტაფორის გარეშე ხომ ამ სფეროზე წერა წარმოუდგენელია.

— საკმაოდ რთული მისია გქონიათ და ვგონებ, კარგად გარათვის თავი. ამას მონაწილე ნიგნი პოპულარობა, ის, რომ ტირაჟი, ფაქტობრივად, აღარ არის. ახლახან „ჯაზის ცხოვრებას“ ლიტერატურული პრემია „საბაც“ მიენიჭა. ელოდით ასეთ აღიარებას?

— სიმართლე გითხრათ, არა. პესიმისტი კაცი ვარ და ბევრი ქების მიუხედავად, ასე აშკარად ამ პრემიას არ ველოდი. „ჯაზის ცხოვრებამ“ ყველა თაობის ადამიანები დაინტერესა. ყველაზე მეტად ახლგაზრდების ყურადღება მახარებს. „ფეისბუქზე“ 18-19 წლის გოგო-ბიჭები მწერდნენ და თავის განცდებს მიზიარებდნენ.

— როგორ ფიქრობთ, რატომ აიტაცა ჯაზის თემაზე დაწერილი ნიგნი ასე უცებ საზოგადოებამ, მაშინ, როცა თქვენს შემოქმედებას ლიტერატურის კრიტიკოსები, მკითხველზე რომ არაფერი ვთქვათ, კარგა ხანს უწყვეტდნენ იგნორირებას?

— ალბათ იმიტომ, რომ ეს ნიგნი ყველაზე ადვილი წასაკითხია, რაც კი აქამდე დამინერია. მანამდე იყო ძალიან რთული ტექსტები, რომლებსაც ვინცო წრე აღიქვამდა, მაგრამ ზოგადად მკითხველისთვის გაუგებარი რჩებოდა. მე ვიყავი „ფართოდ ცნობილი ვინცო წრეებში“, როგორც ერთ-მა რუსმა მწერალმა იხუმრა თავის თავზე.

— თქვენს მწერლობას „ცარიელ ადგილზე ამოზრდილს“ უწოდებენ, რომელსაც ქართულ ლიტერატურულ სივრცეში წინამორბედი არ ჰყავს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— ვეთანხმები, რადგან მე არ ვარ ქართულ ლიტერატურულ-ენობრივ ტრადიციებზე გაზრდილი კაცი. მშობლიური სივრცე ჩემთვის სასკოლო მასალითა და იმ დიდებული ავტორებით შემოი-

ფარგლებოდა, რომელნიც მსოფლიო კლასიკოსებს არ ჩამოუვარდებიან. განათლებით ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი გახლავართ, ამიტომ ძირითადად დასავლური ესთეტიკის გავლენით ვყალიბდებოდი. ენობრივადაც დასავლეთეუროპული კლასიკა მოქმედებდა, რომელიც ძალიან კარგად ითარგმნა ქართულად. ეს არის დათო წერედიანის მიერ გადმოქართულებული ვიიონი, გურამ გოგიაშვილის რაბლე, რომლის ქართულ გამოცემას ჩემი ბოლოსიტყვაობა ახლავს და ნიკო ყიასაშვილის „ულისე“. ბატონი ნიკო ჩემი პედაგოგი იყო და „ულისეს“ თარგმანს გამოქვეყნებამდე ჯერ ჩვენ, სტუდენტებს გვაკითხებდა. მთელმა მისმა შემოქმედებებმა ლაბორატორიამ ჩემს ტვინში გაიარა.

— ეს იგრძნობა კიდევ თქვენს ნაწერებში. სხვაგვარი აზროვნება ჩანს.

— იმ პერიოდში ენობრივი ექსპერიმენტები ვიყავი გატაცებული და მიმაჩნდა, რომ ქართულ ენაზე უნდა დაწერილიყო „ულისეს“ ტიპის ტექსტი. დაწერე კიდევ „ღვინომუქი ზღვა“. რასაკვირველია, საკუთარ თავს ჯოისს ვერ შევადარებ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ექსპერიმენტის შედეგად ქართულ ლიტერატურაში გვაქვს პოსტ-მოდერნიზმის კლასიკური ნიმუში თავისი ენობრივი, ხატოვანი და ინტერტექსტუალური მომენტებით. თუმცა თავიდან, როდესაც ხელში კალამი ავიღე, ამაზე ნამდვილად არ მიფიქრია, უბრალოდ, ამგვარად წერის მოთხოვნა მქონდა. ეს იყო 90-იან წლებში, როდესაც საქართველოში პოსტმოდერნისტული იდეები შემოვიდა და ამ ტალღას მეც გამოვებნაურე.

— რომანს „ღვინომუქი ზღვა“, რომელიც 2000 წელს გამოვიდა, კრიტიკოსებმა რადიკალური ექსპერიმენტი უწოდეს, რაც „პრინციპულად ანტინარატიულ ტენდენციაში“ გამოიხატებოდა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თქვენ უგულვებელყოფდით ამჟამის და ძირითად აქცენტს ბგერწერაზე აკეთებდით. რა იყო ამის მიზეზი?

— მაშინ ამერიკაში ვმუშაობდი, სადაც ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ სიუჟეტმა დაკარგა ფუნქცია, ლინეარული ნარატივი აღარ არსებობს და ა.შ. ერთი სიტყვით, სიუჟეტზე დაფუძნებული ნაწარმოები დასავლურ ლიტერატურას ნაკლებად აინტერესებდა. მათი განწყობა მეც გადაემდო. დღევანდელი გადმოსახედიდან, შეიძლება ეს არც არის კარგი. იქნებ აჯობებდა, თავიდანვე ტრადიციული ნარატივის გზით წავსულიყავი და სიუჟეტი ჩემი წარმოსახვის მეშვეობით დამემუშავებინა. ამაზეც მიფიქრია. ახლა გადავწყვიტე, მეტნაკლებად მოვეყვებო ამაღს, ოღონდ შესაბამისი სახეების, ლიტერატურული ფორმებისა და თამაშის გამოყენებით.

— რაც შეეხება „ღვინომუქი ზღვას“, კარგად მქონდა გააზრებული, რომ სიუჟეტი იქ მთავარი არ იყო. ვწერდი მუსიკალურ ამბავს და ჩემთვის უფრო მუსიკალური ფონი, რომელიც სიტყვებში გადმოქონდა. ეს იყო ბგერების სიმფონია.

— თქვენს ნაწერებს ერთ-ერთ „ძირითად ნაკლად“ მკითხველის ფერომენის იგნორირებასაც მიიჩნევენ, „როცა ავტორი თითქოს თავის თავს ესაუბრება მხოლოდ მისთვის გასაგებ ენაზე“ — წერდა თავის დროზე მწერალი და კრიტიკოსი დავით ზურაბიშვილი. ფაქტია, რომ „ღვინომუქი ზღვა“, „გიჟების ჩასსმა“, „პაროდოსი“ და სხვა ოპუსები რიგითი მკითხველისთვის არ არის განკუთვნილი. თუ გიფიქრიათ იმაზე, ვისთვის წერთ?

— მე ვწერ ერთდირებული მკითხველისთვის, ვისაც ბევრი ნიგნი აქვს ნაკითხული. მათი რიცხვი ძალიან მცირეა, მაგრამ ასეთი ხალხი არსებობს. მიხდა დავაზუსტო, რომ ეს იყო ადრე, ახლა კი

ასე წერას აღარ ვაპირებ. ნიგნი, რომელზეც ამჟამად ვმუშაობ, მაქსიმალურად გასაგებ ენაზე იქმნება.

— რა ნიგნზეა საუბარი?

— ეს არის რომანი, რომელიც ძალიან საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: 1926 წელს საქართველოში ჩამოსული ამერიკელი ცოლ-ქმრის ისტორიას, რომელიც თავს სვანეთში ამოყოფენ. იქ, სვანების გარემოცვაში იცეკვებენ ფოქსტროტს... მთელ სიუჟეტს ვერ გაგიმხვლეთ, მაგრამ გეტყვით, რომ ბევრი სახასიათო პერსონაჟია. თავად ეპოქა მნიშვნელოვანი — XX საუკუნის 20-იანი წლები, ქართული მოდერნიზმის ხანა. ამავე დროს იწყება თავისუფლების თანდათანობით შეზღუდვის პერიოდი, ასპარეზზე გამოდის ლავრენტი ბერია.

— პოლიტიკური მომენტებიც იკვეთება?

— რასაკვირველია, მაგრამ რომანი ძირითადად ქართულ მოდერნიზმზეა. თამაში იმ ესთეტიკით, რომელიც იქმნებოდა ცისფერყანალებისა თუ ფუტურისტების სახით. სხვათა შორის, ჩემი ნაწერების ძირითადი ხაზი კულტურაა. კულტურული მოვლენები, იდეები იქცევა ხოლმე თხრობის მთავარ თემად. საერთოდ, ჩემთვის ლიტერატურა არის ის, რასაც ჰერმან ჰესე აღწერს რომანში — „თამაში რომში მარგალიტებით“. მისი შესავალი მწერლობის შემდგომი განვითარების ერთგვარი კონცეფციაა, ცოდნის სხვადასხვა სფეროებიდან აღებული იდეებით თამაში.

— 15-16 წლის წინ თქვენ და თქვენმა მეგობრებმა ლიტერატურული აღმანახი „ახალი დროება“ გამოუშვეთ, რომლის ერთი ნომერიც სახლში მიღვეს. მინდა გითხრათ, რომ იქ დაბეჭდილი მასალები ამდენი წლის შემდეგაც აქტუალურია.

— მართლაც საინტერესო აღმანახი გამოვიდა. ახალგაზრდები ვიყავით და იდეები გვანუხებდა. პროცესების დაძვინის სურვილიც გვქონდა, მაგრამ უფინანსობის გამო მხოლოდ ორი ნომრის გამოშვება შეეძლო.

ზოგადად, ეს იყო ლიტერატურული პროცესის გააზრების პირველი მცდელობა. გვინდოდა გავგვერკვია, რა ხდებოდა, სად ვიყავით მწერლობის განვითარების თვალსაზრისით, გაგვეაზრებინა ქართული ლიტერატურული ტრადიცია, უახლესი საბჭოური პერიოდი და მომავალზეც გვეფიქრა.

— რამდენადაც ვიცი, „ინოსტრანკას“ ტიპის აღმანახის გაკეთება გინდოდათ. თავის დროზე ამ უწინააღმდეგო ძალიან დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელი საბჭოეთის ლიტერატურულ სივრცეზე. საქართველოში თუ გამოდიოდა მსგავსი „გაქანების“ გამოცემები?

— იყო ჩვენთან ორი საინტერესო ჟურნალი - „საუნჯე“ და „ხომლი“. მთლად „ინოსტრანკას“ დონის ვერა, მაგრამ რაღაცები იბეჭდებოდა. მაგალითად, 1972 წელს „ხომლი“ გამოქვეყნდა ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ მზია ბაქრაძის თარგმანით. მაშინ ეს სერიოზული გარღვევა იყო. „საუნჯეში“ კი ჯოისის „ულისე“ იბეჭდებოდა. იმ პერიოდში არსებობდა თარგმანის კოლეგია, ოთარ ნოდის ხელმძღვანელობით, სადაც ბევრი კარგი რამ კეთდებოდა.

— დღეს ეს კოლეგია აღარ არსებობს, მაგრამ თარგმანების რაოდენობა არ შემცირებულა.

— დიახ, მაგრამ ხარისხი როგორია?! კარგად თქვა ამას წინათ გიორგი ლობჯანიძემ, საქართველოში რედაქტორის ინსტიტუტი აღარ არსებობს. არადა, ეს ინსტიტუტი საჭიროა. შენი ტექსტი ვიღაცამ უსათუოდ უნდა წაიკითხოს, რადგან უცხო თვლი ნაწერს სხვაგვარად აფასებს. ჩემს ყველა გამოცემაში ნახსენებია რედაქტორი გია ჭუმბურიძე, რომელიც ყოველთვის ეცნობა ჩემს ოპუსებს და



შენიშვნებსაც მაძლევს. ნიგნისთვის რედაქტორი აუცილებელია, განსაკუთრებით თარგმანის შემთხვევაში. დღეს კი რა ხდება? თარგმანები გვამოდის, მაგრამ ხარისხი მოიკოჭლებს, თუმცა ქართული მთარგმნელობითი სკოლა ძალიან ძლიერია, განსაკუთრებით აღმოსავლური ლიტერატურის მიმართულებით. დასავლეთეუროპულიდანაც მშვენივრად აქართულებენ, მაგრამ ხაიამისა და ჰაფეზის თარგმანები უკეთესია. იმიტომ, რომ ლექსიკურად ამ სამყაროსთან უფრო ახლოს ვართ.

— თავად არ გიფიქრიათ თარგმანზე?

— არა, თარგმანი სულ სხვა სფეროა. მართალია, მაქვს მცირეოდენი გამოცდილება, მაგრამ ეს უფრო იმპროვიზაციაა ორიგინალის თემაზე. ვგულისხმობ ლუის კეროლის დიდებული ნაწარმოებს „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“, საიდანაც ერთი თავი ვთარგმნე.

— რატომ მხოლოდ ეს ერთი თავი?

— იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს და მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია. სულ მინდოდა გადმოქართულებინა და ბოლოს დათო ზურაბიშვილისა და გია ჭუმბურიძის დაწინებული თხრობით სურვილი ავისრულე. არსებობს კეროლის ორი ქართული ვარიანტი: 60-იან წლებში აღექსანდრე გამყრელიძის მიერ შესრულებული და ახლახანს გამოსული გია გოკიელის თარგმანი, რომელიც უფრო კლასიკურ ვერსიას წარმოადგენს. მე კი მინდოდა ცოტა სხვა თვლით დამეზრებინა, რომანი, თარგმანის დროს მეთამაშა, ორიგინალს დაეშორებოდი და ნაწყვეტში ეს ჩანს კიდევ. საბოლოოდ, გამოვიდა სიურეალისტური ტექსტი უფროსებითვის, თუმცა ბავშვებსაც ძალიან მოეწონათ.

— მთლიანად გადმოქართულებაზე არ გიფიქრიათ?

— სიბერეში ვაპირებ. დავჯდები და ვთარგმნი. თუმცა შეიძლება რომანის დასრულების შემდეგაც მივუბრუნდებ, ოღონდ იმ სტილში, როგორც ეს ერთი თავი ვთარგმნე — ორიგინალისგან დაშორებით.

— თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე რას ფიქრობთ, როგორ ვითარდება პროცესები?

— ამ თემაზე საუბარს ყოველთვის ვიწყებ სულმნათი ილია ჭავჭავაძის ციტირებით მისივე სტატიიდან - „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“, სადაც პრობლემის სათავედ მწერლების კი არა, კრიტიკოსების არარსებობას მიიჩნევს. დღემდე მწვავედ დგას ეს პრობლემა საქართველოში. ქართული ლიტერატურული კრიტიკა ძალიან მოიკოჭლებს და არავინ ზრუნავს, რომ ეს პროცესი რაღაცნაირად განვითარდეს. გასული საუკუნის 70-იან წლებში იყვნენ გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, მაგრამ ისინი უფრო პუბლიცისტიკაში მოღვაწეობდნენ. ლიტერატურათმცოდნეობა იმ სახით, როგორც ამერიკასა და ინგლისურენოვან საყაროში იყო, ჩვენთან ვერ ჩამოყალიბდა. დღესაც ლიტერატურული პროცესი ბრმად მიდის, არავინ ცდილობს გაიზაროს, რა ხდება. საერთოდ, ქართველებს კრიტიკული ანალიზი არასოდეს გვეხერხებოდა.

— დღესდღეობით თუ არის რომელიმე კრიტიკოსი, ვისი აზრიც თქვენთვის მნიშვნელოვანია?

— დასავლური ტიპის ლიტერატურული კრიტიკა საქართველოში იმ ადამიანებს შემოჰქონდა, ვინც იქ მიიღო განათლება. იგივე ბუბა ყარალაშვილი, თემურ კობახიძე, მეც, მათ შორის. ის კონცეპტუალური აპარატი, რომელიც დასავლურ კრიტიკაშია, გადმოვაქართულეთ, მაგრამ ჩვენ მანაც დასავლური ლიტერატურის შესახებ ვწერდით.

— ახლა რატომ შეჩერდა ეს პროცესი?

— ალბათ იმიტომ, რომ არ არის ხალხი, ვინც ამას მოახერხებს. საინტერესოდ წერს ზაზა შათირიშვილი, მაგრამ მართალია. მე თუ მკითხავთ, დათო ზურაბიშვილის ის წერილი, რომელიც „ახალ დროებაში“ დაიბეჭდა, იყო პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი მცდელობა გაეაზრებინა, რა ხდება ქართულ ლიტერატურაში, სადამდე მივდივით, რა იყო მანამდე და რა უნდა ხდებოდეს. მაგრამ მხოლოდ ეს წერილი არაფერს გვიშველის, ბევრი უნდა იყოს. ამას წინათ ერთ-ერთმა ქართველმა გამომცემელმა განაცხადა, საქართველოში კრიტიკა არ არის საჭირო, იმიტომ, რომ წელიწადში 5 რომანი იწერება, საფრანგეთს კი სჭირდება, რადგან იქ 5 ათასი გამოდისო. გეხსმის, რა ლოგიკაა? იმის გამო, რომ ცოტა იწერება, აღარ უნდა გაიზაროს, 10 წლის განმავლობაში რა ხდებოდა! ეს არის აბსოლუტური „ბენდუქიძიზმი“, ოღონდ ლიტერატურასთან მიმართებაში.

— რომელიმე ნაწარმოები თუ დაგამახსოვრდათ თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან?

— აკა მორჩილაძის „სანტა ესპერანსა“ მომეწონა. საერთოდ, ძალიან მნიშვნელოვანი თანამედროვე ქართველებს. ძირითადად ერთიდაიგივე თემები ტრიალებს. ახლა ვაპირებ უფრო ინტენსიურად ვიკითხო. ისე, ეს მართო ქართველების პრობლემა არ არის, დასავლეთშიც ანალოგიური ვითარებაა. ერთგვარი მდგრადობის ხანაა კულტურაში, გამყინვარების პერიოდი, რომლის შემდეგაც რაღაც ახალმა უნდა იფეთქოს. 80-იან წლებში რამდენიმე შედეგური გამოვიდა: პავლიჩის „ხაზარული ლექსიკონი“, ზიუსკინდის „ნელსურნელება“, უმბერტო ეკოს რომანები, მას შემდეგ ახალი არაფერი თქმულა.

— ფამუქის შესახებ რას ფიქრობთ? დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორია.

— ფამუქი ეკოსა და ბორხესის გზას აგრძელებს, ოღონდ თუ ბორხესი ამას ერთ გვერდზე ახერხებდა, მას 50 სჭირდება. რომანი „მე წითელი მქვია“ ისე და ისევე კულტურის მეტაფორიზაცია, კულტურასთან დაკავშირებული თემებისა და ცნებების, კონცეფციებისა და იდეების თამაშია. ეს არის ბორხესისა და ეკოს ძალზე საინტერესო შემოქმედებითი გააზრება.

შესანიშნავი ავტორია სალმან რუსდი. საერთოდ, გასულ საუკუნეში უცნაური რამ მოხდა: ბრიტანეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ყოფილი კოლონიებიდან წამოვიდნენ მაგარი მწერლები — ინდოელები, პაკისტანელები, რომლებიც ბრწყინვალე ინგლისურით წერენ. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ინდოელი ავტორის, ვიქტორამ სეთის რომანმა — „ოქროს კარიბჭე“, რომელიც 1986 წელს გამოვიდა. ეს არის პუშკინის „ევგენი ონეგინი“, დანერგილი 80-იანი წლების სან-ფრანცისკოსთვის უსპეტაკესი ინგლისური ლექსით.

— ჩვენთან რატომ არ ხდება მსგავსი რამ?

— ეს ადამიანები ევროპისა და ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლობდნენ. ჩვენთან კი ვინ იღებს ასეთ განათლებას? იციან იმდენი ინგლისური, რამდენიც „ფილისუქსა“ და ჩათბობია საკმარისი.

— ეს ზოგადად ქართველების პრობლემაა. არადა, ენობრივი ბარიერის გამო ბევრი საინტერესო ნაწარმოები რჩება შეუმჩნეველი.

— სხვათა შორის, მე მაქვს ინგლისურად დანერგილი რომანი, რომელიც ჯერჯერობით ვერ გამოვიცხადებ. ამისათვის მჭირდება ლიტერატურული აგენტი, რომელიც ძალიან ბევრს იმუშავებს. 500 გამომცემელს მაინც უნდა დაუკავშირდეს, რომ ერთმა მოკიდოს ხელი. 1996 წელს ამერიკაში ჩემი ორი მოთხრობა გამოვაქვეყნე, რისთვისაც 20 ჟურნალს მივმართე. რაც უფრო ფართო მასშტაბზე გადაიხარ, მეტია შანსი, ვინმე გამოგეცხადოს. დამოუკიდებლად უცხოელი გამომცემლის პოვნა ძნელია, აქ კი ინგლისურად გამოცემა არავის აინტერესებს.


— რაზეა წიგნი?

— ეს არის ერთი ნორვეგიელი ქალის, დაგნი იუველის ისტორია, რომელიც მუნკისა და სტრინდბერგის შთაგონების წყარო გახლდათ. იგი 1901 წელს მოკლეს თბილისში და კუკიაზეა დასაფლავებული.

— ქართულად რომ დაგწერათ?

— სამწუხაროდ, საკუთარ ნაწარმოებებს ვეღარ ვუბრუნდები, არადა, მენანება, ძალიან კარგი რომანია.

ესაუბრა ნანა კობახიძე



მოსლემდენე მოშრეფდენე აბოლ ფაზლე საადი შირაზი ან მოკლედ — საადი შირაზელი ქართველი მკითხველისათვის უცხო და უცნობი სახელი არ არის.

ქართული ირანისტიკის გარიჟრაჟზე ინტენსიურად შეინჯავლიდნენ და თარგმნიდნენ 12-13 საუკუნეთა ამ ბუმბერაზი სპარსელი პოეტის უაღრესად მრავალფეროვან შემოქმედებას.

მისი ლირიკული ლექსები სხვადასხვა დროს წარმატებით თარგმნეს ვახუშტი კოტეტიშვილმა, მაგალი თოდუამ და ნომადი ბართაიამ, 70-იან წლებში კი გამოიცა საადის გენიალური პოემის „ბუსთანის“ იუსტინე აბულაძის მიერ შესრულებული თარგმანი.

პოეტის მეორე (მსოფლიოში უფრო ცნობილი და პოპულარული) ნაწარმოები „გოლესთან“ კი აქამდე ქართულად სრული სახით არასოდეს თარგმნილა და ქართველმა ირანისტებმა მისი მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი გადმოიღეს.

ამ გარემოებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. უპირველესად ის, რომ საადის პოეტური სტილი — საერთოდ რთული და მძიმე — განსაკუთრებით მძიმდება და იტოვება „გოლესთანში“, რომელსაც მისი შემოქმედების მკვლევრები საადის პოეტური სიტყვის მწვერვალად მიიჩნევენ.

რითმანარევი, რიტმული პროზისა და პოეტური ჩანართების მონაცვლეობით აგებული ეს უფაქიზესი მხატვრული ქსოვილი ენობრივად ცალკად რთულია, რადგანაც არაბულის მშობლიური სპარსულივით მცოდნე საადი აქ იმდენ არაბულ გამოთქმას იყენებს, რომ ხშირად წიგნის მთელი პასაჟები არაბულადაა მოცემული და მთარგმნელს გარდა სპარსულის ცოდნისა, არაბულის ცოდნაც ასევე სჭირდება ავტორის აზრისა და პოეტური ლოგიკის გასაგებად.

უკიდურეს შემთხვევაში, ცხადია, არსებობდა ვითარების გამარტივების ისეთი საშუალება, როგორცაა თხზულების მეცნიერულ, აკადემიურ გამოცემაში ნაწარმოების არაბულ პასაჟთა სპარსულ თარგმანებზე დაყრდნობა, მაგრამ როგორც ჩანს, ქართველმა ირანისტებმა ამ გზის გამოყენებას თავი სრულიად შეგნებულად აარიდეს.

„გოლესთანის“ სრული ვერსიის უთარგმნელობის მეორე მიზეზი ასევე უნდა ყოფილიყო ტექსტის ზოგი თავისა და მონაკვეთის უკიდურესი სკაბრეზულობა და დაუფარავი ჰომოეროტიკულობა, რისი დაბეჭდვაც არა მხოლოდ კომუნისტური, არამედ ყოველგვარი საზოგადოებრივი ცენზურის პირობებში, თუ მთლად შეუძლებელი არ არის, მთარგმნელისაგან დიდ პიროვნულ და შემოქმედებით გაბეჭდვას მოითხოვს.

არადა, ეს ტექსტის მხოლოდ ერთი, ძალზე ზედაპირული ნახნავია. არსებითად კი „გოლესთან“ (ანუ „ვარდნარი“ ან „ყვავილნარი“) ურთულესი სუფიზური (ალეგორიულ-მისტიკური) შინაარსის ნაწარმოებია.

ეს არის იმპევენიური (მარადიული) ღირებულებებიდან დაკვირვება ამ ქვეყანაზე (წარმავალზე) და უნიკალური ფორმით გადმოცემულია შესაბამისი დასკვნები, რომელსაც ყველა მსმენელი (თუ მკითხველი) თავისი პიროვნული განვითარების საფეხურთა შესატყვისად გაიზრება.

„გოლესთან“ წინათქმას, მდამოუკიდებელ კარსა და ბოლოთქმას აერთიანებს. კარები თემატურადაა დალაგებული და ერთი რომელიმე საკითხის ირგვლივ პოეტის მხატვრულ-ფილოსოფიური რეფლექსიის ორიგინალურ ფიქსაციას წარმოგვიდგენს.

ამდენად ყველა კარი ავტონომიური მხატვრული და შინაარსობრივი ღირებულებისაა და მხოლოდ ნაწარმოების დასრულების შემდეგ ვხვდებით, რა მჭიდრო ემოციური და მხატვრული კავშირი არსებობს „გოლესთანის“ თითოეულ კარს შორის.

პოეტმა და მთარგმნელმა-ირანისტმა გიორგი ლობჯანიძემ ახლახან დაასრულა საადი შირაზელის „გოლესთანის“ სრული ვერსიის ქართული თარგმანი. ევროპულმა ფონდმა Horizon დააფინანსა ამ თარგმანის გამოცემა, თუმცა ნაწარმოების წიგნად დასტამბვამდე მკითხველს ჭაშნიკად მის ერთ-ერთ კარს ვთავაზობთ.

საადი შირაზელი

კარი მეექვსე

# სიძაბუნის და სიბერისა

არაპი პირველი

ღამასკომ მერეთში მეცნიერთა ჯგუფთან ვბაასობდი, როცა ვიღაც ახალგაზრდა შემოვიდა და იკითხა: ხომ არავინაა თქვენში, სპარსული იკოდესო? უმრავლესობამ ჩემზე მიანიშნა და მეც ვუთხარი: ხომ მშვიდობაა-მეთქი?!

მომიგო: ერთი ას ორმოცდაათი წლის ბერიკაცი სიკვდილის პირასაა. სპარსთა ენაზე რაღაცას გვეუბნება და ჩვენ არაფერი გვესმის. თუ სიკეთეს იზამ და თან წამომყვები, გასამრჯელოსაც მიიღებ. შესაძლოა, კაცი რამე ანდერძსაც იბარებსო!

როცა მომაკვდავის სასთუმალთან მივედი, მოხუცი ამბობდა:

ნამით ვიფიქრე, სანადელი ამიხდა-მეთქი, მაგრამ გამხდა ურცხვმა ვნებამ საგზაშარაო! ვაგლახ, საწუთროს ნაირ-ნაირ, ფერად სუფრაზე ნამით ვჭამეთ და აგვიკრძალეს: უკვე კმარაო!

ამ სიტყვების აზრს შამელებს\* არაბულად ვუთარგმნიდი და მათაც კაცის ასეთი დღეგრძელობა და მაინც ასეთი სინანული ამ ქვეყნიური ცხოვრების დასასრულის გამო ძალიან უკვირდათ! ვკითხე: მოხუციო თავს როგორ გრძობ-მეთქი? მომიგო: რა გითხრა? —

არ შესწრებხარ, თუ რა ტანჯვას განიცდის კაცი, როცა უნდათ, რომ ამოუღონ პირიდან კბილი, თვითონ განსაჯე, რა დღეშია იმ დროს საწყალი, როს მის არსებებას, სხეულს სული ეყრება ტკბილი!

ვუთხარი: სიკვდილზე ფიქრი თავიდან მოიშორე, წარმოსახვას სინამდვილეზე ნუ გააბატონებ, რამეთუ უთქვამთ ბერძენ ფილოსოფოსს: ჯანი, რაც უნდა მრთელი იყოს, წარმავალზე დაყრდნობა მინც არ ეგების და სნებას, რაც უნდა მძლავრობდეს, საბოლოო დალუპვის ნიშნად მაინც ნუ მიიღებთო! თუკი მიბრძანებთ, ექიმს ვიხმობ და განგკურნავთ-მეთქი!

ამომხედა, გამიცინა და მითხრა:

მცოდნე ექიმი ხელს ჩაიქნევს, რადგან სხვა ჩარას ვერ ხედავს, როცა სნეულს ხედავს მოხუცს, ჩაჩანაკს!

პატრონს აივნის ჩუქურთმაზე ოცნება დაღლის, ამ დროს კი თურმე საძირკვიდან ენგრევა სახლი.

ბერიკაცს სული ეყრებოდა ზაფრავა ელდა, დედაბერი კი სანდალოზის ტოტებით ზელდა\*.

ჯანს რომ სიმრთელე დაეღვევა, ხანთა მრავლობად, ველარც შელოცვა უშველის და ველარც წამლობა!

არაპი მეორე

მრთი მოხუცი მიყვებოდა: ცოლად ახალგაზრდა ქალი ვითხოვე. საქორწილო ოთახი ყვავილებით შევამკე, პატარძალთან თავი გავითავისნინე და თვალი და გულსყური ერთიანად მას მივაპყარი. გრძელ ღამეებში თვალი წამითაც არ მომიხუჭავს და ნაირგვარ არაკსა და თავშესაქცევ ამბავს ვუყვებოდი, ეგებ შემომეჩვიოს და ჩემთან სიახლოვემ აღარ დააფრთხოს-მეთქი.

ერთ ღამესაც ვუბნებოდი: შენი ბედისწერის თვალი, მარ-თლაც, ფხიზელი ყოფილა, რომ მეუღლედ ხანმოთუელი კაცი შეგახვედრა, გამოცდილი, ზრდილი, დარბაისელი, მშვიდი, ქვეყნის ავ-კარგის მცოდნე და მცნობელი, რომელმაც თანაცხოვრების წესებიც იცის და სიყვარულის პირობებსაც ითვალისწინებს. გულითადაა, ალერსიანი, კეთილი ზნის და ენაწყლიანი!

მე შენი გულის მოსაგებად თუ ყოველ ღონეს მივმართავ, როცა გამაბრაზებ, გულს მოგიფონებ!

თუ თუთიყუშის მსგავსად ოდენ შაქრით სულდგმულბ, ეს ტკბილი სული შენი იყოს, წაიღე, სულო!

აი, რა ბედი გენია, რომ ხელში არ ჩაუვარდი ვინმე თვითრ-ჯულ ჯეელს, თავკერძას, ფიცხსა და დაუდეგარს, რომელიც ყოველ წამიერ ვნებას აპყვება, ყოველ წუთს აზრი შეეცვლება, ყოველ ღამეს სხვადასხვა ადგილას დაიძინებს და ყოველ დღე ახალ-ახალ მიჯნურებს გაიჩენს!

ახალგაზრდებს სიტურფე და სინორჩე ამშვენებთ, მაგრამ მათვე სჩვევიათ სიბრიყვე, უხანობა, ბულბულთაგან, ძვირფასო, ერთგულელებს ნუ ელი, ყოველ წამს რომ სხვადასხვა ვარდს უძღვნიან გალობას!

განსხვავებით მოხუცთაგან, რომლებიც ჭკუითა და ზრდილობით ცხოვრობენ და არა — თავქარიანობისა და სიჭაბუკის ვნებათა კარნახით.

ექიე შენზე უკეთესი, რათა ანაზღად ცხოვრება უქმად არ დაკარგო შენისთანასთან!

მითხრა ამ მოხუცმა: აი, ასეთები იმდენი ველაპარაკე, რომ ვფიქრობდი, მისი გული ჩემს ბორკილებში მოვიგდე და საბოლოოდ მოვინადირე-მეთქი!

როდესაც ქალმა ქმარს წინ უფრო სუსტი, უღონო რამ დაუნახა, ვიდრე მარხულ კაცის ტუჩები, თქვა: ეს საოხრე ამ ოხერს თუ უკვე მკვდარი აქვს, მძინარს აღვიძებს ჩემი, მკვდარს კი ვერას უშველის!

ქალი თუ წყურვილმოუკლავი წამოდგა დილით, წივილ-კივილით შეიძვრება იმათი ქოხი, მოხუცი, ზეზე რომ ვერ დგება ჯოხის გარეშე იმ ბეხრეკს აბა, როგორ უნდა აუდგეს ჯოხი?!

ერთი სიტყვით, ერთმანეთში მორიგების არანაირი გზა არ არსებობდა და საქმე განშორებით დაგვირგინდა. როცა სჯულით დადგენილი თავშეკავების ვადა ამოეწურა\*, ხელახლა ერთ ფიცზე, უფიქროს და უხასიათო ჭაბუკზე გაათხოვეს. ქალი დიდად წვალობდა და იტანჯებოდა, მრავალ ჭირსა და ვაებას იტანდა, მაგრამ მაინც მადლობას უთვლიდა უზენაესს წყალობისათვის: მადლობა ალაჰს, იმ ფიცხელი სატანჯველიდან თავი რომ დავიხსენი და ამ უცვალებელ შვებას ვენიო!

მიუხედავად სიფიცხის და ტანჯვის ძლიერის, შენგან ყველაფერს ვიტან, რადგან ხარ მშვენიერი!

შენთან მიჯობს თვით ჯოჯოხეთის ცეცხლში დავინვა, ვიდრე სამოთხეს დავემკვიდრო სხვასთან, ეული. მახინჯის ხელით მორთმეულ ვარდს ხახვის სუნი სჯობს, სახემწყაზარის პირბაგიდან შემოფრქვეული!

არაკი მსაზამ

ღიწარ ბაქარში\* ერთ პატივცემულ მოხუცს ვესტუმრე, რომელსაც დიდძალი ქონება ჰქონდა და ერთადერთი სახემწყაზარი ვაჟი ჰყავდა. ღამით მიაბო: ჩემს ცხოვრებაში ამ ვაჟის მეტი შვილი არ მყოლია. ჩვენს ხეობაში ერთი სალოცავი ხეა, რომელთანაც აქაურები მიდიან და სურვილებს უთქვამენ. გრძელ ღამეებში იმ ხის ძირას მუხლმოდრეკილი უზენაესს შევლადადებდი, ვიდრე ამ ვაჟიშვილს მაჩუქებდაო!

ამ დროს გავიგონე, მისი ვაჟი მეგობრებს ეუბნებოდა: რა იქნებოდა, მეც მცოდნოდა, ის ხე სად არის, ვილოცებდი, რომ მამაჩემს სული გაეცხო.

მამას უხაროდა, შვილი მომესწროო და შვილი იმრიზებოდა, მამაჩემი გადალძუვდაო!

წლები გავა, რომ მამის საფლავს არ ინახულებ, თითქოს სხვა არვინ აკეთებდეს საქმეს შენოდენს. მაგრამ გვიბრძანე, ღვიძლ მამას რა სიკეთე უყავ, რომ მერე შენი ვაჟისგანაც იმას ელოდე!

არაკი მართხა

მართ დღეს ახალგაზრდობამ მომალორა და სწრაფად ძალიან ბევრი ვიარე, მოსაღამოვებულზე კი მუხლმა გორაკის ძირას მიმტყუნა და გავიშლართე. ვილაც მოხუცი უკან ერთ ქარავანს მოჰყვებოდა. გვერდით ჩამიარა და მომაცხა: აქ რას მიწოლილიხარ! რა დასაძინებელი ადგილი ეს ნახეო?!

მიუფე: როგორ ნავიდე, როცა განძრევის თავი აღარა მაქვს-მეთქი!

დამიძახა: ის თუ გაგიგია, გულით მჭვრეტელთ რომ უთქვამთ: ნასვლა და დაჯდომა გერჩიოს გაქცევასა და ნაქცევასაო!

წინსვლის მძებნელო, ნუ იჩქარებ, ისწავლე თმენა, ჩემს ცნებას მოჰყევე, გული დარდით თუ დაგედადა: თუ ბედაური ერთ ნუთს ირბენს და დავარდება, დინჯი აქლემი მოუღლედა ივლის დღე და ღამ.

არაკი მხუთა

მართი ცქეიტი, ზრდილი, მხიარული და ენატკბილი ჭაბუკი ჩვენს წრესთან მეგობრობდა. მის გულს ჯავრი არ ეკარებოდა და ბაგეს ღიმილი არასდროს შორდებოდა.

ერთხელაც, კარგა ხანმა განვლო, რომ მასთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მომეცა. როცა ისევ ვნახე, შევიტყვე, ცოლი ეთხოვა და დაწვრილშვილებულიყო. საწყალს ხალისის ფესვები დაჰგლეჯოდა და წადილის ვარდი დასჭკნობოდა. ვკითხე, როგორ ხარ და რასა იქმ-მეთქი?

მომიგო, რაც ბავშვები მეყოლა, თვითონ ველარ მიბავშვიაო!

რალა დროს ყმანვილკაცობაა, როცა სიბერემ სულ ერთიანად დამითერთა თმა საფეთქელთან, დროს ცვალებაც უკვე კმარა გასაფრთხილებლად, რაც ნუთისოფელს კაცისათვის უნდოდა ეთქვა!

როს დაბერდები, ბავშვობაზე აილე ხელი, თამამ-გართობა დაუტოვე ბავშვებს, რომ შვენით!

მოხუცში ნულარ მოიძიებ ჭაბუკურ ხალისს, არ დაბრუნდება კალაპოტში ნასული წყალი!

მკის დროს, ნათესი — სიცხისაგან გადაღეჭილი, ცხადია, ველარ იხასხასებს, როგორც ჯეჯილი!

დრო სიჭაბუკის ან ხელიდან გამომეცალა, აფსუს ის ჟამი — თავანკარა, გულდიდი, მწველი! მკლავებში ლომის ძლიერება გამომეცალა ახლა მზადა ვარ, ფოცხვერით მივირთვა ყველი\*, ვილაც დედაბერს, თმა შავად რომ გადაელევა, ვუთხარ: დედიჯან, ეგ რა საქმეს მიჰყავი ხელი?!



საადის მავზოლეუმი შირაზში

ეთქვათ, მოგვაცყო და თმა შავად რომც მოგვარჩვენო, არ გასწორდება ამით ორად მოხრილი წელი.

არაკი მამაქსა

მართხალ, ახალგაზრდული უმეცრებით, დედაჩემს დავუყვირე. გულდათუთქული ერთ კუთხეში მიჯდა და ტირილით მეუბნებოდა: შენი პატარაობა დაგავინწყდა, ახლა ასე რომ მედიდგულებიო?!

რა კარგად უთხრა ძეს თავისას მოხუცმა ერთმა, როცა იხილა სპილოსტანად და ვეფხთა მზოცად: შენი ბავშვობა რომ გახსოვდეს და უღონობა, უბეში თბლად გამოკრული დამყავდი როცა, ხომ დამინდობდი ახლა, როს ხარ ეგ ზომ ძლიერი, მე კი უღონოს ძალად შემეჩრა ღვთისადმი ლოცვა!

არაკი მხუთა

მართ შეძლებულ ძუნწს შვილი ავად ჰყავდა. მოკეთებმა ურჩიეს: კარგი იქნება, მის სახელზე ყურანი სრულად წაიკითხოთ ანდა ზვარაკი შესწიროთო! ცოტა ხანს დაფიქრდა და თქვა: შინ მიგდებული მუსაფის\* გახსენება უფრო ეგების, ვიდრე შორეული ფარისაო!

ეს სიტყვები ერთმა გულიანმა გაიგონა და ბრძანა: — ყურანის წაკითხვა იმიტომ ირჩია, რომ წიგნი ენის წვერზე აქვს, ხოლო ოქრო სულის სიღრმეშიო!

აფსუსია, ღვთის მორჩილება გექცეს ხელობად, თუ თან არ ახლავს გულითადი უშურველობა!

დინარისათვის ვირივით ლაფს ნევიან სრულად, ლოცვით კი ასჯერ ილოცებენ „გამღებელ სურას“!\*

არაკი მარვა

მართ ბერიკაცს ჰკითხეს: რატომ ცოლს არ შეირთავო! მიუგო: დედაბერთან რალა უნდა ვისიამტკბილოო! უთხრეს: შენც ადექი და ყმანვილი ითხოვე, ქონება ხომ გაქვსო!

მიუგო: მე, მოხუც კაცს, რომ გული მოხუცი ქალისაკენ აღარ მიმიწევს, ის, ახალგაზრდა თუ იქნება, ბებერს

როგორ შემეყვარებსო!

სამოცდაათი წლის მოხუცი ურცხვად ჭაბუკობს, ბრმამ თვალის ჩინი სიზმრად ნახე, ცელქო პაპილო! სჯობს ძალა გქონდეს, ვიდრე ოქრო, რადგან პატარძალს ათ მან ხორცს ბევრად ურჩევნია ერთი სტაფილო!

არაკი მცხრა

ბავშიბა, ერთმა ბერიკაცმა ძალზე ადვილად, ამ სიბერეში ცოლის შერთვა მოინადინა.

ითხოვა გოგო, მშვენიერი, თავისი მზითვით, სახელად — გოგჰარ — მარგალიტა თუ მარგალიტი.

სახელი მართლაც უხდებოდა ქალწულს ვნებიანს, თუმც მარგალიტი არავისთვის უჩვენებია.

სიძემ ილაღა ხალხში, მაგრამ ქალთან დარჩენილს, მოულოდნელად დაუვარდა ის ყვარჯენი.

პირველ ჯერზევე უშედეგოდ მოზიდა მშვილდი, მხოლოდ მახათით იკერება სამოსი დიდი! მეგობრებში კი ქალს, პირიქით, დაადო ვალი, ამბობდა: თავზე დამაქცია სახლი და კარი!

და ცოლ-ქმარს შორის დიდი ომის დაიწყო ხანა, სასამართლომდეც მივიდნენ და საადიმ ბრძანა:

კაცებს მიხედეთ, ნურას ერჩით საცოდავ ქალებს: მარგალიტს როგორ გახვრეტ, ხელი თუ გიკანკალებს!

თარგმანი ბიორგი ლოპანიძე

განმარტავანი

\* შამი — (არაბ. ჩრდილოეთი) — სირიისა და პალესტინის არაბული სახელწოდება, რამდენადაც ეს რეგიონი არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით მდებარეობს.

\* სანდალოზი — იშვიათი ჯიშის ძვირფასი ხე, რომლის ტოტებით დახეღვა გაცივებულის ჯანზე მოსაყვანად უებარ საშუალებად მიიჩნეოდა.

\* სჯულით დადგენილი თავშეკავების ვადა — ყურანის მიხედვით განქორწინებული ან ქერივი ქალი მეორედ გათხოვებამდე ვალდებულია დაიცვას დალოდების ვადა, რომელიც 4 თვესა და ათ დღეს შეადგენს. ეს იმისათვის, რომ წინა ქმრისაგან ორსულობა გამოირიცხოს.

\* დინარ ბაძარი — ქალაქი სპარსეთის ყურის სიახლოვეს.

\* ფოცხვერით მივირთვა ყველი — „გოლესთანის“ კომენტატორთა მიხედვით: ფოცხვერს სიბერეში რძის პროდუქტები, განსაკუთრებით კი ყველი უყვარდება.

\* ალ-მუსჰაფ — ეტრათი — მუსლიმთა საღვთო წიგნის — ყურანის ერთ-ერთი სინონიმი. ქართულში შემოსულია „მუსაფ“ ფორმით (მდრ: „ვეფხისტათაოსანი“).

\* „გამღებელი სურა“ (გამხსნელი წიგნისა) — ყურანის პირველი სურა, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს სარიტუალო ისლამისათვის.

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com